

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

შორენა ცაავა

მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური
ეფექტიანობის ამაღლების გზები ქვემო ქართლის მხარის
მაგალითზე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობა – 31 აგრარული ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, სრული პროფესორი სულიკო ყამარაული
კონსულტანტი–ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნაუმ ტურაბელიძე

თბილისი

2010

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი;

თავი I.

მიწა – ეროვნული სიმდიდრე ;

1.1 მიწა – წარმოების ძირითადი საშუალება ;

1.2 ბუნებრივი პირობები ;

1.3 მხარის ეკონომიკური პირობები ;

1.3.1 შრომითი რესურსები ;

1.3.2 მიწის ფონდი ;

1.4 მიწის ფონდის გამოყენების თანამედროვე დონე ;

თავი II.

მიწების გამოყენების ახალი ფორმების შექმნის

ტენდენციები და პერსპექტივები;

2.1 მიწის რეფორმის გავლენა მიწების
გამოყენების ახალი ფორმების შექმნაზე;

2.2 მეურნეობრიობის ახალი ფორმების წარმოქმნა-დაფუძნების
ტენდენციები და ძირითადი მიმართულებები ;

2.3 მიწის ბაზარი ;

თავი III.

მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური
ეფექტიანობის ამაღლების გზები;

3.1 მიწის ფასის განსაზღვრის საკითხი ;

3.2 მიწის დაცვის, გაუმჯობესებისა და
ტრანსფორმაციის საკითხი;

3.3 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის
ჭარმობის გადიდების შესაძლებლობები ;

დასკვნები და წინადადებები ;

გამოყენებული ლიტერატურის სია .

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. მიწა სიცოცხლის არსებობისა და ადამიანის კეთილდღეობის საფუძველთა საფუძველია. მიწის რაოდენობაზე, ხარისხზე და პროდუქტიულობაზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების დაკმაყოფილება სურსათით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების წარმოებაში დანერგვამ, წარმოების არნახული მასშტაბით ზრდამ, დადებითთან ერთად, უარყოფითად იმოქმედა ეკოლოგიურ გარემოზე, დააზარალა ბუნება, განსაკუთრებით მიწა. შემცირდა მაღალინტენსიური მიწის სავარგულის ფართობი, იმძლავრა ეროზიულმა, მეწყერულმა, სელურმა, (ღვარცოფულმა) მოვლენებმა, იმატა მიწის მოვლა-პატრონობისადმი ადამიანის უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებმა, გაიჩნა ტყეები, ქარსაფრები, ამოიძირკვა მრავალწლიანი ნარგავები, დაუმუშავებელი დარჩა დიდი ნაწილი სახნავი მიწის, დიდი ნაწილი, არაერთი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გადაყვანილ იქნა არასასოფლო-სამეურნეო სავარგულის კატეგორიაში. მიწის რეფორმის დროს ზუსტად ვერ იქნა გათვალისწინებული მიწის რაციონალურად გამოყენების ყველა შესაძლებლობა. დაიჭრა და დაქუცმაცდა სამექანიზაციო ფართობები, მთლიანად მოიშალა ტერიტორიის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი შემადგენელი ნაწილები და ელემენტები. უზომოდ იკლო მიწის დასამუშავებელი მანქანა-იარაღებით, ნიადაგის განოყიერების საშუალებებით, შხამქიმიკატებით და სათესლე მასალით მომარაგების დონემ. დაბინძურდა ატმოსფერო. შემცირდა საექსპორტო პროდუქციის გასაღების არეალი. ყველაფერმა ამან მკვეთრად

შეზღუდა სურსათის წარმოების შესაძლებლობა. სურსათის იმპორტი თითქმის 4-ჯერ ჭარბობს ექსპორტს. ქვეყანა იძულებულია შემოიტანოს თუნდაც უხარისხო, მაგრამ საჭირო პროდუქტი, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ქვეყნიდან გაედინება კაპიტალი, სამუშაო ძალა, ინტელექტი. დღეს უპირველესი და გადაუდებელი ამოცანაა ქართული, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენა და ფეხზე დაყენება, პირველ რიგში, მიწის პროდუქტიულობის გაზრდის და ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფა. ამისათვის ახლებურად გააზრებასა და გადაწყვეტას საჭიროებს საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების, მიწის მართვის საკანონმდებლო ბაზის, მიმდინარე პრივატიზაციის სწორად წარმართვის, მიწის ბაზრის ეფექტიანობის ამაღლების, საადგილმამულო ურთიერთობათა ახალი პირობების შესატყვისი, ეფექტური ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის, მიწების კონსოლიდაციის, მიწის დაბინძურების თავიდან აცილების ღონისძიებების დანერგვის, მიწის კადასტრის, მიწათმოწყობის, მიწის კონტროლის და მართვის საკითხების მეცნიერულად დამუშავება და განსახორციელებლად შესაბამის, უფლებამოსილ ინსტანციებში წარდგენა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ყველა ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემას გადავჭრით, მაგრამ გვინდა მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ მამულიშვილურ საქმეში და, მეცნიერული ხედვის საშუალებით, ხელი შევუწყოთ ქვეყნის მიწის რესურსული პოტენციალის უფრო რაციონალურად გამოყენების მექანიზმის ფორმირებას და მიწის პროდუქტიულობის სასურველ

დონემდე აყვანის წინამძღვრების შექმნას. ზემოთ აღნიშნული საკითხების მეცნიერული შესწავლის მცდელობამ განაპირობა სადისერტაციო თემის აქტუალობა და კვლევის მიმართულებები.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა ამ ბოლო დროს საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლას მრავალი ქართველი მეცნიერის საინტერესო შრომა მიეძღვნა, დაიწერა სადისერტაციო ნაშრომები, რომლებშიც, ძირითადად, განხილულია მიწის რეფორმის, მიწის ბაზრის, საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების და მიწის მართვის ზოგიერთი საკითხი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ახალი სამეურნეო პირობებიდან, მიწის ბაზრის კონიუნქტურის თავისებურებებიდან და მიწის მეტად დაბალი ნაყოფიერების არსებობიდან, გამომდინარე კვლავ საჭიროა მიწის ფონდის დაცვისა და გამოყენების საკითხების უფრო კომპლექსურად, მეცნიერულად შესწავლა, მისი იურიდიული, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკური და ტექნოლოგიური ასპექტების გათვალისწინება, დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- მიწის, როგორც ეროვნული სიმდიდრის და წარმოების ძირითადი საშუალების, როლის განსაზღვრა ადამიანის ცხოვრებაში;
- მიწის რესურსების გამოყენების ხარისხზე ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების თავისებურებების გავლენის დადგენა;
- მიწის ფონდის გამოყენების თანამედროვე დონის ანალიზი;

- მიწის რეფორმის შედეგების ანალიზი და შეფასება რაციონალურად გამოყენებაზე;
- მეურნეობრიობის ახალი ფორმების წარმოქმნის ტენდენციები და სამომავლო პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა;
- ახალი ფორმის მეურნეობების საქმიანობის კონკურენტული მაგალითების განხილვა და მათი განზოგადების შესაძლებლობის პერსპექტიულობის დასაბუთება;
- მიწის ბაზრის როლი მიწის გამოყენების ხელსაყრელი პირობების შექმნაში;
- მიწის ფასის განსაზღვრა;
- მიწის სავარგულების ტრანსფორმაცია-გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების შესაძლებლობებისა და ძირითადი მიმართულებების დადგენა უახლოეს 10-15 წლისათვის;
- მხარის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობის დასაბუთება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია ქვემო ქართლის მიწის ფონდი და მასზე განლაგებული სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორგანიზაციები, წარმოება-დაწესებულებები. კვლევის საგანს წარმოადგენს მხარის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების თავისებურებები და მათი სპეციფიკური გავლენა მიწის რესურსების გამოყენების ხარისხზე, მიწის ფონდის რაოდენობისა და ხარისხის დადგენა, მიწის რესურსული პოტენციალის გამოვლენა, მიწის გამოყენების ხელსაყრელი ფორმების შექმნაზე მიწის ბაზრის გავლენა, მიწის ფასი, სასოფლო-სამეურნეო

საწარმოთა ახალი ფორმების შექმნის ტენდენციები, მათი შემდგომი განვითარების გზები, მიწის ტრანსფორმაცია-გაუმჯობესების ღონისძიებების კომპლექსი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა

გამოკვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური თეორია საბაზრო ეკონომიკისა და აგრარული რეფორმის შესახებ, არსებული თეორიული ნაშრომები, ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების მოსაზრებები საკვლევ პრობლემებთან დაკავშირებით, თეორიული, სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები, მთავრობის პროგრამული დოკუმენტები, საკანონმდებლო აქტები. ნაშრომის დამუშავებისას ფართოდაა გამოყენებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის, საქართველოს აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ დამუშავებული სამეცნიერო ნაშრომები.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის, მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მონაცემები, აგრეთვე, საკვლევ ობიექტზე ახლად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ მოწოდებული ბუღალტრული აღრიცხვის მასალები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია მონოგრაფიული შესწავლის, სტატისტიკური, საბალანსო ეკონომიკურ-მათემატიკური, ლოგიკური

ანალიზის, სისტემურ-დიალექტიკური და პრობლემური – მიზნობრივი მიდგომა, ანალიტიკური და სხვა მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს ერთ-ერთ კომპლექსურ გამოკვლევას, რომელშიც შესწავლილი და შეფასებულია მიწის რესურსების გამოყენების დონე, მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დაფუძნების ხელსაყრელობა და განსაზღვრულია მიწის ფონდის დაცვის, სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების ძირითადი მიმართულებები.

კვლევის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

– შესწავლილი და შეფასებულია საკვლევი ობიექტის ბუნებრივ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პირობების თავისებურებები და სპეციფიკა, მათი გავლენა მიწის რესურსების გამოყენების ხარისხზე, წარმოჩენილია ეკოლოგიურ გარემოზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების წყება, დასაბუთებულია მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება-განხორციელების აუცილებლობა.

– შესწავლილია საკვლევი ობიექტის მიწის რესურსების გამოყენების დინამიკა, მისი პროდუქტიულობის ცვალებადობა ნახევარი საუკუნის განმავლობაში, გამოკვეთილია მიწის რესურსული პოტენციალის შესაძლებლობები და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეული დარგების განვითარების ძირითადი მიმართულებები.

– შესწავლილი და გაანალიზებულია მიწის რეფორმა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოთქმულია მოსაზრებები

რეფორმის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ.

– შერჩეული და შესწავლილია საკვლევი ობიექტის ტერიტორიაზე საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში შექმნილი და მოქმედი ხუთი ხელსაყრელი ფორმისა და საწარმოო პოტენციალის მქონე სასოფლო-სამეურნეო საწარმო, გაანალიზებულია მათი საქმიანობა დასაბუთებულია მათი პერსპექტიულობა და მსგავსი პირობების ტერიტორიაზე განზოგადების მიზანშეწონილობა.

– განხილულია მიწის ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირების მდგომარეობა, ბაზრის როლი და მნიშვნელობა მიწის ფონდის უფრო რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციისა და ხელსაყრელი ზომის მეურნეობების ფორმირების საქმეში, სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესების უზრუნველყოფაში. შემოთავაზებულია მიწის ბაზრის ფუნქციონირების სრულყოფის გზები.

– დამუშავებულია მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისა და საბაზრო – გასაყიდი ფასების საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის, მიწაზე რეალური ფასის დადების საკითხები.

– განხილულია როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაუმჯობესება-ტრანსფორმაციის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება-დანერგვის საკითხები.

– მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსული პოტენციალის გათვალისწინებით, გათვლილია მხარის მემცენარეობისა და მეცხოველეობის დღევანდელი და ხვალინდელი შესაძლებლობები.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა

დისერტაციაში შემოთავაზებული წინადადებების და რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელია როგორც თეორიული,

ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, როგორც საკვლევ რაიონებში, ისე მსგავსი პირობების მქონე ტერიტორიებზე. თეორიული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, იგი დახმარებას გაუწევს აგრარულ სექტორში დასაქმებულ სპეციალისტებს, ამ საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევარებს მიწის რესურსული პოტენციალის დაცვის, სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების გზების ძიებაში, ქვემო ქართლის მხარის სპეციფიკური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მაგალითზე. ნაშრომი პირველი მცდელობაა საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში მიწის რაციონალურად გამოყენების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავების საქმეში.

ნაშრომის პუბლიკაცია და აპრობაცია დისერტაციის ძირითადი შინაარსი ავტორს გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო პუბლიკაციაში. კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას. ნაშრომი განხილული და მოწონებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების გზები ქვემო ქართლის მხარის მაგალითზე

თავი I. მიწა – ეროვნული სიმდიდრე

1.1. მიწა – წარმოების ძირითადი საშუალება

ქვეყნის ძირითადი მიწის ფონდის (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები) კერძო საკუთრების მიწებში გადასვლამ, მიწის ინტერესისა და სიყვარულის გაზრდამ დღის წესრიგში დააყენა მიწის მოვლა-პატრონობის სრულყოფის აუცილებლობის საკითხი, მისი დაცვის, ნაყოფიერების ამაღლების და პროდუქტიულობის ზრდის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებისა და დანერგვის საჭიროება. მიწის მოვლა-პატრონობის სრულყოფილი ღონისძიებების დანერგვის მნიშვნელობა ისეთი რეგიონის მიწის ფონდის გამოყენებაში, როგორც ჩვენი კვლევის ობიექტია (ქვემო ქართლი), – ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების მთავარი არტერია, – მეტად აქტუალურ პრობლემად მიგვაჩნია და, სანამ საკვლევი ობიექტის მიწის ფონდის დეტალურად შესწავლას და ანალიზს შევუდგებოდეთ, გვინდა, მოკლედ განვიხილოთ მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, თეორიული ასპექტები.

მიწა, ფართო გაგებით, ფლორისა და ფაუნის არსებობის მთავარი ფაქტორი და საფუძველთა საფუძველია. კ. მარქსის თქმით: “დედამიწა (ეკონომიკური თვალსაზრისით, წყალიც მას მიეკუთვნება), იმ სახით, რა სახითაც იგი, თავდაპირველად, ადამიანს ამარაგებს

საზრდოთი, მზა საარსებო საშუალებებით, არსებობს სრულად მის დაუხმარებლად, როგორც ადამიანის შრომის საყოველთაო საგანი.”

(14) წყალთან ერთად მიწის, როგორც ძვირფასი საგნის, ფასეულობა გამოუსადეგარია სხვა დანარჩენი მისი ბუნებრივი სიმდიდრის – ნიადაგის, ჰაერის, მზის სინათლის და სითბური ენერჯის არსებობის გარეშე. მიწის, როგორც ძვირფასი ნივთის (საგნის), სარგებლიანობის ხარისხი განიხილება სხვა მის ბუნებრივ სიმდიდრესთან კომპლექსში. ვინაიდან ჩვენი კვლევის საგანი მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანობის საკითხებია, მოკლედ ვეხებით მიწის მნიშვნელობას ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში. ალბათ, სადავო არ არის ის, რომ მიწა მუდამ იყო ადამიანის საცხოვრისის ძირითადი წყარო. ადამიანი იბრძოდა მიწისათვის, ოცნებობდა რაც შეიძლება უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობის და ნაყოფიერი მიწის დაპყრობასა და მისაკუთრებაზე – პროცესი შეუქცევადი და მუდმივად არსებულია. ძირითადი უთანხმოებები და გაუთავებელი ომები დასაბამიდან მიმდინარეობს მიწების დაპყრობისათვის. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსული პოტენციალის მაღლი თავს იჩენს ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში – ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა, ხელოვნება, ჯანმრთელობა და სხვა. მიწის როლი, მისი გამოყენების ხასიათი, ფორმა და მასშტაბი განსხვავებულია ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით. მომპოვებელ მრეწველობაში მიწა არის არა მარტო სივრცობრივი საოპერაციო ბაზისი, არამედ თავისებური საწყობიც, საკუჭნაო, საიდანაც მიიღება საზოგადოებისათვის საჭირო მატერიალური დოვლათი. ამ შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერებას რაიმე მნიშვნელობა არ აქვს. გადამამუშავებელ მრეწველობაში მიწა

თამაშობს პასიურ როლს, იგი მოქმედებს როგორც ფუნდამენტი (საძირკველი), სივრცობრივი საოპერაციო ბაზისი, ადგილი, რომელზედაც ხდება შრომის პროცესი. პროდუქცია მიიღება იმის მიუხედავად, კარგია თუ ცუდი ნიადაგის ხარისხი და ნაყოფიერება. მთავარია, გრუნტი და მისი შედგენილობა ხელსაყრელი იყოს შენობა-ნაგებობების ასაშენებლად.

მიწის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას მიეკუთვნება იშვიათი ტიპური და რელიქტური ლანდშაფტები და სხვა ობიექტები, რომლებიც წარმოადგენს განსაკუთრებულ კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელ და ეკოლოგიურ სიმდიდრეს.

სულ სხვა მნიშვნელობა აქვს მიწას სოფლის მეურნეობაში, რადგან იგი არის არა მარტო ამ დარგის არსებობის მატერიალური პირობა, არამედ წარმოების აქტიური ფაქტორიც. სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესი უშუალოდაა დაკავშირებული მიწასთან, ნიადაგის ნაყოფიერებასთან, ბუნებრივ-ბიოლოგიურ პროცესთან. გარდა საყოველთაო პირობისა და სივრცობრივ-საოპერაციო ბაზისისა, მიწა ასრულებს კიდევ ორ ფუნქციას – ის არის შრომის საგანი, რომელზედაც ადამიანი მოქმედებს წარმოების პროცესში, და წარმოების იარაღი, რომლის საშუალებითაც ადამიანი ზემოქმედებას ახდენს მის მიერ წარმოებულ კულტურებზე – ზრდის მოსავლიანობას და აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერებას, რაზეც მთლიანადაა დამოკიდებული მოსავლიანობა. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა, შენარჩუნება და შექმნა დღეს მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი პრობლემაა – მატულობს

მოსახლეობის რიცხვი, იზრდება მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, უარყოფითი ბუნებრივი მოვლენების შედეგად იკლებს ნიადაგის ნაყოფიერება და მიწის პროდუქტიულობა. ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და გაზრდის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა დღეს დედამიწაზე მცხოვრები თითოეული ადამიანის წმინდათაწმინდა მოვალეობა და გადაუდებელი ამოცანაა. პრობლემა მთლიანად ეხება ჩვენი საკვლევითი ობიექტის მიწის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. ნაყოფიერება, როგორც ნიადაგის უნარი უზრუნველყოს მცენარე წყლით, საკვები ნივთიერებებითა და მისი ზრდა-განვითარებისათვის საჭირო სხვა პირობებით, ძირფესვიანად განასხვავებს მიწას წარმოების სხვა საშუალებებისაგან.

განასხვავებენ ნიადაგის ნაყოფიერების წარმოქმნის ორ პროცესს – ბუნებრივს და ხელოვნურს. ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება იქმნება ნიადაგწარმოქმნის ხანგრძლივი პროცესის შედეგად. დედამიწის ზედაპირზე ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური მოვლენებისა და კლიმატური პირობების გავლენით, მიწის ზედა ფენაზე მოქმედებს სითბო, სიცივე, ქარი, ატმოსფერული ნალექები, იშლება ქანები, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის და ილექება მიწის მცირედი ნაწილაკები, ლპება ცოცხალი ორგანიზმები და მცენარეები, – ნიადაგში გროვდება ჰუმუსი. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში შეიძლება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ბუნებრივად გაიზარდოს ერთი, ერთ-ნახევარი სანტიმეტრით.

ნიადაგის ნაყოფიერების წარმოქმნის მეორე პროცესი ხელოვნურია. ადამიანი ხარჯავს შრომასა და კაპიტალს – შედეგად,

ქმნის ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ამუშავებს ნიადაგს, ნერგავს თესლბრუნვებს, ნიადაგში შეაქვს ორგანული და მინერალური სასუქები, ატარებს მორწყვით და დაშრობით ღონისძიებებს, ასუფთავებს ნაკვეთს ქვებისგან, კოლბოხებისგან, სარეველებისგან, ატარებს მიწის რეკულტივაციას, გამიწიანებას. ამ ღონისძიებებით მოკლე ხანში აღწევს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას.

თავის მხრივ, ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება ჯერ კიდევ სრულად ვერ ახასიათებს მიწის ნამდვილ ხარისხს. ნიადაგში შეიძლება მრავლად იყოს საკვები ნივთიერება, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო (ტენის უკმარისობა, სითბოს ნაკლებობა და ა.შ.), ისინი მცენარის მიერ შეუთვისებელ ან ნაკლებად შეთვისებად ფორმაში იყოს. საჭიროა ისეთი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, რომელთა შედეგადაც ნიადაგში არსებული საკვები ნივთიერებები გადავა მცენარის მიერ შეთვისებად ფორმაში. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ნიადაგის ხელოვნური განაყოფიერების ღონისძიებების ჩატარების შედეგად. ბუნებრივი ნაყოფიერება არის ეკონომიკური ნაყოფიერების საფუძველი – ერთი მეორესთან მჭიდრო კავშირშია. ეფექტიანი ანუ ეკონომიკური ნაყოფიერება არის ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერებების ერთიანობა და გულისხმობს ამ ორი სახის ნაყოფიერების სარგებლიანობის ჯამს. ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობით, ხოლო შეფარდებითი - დანახარჯების ერთეულზე მიღებული პროდუქტის რაოდენობით. კარგი მეურნის მთავარი ამოცანაა ფართობის ერთეულზე მცირედი დანახარჯებით, რაც შეიძლება, მეტი პროდუქციის მიღება. ეკონომიკურ ნაყოფიერებას

ქმნის ადამიანის შრომა. “მიწის მოსავლიანობა შეიძლება უსაზღვროდ იქნეს გადიდებული კაპიტალის, შრომის და მეცნიერების გამოყენების გზით.” (27). ადამიანის საცხოვრისის, მატერიალური დოვლათის შექმნის წყარო მიწა და შრომაა. “შრომა არ არის ერთადერთი წყარო მის მიერ წარმოებული სახმარი ღირებულებისა, ნივთიერი სიმდიდრისა, – როგორც უილიამს პეტი ამბობს, – შრომა სიმდიდრის მამაა და მიწა – მისი დედა.” (44). ანდა: “მიწათმოქმედებაში შეიძლება პროდუქტიულად იქნეს მოხმარებული კაპიტალის თანმიმდევრული დანახარჯები, იმიტომ, რომ მიწა თვითონ მოქმედებს, როგორც წარმოების იარაღი.”

მიწას, როგორც წარმოების ძირითად საშუალებას, გააჩნია რიგი სპეციფიკური თავისებურებანი, რაც გასათვალისწინებელია მისი გამოყენების პროცესში:

– მიწა ბუნების პროდუქტია, იგი, როგორც ბუნებრივ-ისტორიული სხეული, არსებობს ადამიანის ყოველგვარი ჩარევის გარეშე. წარმოების საშუალება გახდა მას შემდეგ, რაც შრომის პროცესში შევიდა სამუშაო ძალასა და შრომის იარაღებთან ერთად, ადგილი დაიკავა როგორც შრომის საყოველთაო პირობამ და შრომის საგანმა.

– მიწის რაოდენობა (მოცულობა) განსაზღვრულია, ფართო გაგებით, მისი გადიდება ან შემცირება შეუძლებელია. საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად, წარმოების სხვა საშუალებები შეიძლება გაიზარდოს რაოდენობრივად, ძველი შეიცვალოს ახლით – უფრო სრულყოფილით, ერთი შეიცვალოს მეორით. მიწა კი შეუცვლელი საწარმოო საშუალებაა. მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, ეს თავისებურება სრულიად არ ნიშნავს

სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი მიწის რაოდენობის შეზღუდულობას. დადგენილია, რომ დედამიწის ზედაპირზე არსებული 10,5 მილიარდი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ვარგისი მიწიდან ათვისებულია მხოლოდ ერთი მილიარდი ჰექტარი ანუ 10%. რეზერვი საკმაოდ დიდია, საჭიროა გარკვეული ხარჯების გაღება და ფართობების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა.

– მიწის გამოყენება დაკავშირებულია მუდმივ ადგილთან. საწარმოო თვალსაზრისით, შეუძლებელია მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, მაშინ, როდესაც წარმოების საშუალებათა უმეტესობა (ტრაქტორი, მანქანა, კომბაინი და სხვ.) შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ადგილზე.

– წარმოების ბევრი საშუალება ცვდება, იმტვრევა, კარგავს თავის სასარგებლო თვისებას და წყობიდან გამოდის. მიწა არ ექვემდებარება დროის გამანადგურებელ მოქმედებას, – პირიქით, რაც უფრო კარგად იქნება დამუშავებული, მით უფრო მატულობს მისი მწარმოებლურობა, იზრდება მისი ნაყოფიერება.

– მიწის ზედაპირის ფორმა და კონფიგურაცია გამოყენების ყველა პერიოდში მუდმივია (მთები, მთისწინები, გორაკები, ბორცვები, ვაკეები, ტაფობები, ღვარცოფები და სხვ.). ადამიანი უნდა შეეგუოს მას, მოარგოს და მიუსადაგოს ყველა საწარმოო და საყოფაცხოვრებო საშუალება. წარმოების ბევრ სხვა საშუალებას შეიძლება შეეცვალოს ფორმა და კონფიგურაცია (მანქანა გაკეთდეს დაბალი, მაღალი, გრძელი, განიერი და სხვ.).

– სხვადასხვა ბუნებრივი პირობების გამო, მიწის ნაკვეთებს გააჩნიათ არაერთგვაროვანი ნაყოფიერება, მათი გათანაბრება

შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა მათი გამოყენება დიფერენცირებულად, პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე სხვადასხვა სიდიდის ხარჯების გაღება. ამგვარად, სოფლის მეურნეობაში მიწა მუდმივი და შეუნაცვლებელი საწარმოო საშუალებაა – საოპერაციო ბაზისი, შრომის იარაღი და საგანი. კ. მარქსი წერდა: “მთელი საზოგადოებაც კი, ერი და ერთ და იმავე დროს არსებული საზოგადოებანი, ერთად აღებული, არ არიან მიწის მესაკუთრენი. ისინი მხოლოდ მისი მფლობელები არიან, სარგებლობენ მით, როგორც ოჯახის კეთილი მამები, ისინი ვალდებული არიან დაუტოვონ იგი მომავალ თაობას გაუმჯობესებული.“ (45). დიდი ხნის წინათ ნათქვამი ეს სიტყვები დღესაც მოქმედებს, ასახავს მიწის რესურსების მოვლა-პატრონობის სამომავლო საჭიროებას და მიგვანიშნებს მიწისადმი მეტი ყურადღების გამოჩენის აუცილებლობაზე. ვფიქრობთ, მიწის თვისებებისა და სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს შეუცდომლად და სწორად გადავწყვიტოთ ჩვენს მიერ დასმული და დასამუშავებელი საკითხები და ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკვლევი ობიექტის მიწის ფონდის უფრო სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების ორგანიზაციის, მიწის რესურსების შესწავლისა და შემდგომი გამოყენების გზების დასახვის საქმეში.

12. ბუნებრივი პირობები

ქვემო ქართლის მხარის მიწები განლაგებულია საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კოორდინატების

მიხედვით, ჩრდილო განედის $41^{\circ} 00'$ და აღმოსავლეთ გრძედის $44^{\circ} 30'$ შორის. მიწათსარგებლობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ბორჯომის, გორის, კასპის და მცხეთის ადმინისტრაციული რაიონების მიწები; აღმოსავლეთის მხრიდან – საგარეჯოს რაიონის მიწები, სამხრეთიდან – აზერბაიჯანი და სომხეთი, ხოლო დასავლეთიდან ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების მიწები.

სივრცე, თავისი განფენილობით, ლოკალური სივრცით და მათი შემადგენელი ელემენტების სტრუქტურით, შექმნილია საკმაოდ რთული ოროგრაფიის წყალობით, დაყოფილია ლოკალურ-მატერიალურ სისტემებად, ფიზიკურ-გეოგრაფიულ ერთეულებად. საკვლევი ზონა მეტად რთული და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების მხარეა. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი ვლინდება როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, ქმნის ტერიტორიის ცალკეული ნაწილების და სამეურნეო მიმართულებების ნაირგვარობას.

საკვლევი ტერიტორია შემოფარგლულია მცირე კავკასიონის მთათა სისტემით. სამხრეთიდან მას ეკვრის ლოქის ქედის ჩრდილო ფერდობი, აღმოსავლეთიდან ესაზღვრება იორ-აჯინოურის ნაოჭა სტრუქტურისანი ზეგანი, დასავლეთიდან – ჯავახეთის ვულკანური წარმოშობის მთიანეთი და ჩრდილოეთიდან – თრიალეთის ქედის წაგრძელება. მთლიანობაში, ტერიტორია ქვემო ქართლის ბარად იწოდება, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: რუსთავის ვაკე (ლოჭინის, ყარაიას და რუსთავის ვაკეები; სიგრძე – 40კმ, სიგანე – 17კმ); მარნეულის ვაკე – სამკუთხედის ფორმის ტერიტორია (კუმისის, ბორბალო-ვაშლოვანის, სოღანლუღის ვაკეები; სიმაღლე – 50კმ, ფუძე – 40კმ); ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 60კმ-ზე

გრძელდება თრიალეთის ზეგანი და იალლუჯის მთები, რომელთა სიგრძე 17კმ-ია, ხოლო სიგანე – 11კმ.

გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური აღნაგობისა და გენეზისის მიხედვით ტერიტორია მეოთხეული, პალეოგენური, ნეოგენური და ცარცული სისტემებითაა წარმოქმნილი. ფართობის უმეტესი ნაწილი უჭირავს მეოთხეული სისტემის ნალექებს, შედარებით ნაკლები – პალეოგენურ სისტემას, შემდეგ მოდის ნეოგენური და ცარცული სისტემები. ოროგრაფიის შექმნაში, სინტიკლინურ და ანტიკლინურ ქმედებებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მდინარე მტკვარმა და მისმა შენაკადებმა: ხრამი, ალგეთი, მაშავერა, შულავერი და დებედა. ტერიტორიის დიდ ნაწილზე გავრცელებულია მეოთხეული სისტემის ალუვიურ-აკუმულაციური ნალექები, განსაკუთრებით დადაბლებულ ადგილებში. ისინი ამოვსებულია მესამეული, უმეტესად ნეოგენური და მეოთხეული სისტემის ნალექი ქანებით, რომელიც შედგება თიხნარი და ქვიშნარი ნალექებისაგან, ქვიშა-ქვებისაგან, კონგლომერატებისაგან, რიყნარისა და კირქვიანი შრეებისაგან. გავაკებებსა და ვაკე ადგილებში მრავლადაა გამოკვეთილი გამოზიდვის კონუსები და მათი შეერთებით შექმნილი შლიეფები. მეოთხეული აკუმულაციური ნალექების ქვეშ ჩამარხულია ყველაზე უფრო ძველი სხვადასხვა ქანი – კულტურული სუბსტატი. ტერიტორიის ოროგრაფიის შექმნაში ასევე დიდი როლი ითამაშა ვულკანური წარმოშობის მთიანეთმა. მდინარეთა ხეობებში ჩამოდიოდა ვულკანური ღვარები და იქმნებოდა გამოზიდვის კონუსები. გეოლოგიურმა და გეომორფოლოგიურმა პროცესებმა ხელი შეუწყო ტერიტორიაზე რთული რელიეფის წარმოქმნასა და მისი ნაირგვარი ფორმების შემდგომ განვითარებას. წყალ-ეროზიულ-

აკუმულაციურმა პროცესებმა განაპირობა რელიეფის მრავალნაირი გენეტიკური ტიპები: ტექტონიკური ქედები, მთები, სერები, ზეგნები, ბორცვები, დაბლობები, ვაკეები, გორაკები და ტაფობები. რელიეფის სირთულის, სიჭრელის და ფორმების სიმრავლის გამომხატველია ტერიტორიის დანაწევრებულობის, გადაკვეთილობის ხარისხის კოეფიციენტი. საკვლევი ზონის გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, ტერიტორიის დანაწევრებულობის კოეფიციენტი (ჰიდროგრაფიული ქსელის სიგრძის შეფარდება ფართობთან) ტოლია

$$K = \frac{660000\text{მ}}{677300\text{ჰა}} = 0,97$$

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, მხარის ტერიტორიის 49,1% ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლემდეა, 50,9% – 1000 მეტრის ზევით. კოეფიციენტი 0,97 ტერიტორიის საკმაოდ დანაწევრებულობაზე მიგვანიშნებს, რადგან, რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით უფრო დანაწევრებულია ფართობი და პირიქით. საკვლევი ობიექტის ტერიტორიის ზედაპირზე მოქმედი ეროზიული და სხვა სახის დამშლელ-გეოლოგიური პროცესების შესწავლა ცხადყოფს, რომ ტერიტორიის ზედაპირის დამშლელ-დამრღვევი მოვლენები გამოწვეულია როგორც ბუნებრივ-ისტორიული, ისე ანთროპოგენური მოქმედებებით. რთული ოროგრაფია და მრავალფეროვანი კლიმატური პირობები ხელს უწყობს მიწის ზედაპირის დაშლა-დარღვევას, ამას თან სდევს ადამიანის არასწორი სამეურნეო საქმიანობა – მიწის არასწორი დამუშავება, ტყეების გაჩეხვა, წიაღისეულის თუ საშენ მასალათა მოპოვება. ბოლო წლებში მეტად იმძლავრა მეწყერულმა, ღვარცოფულმა (სელევურმა) მოვლენებმა, წყალდიდობამ, მავნე ქარებმა, ირიგაციამ. ეკოლოგიური სამსახურის მონაცემებით, საკვლევ ზონაში სულ აღრიცხულია ეროზირებული მიწის 120 ათასი ჰექტარი,

აქედან სუსტად ეროზირებულია 27 ათასი ჰექტარი, საშუალოდ – 15 ათასი და ძლიერ ეროზირებულია 78 ათასი ჰექტარი. ქარისმიერი ეროზია გავრცელებულია 35 ათას ჰექტარზე. თრიალეთის ქედზე აღრიცხულია 800-მდე მეწყერი, განსაკუთრებით ბევრია სოფელ ბორბალოს ტერიტორიაზე, მდინარე კიტრეულას გასწვრივ. გ. ხარაიშვილის მონაცემებით, წალკის რაიონში 7-13° დახრილობის ფართობიდან ყოველწლიურად ერთ ჰექტარზე ირეცხება 55-159 მ³ ნიადაგი. ბალახის ნათესით დაკავებული ფართობიდან 10-20° დახრილობის შემთხვევაში ირეცხება 140 ტ/ჰა, ხეხილის ბაღებში – 35-136 ტ/ჰა, საძოვარზე – 1-144ტ/ჰა, ტყით დაკავებულ ფართობზე – 21-47 ტ/ჰა, დეგრადირებულ საძოვრებზე – 28-36 ტ/ჰა. ლ. ზემლიანსკის მონაცემებით, 5° დახრილობის ფერდობზე წელიწადში ირეცხება 500 მ³ნიადაგი, ხოლო 30° დახრილობის დროს – 1500-3000 მ³. ვინაიდან საკვლევი ზონის დიდი ნაწილი მნიშვნელოვანი დახრილობისაა, გასაგებია, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს ეროზიულ მოვლენებს. ეკოლოგიური გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი ფაქტორია მადნეულის საბადო და მისი დამუშავებით გამოწვეული უარყოფითი მოვლენები. როგორც სასმელი, ისე სამეურნეო და სარწყავი მიზნებისათვის გამოუსადეგარია მდინარე მაშავერას წყალი, მრავლადაა სარეკულტივაციო ფართობები და სხვა. საკვლევი ზონის ეკოლოგიური გარემოს გასაუმჯობესებლად საჭიროა ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. ამ საკითხის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

ჰიდროლოგიური პირობების მხრივ, საკვლევი ობიექტი მდიდარია წყლის რესურსებით. წყლის მიღების წყაროებია: მდინარეები, ღელეები, ტბები, წყალსაცავები, ტბორები, გუბურები,

მიწისქვეშა წყლები და ატმოსფერული ნალექები. მდინარეთა საერთო ქსელის მთავარი არტერია მდინარე მტკვარია, თავისი მარჯვენა შენაკადებით – ხრამი, ალგეთი, მაშავერა, შულავერი, დებედა და მარცხენა შენაკადით – მდინარე ლოჭინი.

ლ. ვლადიმროვის მიხედვით (1962 წ.), მდ. მტკვრის წლიური და სეზონური წყლიანობა ასეთ სურათს იძლევა:

ცხრილი 1

მდინარის დასახელება	წლ. ჩამონადენი მილიონ კუბ. მეტრობით	ჩამონადენის განაწილება პროცენტებში – სეზონების მიხედვით %-ში			
		ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
მტკვარი თბ.	7150	10	48	28	14
ხრამი	2020	12	42,8	28,5	16,4
მაშავერა	275	13,6	40,9	27,4	18,1
დებედა	920	11,1	48,5	27,8	12,7

მდინარე მტკვრის წყალდიდობა მარტის თვის მეორე ნახევარში იწყება. მაქსიმუმს აღწევს მაისის თვეში. წყალმცირობაა შემოდგომასა და ზამთარში. რაც შეეხება მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადებს, რომლებიც ჯავახეთის ვულკანური წარმოშობის მთებიდან და თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთის კალთებიდან მოედინება, ზამთარში ხარჯის ნაკლებად მყარი რეჟიმით, ადრეული წყალდიდობით და აპრილში მისი მაქსიმალურობით ხასიათდება. წყალი კარგი ხარისხისაა, გამოიყენება სასმელი, სამეურნეო და სარწყავი მიზნებისათვის. აღნიშნული მდინარეების წყლით ივსება ტერიტორიაზე მოქმედი სარწყავი სისტემები: ზემო სამგორის, ქვემო სამგორის, გარდაბნის და თელეთის. გარდა ამისა, ლოკალური რწყვისთვისაა გამოყენებული ალგეთის, მაშავერას, შულავერის, დებედას და ლოჭინის მდინარეთა წყლები.

წყლის საკმაოდ დიდი მარაგითაა წარმოდგენილი ტბები და წყალსაცავები: ჯანდარის, კუმისის, ბარეთის, საწთას ტბები, ხრამისა და წალკის წყალსაცავები. ასევე ათამდე მცირე ზომის გუბურა, რომლებიც გამოყენებულია თევზსაშენად და სხვა სამეურნეო მიზნებისათვის.

კლიმატური პირობების ნაირგვარობა გამოწვეულია ვერტიკალური ზონალობის მრავალფეროვნებით. ზღვის დონიდან ყველაზე დაბალი წერტილი წითელ ხიდთანაა – 708 მ, ყველაზე მაღალი ადგილი კი – ხეთის ქედზე გამავალ საზღვართან (აღრივარი) – 2972 მ. ცხადია, სიმაღლეთა ასეთი დიდი ამპლიტუდა კლიმატური პირობების მრავალფეროვნების მანიშნებელია. ვითვალისწინებთ რა კლიმატური პირობების თავისებურების გავლენას სასოფლო-სამეურნეო წარმოებებზე, საჭიროდ ვთვლით მის განხილვას ცალ-ცალკე, ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულების მიხედვით.

რუსთავის ვაკის ჰავა მშრალი სუბტროპიკულია. ყველაზე ცივი თვის (იანვარი) ჰაერის საშუალო ტემპერატურა 0°-ია, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 22°-მდე. მარტში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 6,8°-ია, მაისში – +17,8°. ყინვები იწყება 5 ნოემბერს, მთავრდება აპრილის შუა რიცხვებში. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა წელიწადში 216 დღეა. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მოდის გაზაფხულზე – 133 მმ. ნალექების წლიური და თვიური რაოდენობა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში – 2 ზამთრის განმავლობაში ნალექების 12% მოდის, შეფარდებითი სინოტივე ზამთარში 67-68 %-ია, ხოლო აბსოლუტური სინოტივე – 4,8 მილიბორიდან (იანვარი) 5,7 მილიბორამდე (დეკემბერი).

მაქსიმალური ტემპერატურა ზაფხულში 38°-ზე ქვევით არ ეშვება. 10°-ზე მაღალი მდგრადი ჰაერის ტემპერატურათა ჯამი 4213° უდრის. წლიური საშუალო დატენიანების კოეფიციენტი 0,41-ია.

რუსთავის ვაკის ტერიტორიაზე მოსული ნალექების რაოდენობა

ცხრილი 2

ეპიცი- სადგური	თ ვ ე ე ბ ი												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ვაზიანი	15	22	30	38	93	46	42	22	39	28	42	24	441
საცდელი მინდორი	11	18	26	42	65	54	25	28	37	31	29	17	383

მარნეულის ვაკის კლიმატის შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ციკლონურ პროცესებს, ზოგჯერ ხდება ჰაერის მასების გადაცივება, დგება ცივი ზამთარი. როდესაც კავკასიონის შემოვლით რაიონში შემოიჭრება არქტიკული ჰაერის მასები, ეცემა ტემპერატურა. ზამთრის პერიოდში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 0,2°-დან 0,8°-მდე დადის. ტემპერატურის ცვალებადობა მოცემულია ცხრილ 3-ში.

მარნეულის ვაკის ტემპერატურის მონაცემები თვეების მიხედვით გრადუსებში

ცხრილი 3

მეტეორო- ლოგიური სადგური	თ ვ ე ე ბ ი												საშ. წლ.
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბოლნისი	-0,2	1,6	6,3	11,3	16,0	20,1	22,9	22,7	18,2	12,8	6,6	2,1	11,7
კუმისი	-0,3	1,4	6,3	11,4	16,9	21,0	24,2	24,1	19,2	13,4	6,9	2,0	12,2

გაზაფხულზე მოსული ნალექების ჯამი 170 მმ-ია. ნალექების უმეტესი ნაწილი მოდის მაისში (85 მმ). ნალექების წლიური ჯამი, მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების მიხედვით, ასეთია: ქვეში – 491 მმ, შაუმიანი – 440, ბოლნისი – 493, კუმისი – 391, ჯანდარა – 490, სადახლო – 458 მმ. ზაფხულის თვეებში აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 35°-ზე ქვევით არ ეშვება. სინესტის ბალანსი მთელი წლის განმავლობაში უარყოფითია. სინესტის წლიური უკმარისობა, მეტეოროლოგიური სადგურების მასალებით, ასეთია: კუმისი – 375 მმ, ჯანდარა – 180 მმ, ბოლნისი – 195 მმ. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4213°-ია, წლიური საშუალო შეფარდებითი სინოტივე – 64-70%.

მთელი წლის განმავლობაში ჭარბობს ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარები. თბილ პერიოდში ქრის სამხრეთის ქარიც. ქარის სიჩქარე 2,6 მ/წმ-ს აღწევს.

იალლუჯის ქვერაიონის კლიმატი ზომიერად თბილი ტემპერატურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავით ხასიათდება, ზაფხული ცხელია. ივლისის თვის საშუალო ტემპერატურა 25°-ის ფარგლებშია, იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა – 0°-მდე. 10°-ზე მაღალი მდგრადი საშუალო დღეღამურტემპერატურიანი პერიოდის ჰაერის ტემპერატურათა ჯამი 3500°-მდეა. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა, საშუალოდ, 13-14°-ს შორის მერყეობს. პირველი ყინვები ნოემბერში იწყება და აპრილის პირველ დეკადაში მთავრდება. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 400 მმ აღწევს. დიდია აორთქლება. წლიური საშუალო დანესტიანების ხარისხი 0,6 უდრის.

მკვეთრად განსხვავებული კლიმატური პირობებითაა წარმოდგენილი მხარის ტერიტორიის მაღალი ზონის – დმანისის, წალკის და ნაწილობრივ თეთრი წყაროს რაიონის ფართობები, რომლებიც ძირითადად ჯავახეთის ვულკანური მთიანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ და თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზეა განლაგებული, ხასიათდება მშრალი კონტინენტური და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული, მშრალ კლიმატში გარდამავალი ჰავით. აღნიშნული ტერიტორია, კლიმატური ზონების მიხედვით, შესწავლილია ორ ზოლად – 1400 მეტრამდე და 1400 მეტრის ზევით (ცხრილი 4).

**ჯავახეთის ვულკანური მთიანეთის ჰაერის ტემპერატურის
მაჩვენებლები გრადუსებში**

ცხრილი 4

სადგურები	სიმაღლე ზ.დ.	ჰ ა ე რ ი ს ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ ა					
		იანვარი	აგვისტო	აპრილი	ოქტომბერი	წლიური	წლიური ამპლიტუდა
თეთრი წყარო	1143	-1,9	19,0	7,6	9,8	8,6	20,9
დმანისი	1240	-2,5	18,8	7,4	9,1	8,1	21,3

ზამთრის ორი თვის (იანვარი, თებერვალი) საშუალო ტემპერატურა 0°-ზე დაბალია. უყინვო პერიოდი გრძელდება აპრილის მეორე ნახევრამდე, ნოემბრის პირველ რიცხვამდე. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ზონის მეტ ნაწილში ეცემა 22°-მდე. მთელ ზონაში საშუალო ტემპერატურა 15° აღემატება, 3 თვის

განმავლობაში 5°-ზე მეტი ტემპერატურა გრძელდება 220 დღე. გაბატონებულია დასავლეთის ქარები. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 4 მ/წმ. ზაფხული მეტად ქარიანია. ღრუბლიანობა 60%-ია, ნალექები – 500-800 მმ. ნალექები მაისში 120 მმ-ია, იანვარში – 20 მმ, ნალექიან დღეთა რიცხვი – 120 მმ. თოვლის საფარი 20-40 სმ-ია, ელვა-ქუხილი – 40 დღე, სეტყვა – 4-6 დღე წელიწადში, ნისლი – 100 დღე.

წალკა-დმანისის პლატო – 1400 მ-ის ზევით იანვრის ტემპერატურა 5°-მდეა. სამი-ოთხი თვე ტემპერატურა უარყოფითია. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა 25-30°-მდე ეცემა. უთბილესი თვის ტემპერატურა 19-15°-ია (5-4 თვე წელიწადში). წელიწადის საშუალო ტემპერატურა 10°-ს აღემატება. წალკის მეტეოროლოგიური სადგურის მიხედვით, 1464 მ.ზ.დ იანვარში ტემპერატურა 5,3°-ია; აგვისტოში – 15,8°, აპრილში – 5,0°, ოქტომბერში – 7,7°; საშუალო წლიური – 5,8°. ცივია წალკის პლატო. საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა 23°-ია. ყინვები ოქტომბრიდან მაისამდე გრძელდება. ნალექები 500-800 მმ-ია, ნალექიანი დღე – 140, თოვლის საბურველი – 12 სმ, ნისლიან დღეთა რაოდენობა – 80; სეტყვა – ერთი-ორი დღე წელიწადში, სინოტივე – 75%, დანესტიანების კოეფიციენტი – 1-1,5.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სწორად გაადგილებისა და მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია კლიმატური პირობების განხილვა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით.

ქვემო ქართლის ბუნებრივ-სამეურნეო დარაიონების მაჩვენებლები

ცხრილი 5

ისტორიულ-გეოგრაფიულ	ბუნებრივ-სამეურნეო რაიონი	ადმინისტრაციული რაიონი	საშ. წლიური ტემპ. (გრადუსი)	აქტ.-ტემპ.ჯამი $\Sigma 1^{\circ} < 10$	სავეგეტაციო პერიოდის	ნალექების ჯამი		ჯამური რადიაცია კვადრ/სმ წელ	მეტეოროლოგ სადგური
						წლიური	საგ.პერიოდი		
ქვემო ქართლი	რუსთავის ვაკე	გარდაბანი	12,9	4088	265	378	331	125-130	გარდაბანი
	თბილისი-მარნეულის რაიონი	მარნეული	12,1	3873	260	495	429	120-125	მარნეული
	ჯავახეთის მთიანეთი	ბოლნისი	9,6	2543	150	760	671	120-125	ბოლნისი
		ღმანისი	9,5	2543	163	648	247	135-145	ღმანისი
		თეთრი წყარო	8,6	2515	175	745	254	130-145	თეთრი წყარო
		წალკა	5,9	1908	136	553	406	145-150	წალკა

რუსთავის ვაკის ნიადაგები, მშრალი სტეპური კლიმატის პირობებში, აბზინდიან-უროიანი მცენარეული საფარის ქვეშ განვითარებული წაბლა ნიადაგების კომპლექსის სახითაა წარმოდგენილი. გაბატონებულია წაბლა, მუქი წაბლა ტიპის ნიადაგები. ღია წაბლა ნიადაგში ჰუმუსიანი ჰორიზონტის სისქე 25 სმ-ია, ჰუმუსის შემცველობა – 2%. ნიადაგი გამოირჩევა თავისი კარბონატულობით. წაბლა ნიადაგების ჰუმუსის შემცველობა 3,5%-მდეა. გვხვდება სუსტად დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგები. ლოჭინის ვაკეზე გავრცელებულია ნეშომპალა სულფატური (გაჯიანი) ნიადაგები. მდინარე მტკვრის გაყოლებით გაბატონებულია

ალუვიური, მდელოს ძლიერ ხარხატიანი თიხნარი და თიხიანი ნიადაგები.

მარნეულის ვაკის ნიადაგები მრავალი ტიპისაა, რაც ტერიტორიის რელიეფური და ლითოლოგიური აგებულებითაა განპირობებული. გაბატონებულია წაბლა, აგრეთვე, ტყის ყავისფერი ნიადაგების კომპლექსი. ვაკეზე გავრცელებულია წაბლა ნიადაგები. ბიცობიანი და დამლაშებული ნიადაგები, წვრილი კომპოვანი სტრუქტურით და ჰუმუსიანი ჰორიზონტის 20-25 სმ სისქით, გავრცელებულია მდინარე ალგეთისა და მტკვრის წყალშუეთში, ჰუმუსის შემცველობა 2-2,5%-ია, მუქწაბლა ნიადაგებში – 3,5%. მექანიკური შედგენილობა მძიმე თიხნარი და თიხოვანია. მუქწაბლა ნიადაგებს დიდი ფართობი უკავია მდინარე მაშავერას მარცხენა ნაპირზე. იგივე ნიადაგებია ყულარშიც. გარკვეული ზომის ფართობი უკავია დამლაშებულ და მლაშე ნიადაგებს. ალუვიური ნიადაგები გვხვდება მდინარეთა აუზებში. მთისწინებში გავრცელებულია ტყე-ველისა და ტყის ნიადაგები. მთისწინებში ნიადაგები მცირე სისქისაა და ძლიერ ხირხატიანი. დისველის პლატოზე დიდი ფართობი უჭირავს შავმიწებს. მძიმე მექანიკური შედგენილობის და კარგი სტრუქტურისაა ტაფანის ვაკის ნიადაგები. ნოყიერი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებია გავრცელებული სოფ. ხვალას, წყნარი აბანოს, ფიტარეთის, დურნუკის და წინწყაროს მიდამოებში – 6% ჰუმუსის შემცველობით. მდინარე ალგეთისა და მაშავერას ნაპირებზე გვხვდება ალუვიური ნიადაგები.

იალღუჯის მაღლობის ქვერაიონი მეტწილად წარმოდგენილია წაბლა ნიადაგების კომპლექსით. მაღლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, აგრეთვე ჯამლის ქედზე, საშუალო და მძიმე თიხნარი,

მუქი წაბლა ნიადაგებია გავრცელებული, ზოგან – დამლაშებული და ბიცობიანი. დადაბლებულ ნაწილში საშუალო სისქის ხირხატიანი მუქწაბლა ნიადაგებია. საერთოდ, იალლუჯის ნიადაგები მაღალნაყოფიერი და ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა-მოყვანისათვის.

მთისწინების, დმანისი-წალკისა და ნაწილობრივ თეთრი წყაროს რაიონების ტერიტორიები ძირითადად წარმოდგენილია რუხი ყავისფერი, მდელოს რუხი ყავისფერი, ტყე-ველის და მთა-მდელოს კარგი სტრუქტურისა და ნაყოფიერი ნიადაგებით.

რუსთავის ვაკის მცენარეული საფარი ნახევარუდაბნოს მცენარეულობის ტიპს ეკუთვნის, წარმოდგენილია ავშნიანი და მლაშობი მცენარეულობის ნაირსახეობით, წამყვანი კულტურებია ჩანარი, ყარლანი, პეტროსიმონია, ფერდობზე გავრცელებულია ხურხუმო. გვხვდება ველის წივანა, ვაციწვერა, დიდი ფართობი უჭირავს კულტურულ მცენარეულობას. მდინარე მტკვრის გაყოლებით შემორჩენილია ტუგაის ტყეები. აღრიცხულია შემდეგი ტიპის ლანდშაფტი:

1) ტერასული ვაკის წაბლა ბიცობიან და გაჯიან ნიადაგებზე განვითარებული უროიანი ლანდშაფტი (ლოჭინის ვაკე, ფონიჭალის ველი);

2) ნახევარუდაბნოს სტეპური ვაკე წაბლა მლაშობი და ბიცობიანი ნიადაგებით (რუსთავის ვაკე).

მარნეულის ვაკის მცენარეული საფარი წარმოდგენილია მრავალი ბუნებრივი მიკროკომპლექსით, რაც განპირობებულია რელიეფის, კლიმატის, ჰიდროლოგიის და ნიადაგების მრავალფეროვნებით. გავრცელებულია როგორც ნახევარუდაბნოსთვის, ისე ტყისთვის

დამახასიათებელი ტიპები. ვაკეებზე ბატონობს უროიანი ველი, მთისწინებში, ჯაგეკლიან-უროიანთან ერთად, გვხვდება იონჯა, ძირტკბილა, კუტიბალახა, გოდერძი, ფარსმანდუკი, მინდვრის ნემსა და სხვ. უფრო შემადლებულ ადგილებში ხარობს ვაციწვერა, ექსპარსეთი, ჭინჭარი, კუმისის მთის მიდამოებში – ყარღანი, ავშანი, ხვარხვარა. ბოლნისისა და თეთრი წყაროს მიდამოებში გავრცელებულია ჯაგეკლიანი ველი (ძეძვი, შავჯაგა, ნუში, სალსაღაჯი, გრაკალი, ჯაგრცხალა და სხვ.), ხრამის ხეობაში, მდინარე ყარაბულახიდან სამშვილდემდე, – ნათელი ტყეები (აკაკი, ნეკერჩხალი, თელა, იფანი, შინდი, კუნელი, პანტა, ძეძვი). გამოკვეთილია ლანდშაფტის შემდეგი ტიპები:

1) ალუვიური ვაკის წაბლა ნიადაგებზე – უროიანი და აბზინდიან-უროიანი ველი, კუმისი-წალკის ყურის ვაკე, მდინარე მაშავერას მარჯვენა მხარის ვაკე, შაუმიანის, ყულარის და შულავერის ვაკეები, მდინარე ხრამისა და ალგეთის წყალშუეთი, იაღლუჯის მაღლობისა და მდინარე ალგეთს შორის მდებარე ვაკე;

2) ჭალის (ტუგაის) ტყე – გავრცელებულია მდინარეთა ნაპირებზე. მიუყვება ხრამს ვიწრო ზოლად სოფელ არახლომდე. გასდევს მდინარე დებედას;

3) მთისწინების ყავისფერ ნიადაგებზე – ჯაგრცხილნარი მდინარის ლანდშაფტი, თრიალეთის ქედის სამხრეთი მთისწინები მდინარე ალგეთის გასწვრივ 900 მ-მდე;

4) ბორცვიანი პლატოს ყავისფერ და წაბლა ნიადაგებზე – ტყიან-ბუჩქნარიანი ლანდშაფტი, – ქვემო ქართლის პლატო;

5) ბორცვიანი მთისწინების ტყის და მდელოს ყავისფერ ნიადაგებზე – ჯაგეკლიანი მუხრანი ლანდშაფტი;

6) ტერასული ვაკის წაბლა და ბიცობიან ნიადაგებზე – შიბლაკიანი ველის ლანდშაფტი (ფონიჭალის ვაკე);

7) ვაკე-ტაფობი, ბიცობიანი და დაჭაობებული ნიადაგები, ჰალოფიტური მცენარეულობით (კუმისის ტბის ტაფობი).

იალლუჯის მაღლობის მცენარეული საფარის ფონს ქმნის უროიანი ველი. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ურობალახიან ველს უჭირავს. ლოკალურად გავრცელებულია ნახევარუდაბნოს მცენარეულობა: აბზინდა, ავშანი, ყარლანი, ხვარხვარა, ურო, კაპუეტა. მაღლობის ხევ-ხეობებში არის ჯაგეკლიანი ბუჩქნარები. გავრცელებულია ლანდშაფტის ორი ტიპი:

1) პენეპლენიზებული მაღლობის ხირხატთან წაბლა ნიადაგებზე – უროიანი და უროიან-აბზინდიანი ველის ლანდშაფტი – იალლუჯის მაღლობის ცენტრალური ნაწილი;

2) მშრალი ხევებით დახრამულფერდობიანი სერების მუქწაბლა, სუსტად დამლაშებულ და ბიცობიან ნიადაგებზე – უროიანი ველის ლანდშაფტი, მწარე-მლაშე ნაკადულებითა და წყაროებით – ვარაჯამთისა და ჯამალის სერები, აგრეთვე მტკვრისაკენ მიმართული ფერდობები.

დმანისის და წალკის ზონის ტერიტორია დაფარულია ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეებით, ბალახნარით. მოჰყავთ ბოსტნეული, კარტოფილი, ძირხვენები და მარცვლეული. ხე-მცენარეებიდან უმეტესად ხარობს წიფელი.

1.3. მხარის ეკონომიკური პირობები

1.3.1. შრომითი რესურსები

საერთოდ წარმოებისა და კერძოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი რესურსებია (ფაქტორები) მიწა, კაპიტალი (მატერიალური რესურსები) და შრომა. შრომის რესურსები მოიცავს ადამიანის მიერ გაწეულ შრომას, საქმიანობას, რომლითაც იგი ზემოქმედებს ბუნებაზე, სახეს უცვლის ბუნებრივ საგნებს, ხარჯავს თავის ფიზიკურ ძალას და იყენებს ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ქმნის თავისთვის საჭირო პროდუქციას. სწორედ სამუშაო

აო ძალაში იგულისხმება ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ერთიანობა. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი საკვლევო ობიექტის შრომითი რესურსების პოტენციალის გამოვლენა და მისი პერსპექტიული გამოყენების ორგანიზაციის ასპექტებია.

ქვემო ქართლის მხარე გამორჩეული და სპეციფიკურია არა მარტო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით, არამედ მეტად ნაირგვარი, ჭრელი ეთნიკური შემადგენლობით. 2005 წელს მხარის მოსახლეობის შესწავლამ ნათელყო, რომ მთლიანი მოსახლეობის 44,94% ქართველია; 45,24% – აზერბაიჯანელი; 0,03% – აფხაზი; 0,45% – ოსი; 6,40% – სომეხი; 1,32% – რუსი; 1,42% – ბერძენი; 0,10% – უკრაინელი; 0,01% – ქისტი და 0,09% – იეზიდი (იხ. ცხრილი 6).

მუდმივი მოსახლეობის განაწილება ცალკეული ეროვნების მიხედვით
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მხარეების) ქალაქებისა და რაიონების ჭრილში

ცხრილი 6

	მოსახლეობა სულ	მ ა თ შ ო რ ი ს									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტა	იუდი
ქვემო ქართლი	496 091	222 450	183	2184	31777	6464	224 606	7 415	527	22	463
%	100%	44,94	0,03	0,45	6,10	1,32	45,24	1,42	0,10	0,01	0,09
ქრუსთავი	115 930	102 151	44	1410	2809	3563	4 993	257	395	15	293
ბოლნისი	74 249	19 926	35	80	4316	414	49 026	438	14	—	—
გარდაბანი	113 808	60 832	48	412	1060	994	49 993	236	65	6	162
დმანისი	28 024	8 759	9	12	147	156	18 716	218	7	—	—
მარნეული	118 108	9 503	29	47	9329	523	98 245	396	29	1	6
თეთრი წყარო	25 247	18 769	16	205	2632	689	1 641	1 281	14	—	—
წალკა	20 725	2 510	2	18	11484	125	1 992	4 589	3	—	2

ცხადია, მოსახლეობის ასეთი მრავალფეროვნება მოითხოვს როგორც წარმოების, ისე საყოფაცხოვრებო პირობების განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ხალხის ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები, შრომითი ჩვევები და სხვა, ამა თუ იმ ეთნოსისთვის დამახასიათებელი პირობები.

ეროვნების მიხედვით, ქართველები ჭარბობენ გარდაბნის და თეთრი წყაროს რაიონებში, აზერბაიჯანელები – მარნეულის, დმანისის და ბოლნისის რაიონებში, ბერძენი – წალკის რაიონში, სომხების მნიშვნელოვანი რაოდენობაა მარნეულის, თეთრი წყაროს და წალკის რაიონებში. ქვეყანაში მომხდარმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მოსახლეობის რიცხოვნობა. 1989 წელთან შედარებით, 2002 წლისათვის შემცირებულია წალკისა და დმანისის რაიონების მოსახლეობა. მთლიანად მხარეში მოსახლეობა შემცირდა 31%-ით, წალკის რაიონში – 79%, დმანისში – 61%-ით (იხ. ცხრილი 7).

ქალაქების მოსახლეობის რიცხოვნობა

(მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ათასი კაცი)

ცხრილი 7

ობიექტის დასახელება	1989 წ.	2002 წ.	2002 წ. %-ობით, 1989 წელთან შედარებით
ბოლნისი	14,9	9,9	66,4
გარდაბანი	17,0	11,9	70,0
დმანისი	8,6	3,4	39,5
თეთრი წყარო	8,6	4,0	46,5
მარნეული	27,1	20,1	74,2
წალკა	8,0	1,7	21,3
რუსთავი	159,0	116,4	73,2
სულ	243,2	167,4	68,83

თუ ამ ცხრილის მიხედვით ვიმსჯელებთ, მოსახლეობიდან სოფლად ცხოვრობს სულ 344 545 ადამიანი. ეკონომისტები ერთ ოჯახზე, საშუალოდ, 4 სულს ანგარიშობენ, აქედან შრომისუნარიან 2 კაცს. ამგვარად, შრომისუნარიანთა რიცხვი, ცალკეული რაიონების მიხედვით, შეადგენს ბოლნისის რაიონში – 32 227; გარდაბნის – 50 409; დმანისის – 13 417; თეთრი წყაროს – 11 928; მარნეულის – 53 914 და წალკის რაიონში – 10 081 ადამიანს. მუშახელის სიმრავლით გამორჩეულია გარდაბნისა და მარნეულის რაიონები, ნაკლებობით – წალკის და თეთრი წყაროს რაიონები. რიცხოვნობრივად, თითქმის ყველგან ჭარბობს ქალი.

**ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული,
შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა**

ცხრილი 8

ობიექტის დასახელება	მთელი მოსახლეობა				მათ შორის								
	სულ	მათ შორის			სულ	კაცი			ალი				
		15 წელ-ზე ნაკლები	15-დან 64 წლამდე	65-ზე მეტი		სულ	15 წელ-ზე ნაკლები	15-დან 64 წლამდე	65-ზე მეტი	სულ	მათ შორის		
							15 წელ-ზე ნაკლები	15 წელ-ზე ნაკლები	15-დან 64 წლამდე	65 და მეტი წლის			
ქვემო ქართლი	344545	67988	233885	42672	170077	35811	116052	18214	174469	32177	117834	24458	
ბოლნისი	65055	13278	43734	8043	32283	6959	21877	3447	32772	6319	21857	4596	
გარდაბანი	100809	17614	71104	12091	49645	9235	35131	5279	51164	8379	35973	6812	
დმანისი	26834	5888	16464	4482	13334	3214	8153	1967	13500	2674	8311	2515	
თეთრი წყარო	23856	3999	14577	5280	11686	2101	7349	2236	12170	1898	7228	3044	
მარნეული	107829	22616	75577	9636	53254	11964	37326	3964	54576	10652	38252	5672	
წალკა	20162	4593	12429	3140	9875	2338	6216	1321	10287	2255	6213	1819	

ზემოთ მოყვანილი ცხრილის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვემო ქართლის მხარიდან დიდი რაოდენობის მუშახელია გასული სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით შრომისუნარიანი ახალგაზრდა და ჯანმრთელი თაობა. ეს განპირობებულია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების დაკნინება-დაცემით. გასული თხუთმეტი წლის განმავლობაში მხარის მეურნეობას თავს დაატყდა არაერთი ავბედობა (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაშლა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზრების შემცირება და სხვ.). მიუხედავად აღნიშნულისა, მხარის ზოგიერთი რაიონის მუშახელით უზრუნველყოფის საკითხი იმედის მომცემი და პერსპექტიულია. ეს განსაკუთრებით ეხება გარდაბნისა და მარნეულის რაიონებს, საგარეუბნო ზონის ისეთ ადგილებს, სადაც დედაქალაქის ბოსტნეულითა და რძის პროდუქტებით მომარაგების მთავარი არტერია გადის. აუცილებელია არსებული შრომითი რესურსების

რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების ორგანიზაცია, მუშახელის დასაქმების უზრუნველყოფა.

1.3.2. მიწის ფონდი

ბუნებრივ პირობათა მრავალფეროვნების მთავარი მახასიათებელი მაინც მიწის რესურსების ნაირგვარობა და სიჭრელეა, რომლის მთავარი ინდიკატორი ნიადაგების სახესხვაობის სიმრავლეა – მაღალნაყოფიერიდან დაწყებული მწირი ხარისხის ნიადაგებით დამთავრებული. მხარის მიწის ფონდის სტრუქტურული შედგენილობა, ადმინისტრაციული რაიონების ჭრილში, მოყვანილია ქვემოთ, ცხრილში 9.

მიწის სავარგულების სტრუქტურული შედგენილობის მიხედვით კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება მარნეულის რაიონი, სადაც მთლიანი ფართობის 73,2% სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 50,9% – მაღალინტენსიურ მიწის სავარგულებს (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები); გარდაბნის რაიონში – შესაბამისად, 48,1% და 55,6%. მაღალინტენსიური მიწის სავარგულების დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი ბოლნისის რაიონი – 60,5%. შედარებით დაბალი ხარისხის სტრუქტურული შედგენილობისაა თეთრი წყაროს მიწის ფონდი: სახნავებსა და მრავალწლიან ნარგავებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 36,5% უჭირავს. მიწის საერთო ფართობში მაღალია დმანისისა და წალკის რაიონების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი – 71,8% და 77,9%.

ქვემო ქართლის მხარის მიწის ბალანსი, 2005 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით

ცხრილი 9

№	რაიონის დასახელება	საერთო ფართობი (ჰა)	ა ქ ე რ ა ნ									სათიბი (ჰა)	საძოვარი (ჰა)	მათ შორის ზამთრის (ჰა)	დაზიანებული მიწები	ტყე	მინდორსაცავი ტყის ზოლი	ბუჩქნარი	ჭაობი	წყლის ქვეშ	ბუები	შენიშნავებები	სხვა დანარჩენი მიწები
			სასოფლო-სამეურნეო სავარგული (ჰა)	სახნავი (ჰა)	სუქ	მრავალწლიანი ნარგავები																	
						მათ შორის																	
						ბაღი	გენახი	თუთა	კაკალი	ნასვენნი	სხვა დანარ.												
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
1	ბოლნისი	80580	31428	17326	1696	476	638	183	-	399	52	397	11457	-	-	39911	-	2143	3	283	2059	2210	2543
2	გარდაბანი	160900	77435	37548	5478	4269	1097	-	112	-	-	2193	32216	19184	207	19488	1920	1891	398	10384	4324	18730	26123
3	ღმანისი	119880	85947	12072	961	815	-	-	-	47	-	13331	59583	-	-	23936	55	689	112	1256	1800	1429	4656
4	თეთრ.წყარო	117446	50751	17851	677	271	309	-	-	97	196	6478	25549	-	653	54489	-	2089	75	1036	3874	2644	1835
5	წაღკა	105062	81768	17384	171	171	-	-	-	-	-	14513	49700	-	-	6326	-	-	223	4112	1599	560	10474
6	მარნეული	93500	68457	32435	2409	596	1510	175	-	128	-	2033	31580	21065	43	10664	341	1454	236	2747	2262	2865	4431
7	ქვემო ქართლი	677368	395786	134616	11392	6598	3554	358	112	671	248	39445	210085	40259	903	154814	2316	8266	1047	19818	15918	28438	50062

მეტად მცირეა მაღალინტენსიური მიწის სავარგულების პროცენტული შედგენილობა დმანისისა და წალკის რაიონების (15,1% და 21,4%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობში. ამდენად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შესაძლებლობების მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელია მარნეულისა და გარდაბნის რაიონების მიწის ფონდი.

მიწის რეფორმის შედეგად წარმოქმნილი საკუთრების ფორმების (სახელმწიფო და კერძო) ამსახველი სიდიდეები, ცალკეული რაიონების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 10.

მიწის რეფორმის შედეგების ანალიზის მიხედვით, ბოლნისის რაიონში კერძო საკუთრებაშია გადასული მთლიანი ფართობის 6,7%, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 16,2%, მაღალინტენსიური მიწის სავარგულების (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები) 26,6%; გარდაბნის რაიონში – შესაბამისად, 10,6%, 20,4%, 36,5%. დმანისის რაიონში – 0,44%, 58%, 38,4%; თეთრი წყაროს რაიონში – 8,6%, 17,3%, 38,6%; მარნეულის რაიონში – 9,7%, 12,8%, 22,5% და წალკის რაიონში – 10,3%, 11,2%, 54,5%; სულ რეგიონში – 8,6%, 13,9%, 35,4%. ბოლნისის რაიონში სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილია სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართობის 73,4%, გარდაბნის რაიონში – 63,5%, დმანისის – 96,2%, თეთრი წყაროს – 61,4%, მარნეულის – 77,5% და წალკის რაიონში – 45,5%; მთლიანად რეგიონში – 64,6%. ანალიზი ნათელყოფს, რომ რეგიონში საკმაოდ დიდი ფართობია იჯარის უფლებით გაცემული და გაუცემელი. ვრცელი ფართობია დარჩენილი მარნეულის რაიონში – 77,5%, გარდაბნის რაიონში – 63,5%, ბოლნისის რაიონში – 73,4%.

ქვემო ქართლის მხარის მიწის ბალანსი საკუთრების მიხედვით, 2005 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით

ცხრილი 10

№	რაიონი	საკუთრების ფორმა	საერთო ფართობი (ჰა)	ს/ს საგარეუკული (ჰა)	სახნავი (ჰა)	აქედან						ნასვენი	სათიბი	საძოვარი	სამეურნეო კურობები	ტყეები	მინდორსაც. ტყის ფოთი	ბუჩქნარი	ჭაობი	წყლის ძვეშ	ბუები	შენიშნულბელები	სხვა დანარჩენი		
						მრავალწლიანი ნარგავი																			
						სულ	მათ შორის																		
							ბალი	ვენახი	თუთა	კაკალი	სხვა დან.														
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24		
1	ბოლნისი	კერძო	5403	5082	4518	558	408	143	7				6										321		
		სახელმწიფო	75177	26346	12808	1138	68	495	176			399	52	891	11457		39911		2143	3	283	2059	2210	2543	
		სულ	80580	31428	17326	1696	476	638	183			399	52	897	11457		39911		2143	3	283	2059	2210	2543	
2	გარდაბანი	კერძო	17391	15784	10765	4992	4015	977					27									829	778		
		სახელმწიფო	143509	61651	26783	486	254	120			112			2166	32216	207	19488	1920	1891	398	10384	3495	17952	26123	
		სულ	160900	77435	37548	5478	4269	1097			112			2193	32216	207	19488	1920	1891	398	10384	4324	18730	26123	
3	ღმანისი	კერძო	5381	5035	4200	815	815						20									85	261		
		სახელმწიფო	114499	80912	7872	146	-					47		13311	59583		23936	55	689	112	1256	1715	1168	4656	
		სულ	119880	85947	12072	961	815					47		13331	59583		23936	55	689	112	1256	1800	1429	4656	
4	თეთრწყარო	კერძო	10176	8894	6649	500	238	262					1745									736	546		
		სახელმწიფო	107270	41857	11202	177	33	47				97	196	4733	25549	653	54489		2089	75	1036	3874	2644	1835	
		სულ	117446	50751	17851	677	271	309				97	196	6478	25549	653	54489		2089	75	1036	3874	2644	1835	
5	მარნეული	კერძო	8877	8809	8795	14	14																68		
		სახელმწიფო	84623	59648	23640	2395	582	1510	175			128		2033	31580	43	10664	341	1454	236	2747	2262	2797	4431	
		სულ	93500	68457	32435	2409	596	1510	175			128		2033	31580	43	10664	341	1454	236	2747	2262	2865	4431	
6	წალკა	კერძო	10355	10167	9445	130	130						592									688			
		სახელმწიფო	94207	71601	79390	41	41							13921	49700		6326				223	4112	911	560	10474
		სულ	105062	81768	17384	171	171							14513	49700		6326				223	4112	1599	560	10474
7	ქვემო ქართლის მხარე	კერძო	58083	53771	44372	7009	5620	1382	7				2390									2338	1974		
		სახელმწიფო	619285	342015	90244	4383	978	2171	351	112	671	248		37055	210085	903	154814	2316	8266	1047	19818	15918	28438	50062	
		სულ	677368	395786	134016	11392	6598	3554	358	112	671	248		39445	210085	903	154814	2316	8266	1047	19818	15918	28438	50062	

საერთოდ, რეგიონში სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილია დიდი რაოდენობის ინტენსიური მიწა, რომელიც ექვემდებარება პრივატიზებას.

იჯარის უფლებით გაცემული და გაუცემელი მიწის სტრუქტურული შედგენილობა 2005 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით (ათ.ჰა)

ცხრილი 11

№	რაიონი	გაცემულია იჯარით						დარჩა გაუცემელი					სულ სას-სამ. საგარეული
		სულ	მათ შორის					სულ ათ. ჰა	მათ შორის				
			სახნავი	მრ.წლ. ნარგავი	სათიბი	საძოვარი	სხვა დან.		სახნავი	მრ.წლ.ნარ	სათიბი	საძოვარი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	15
1	ბოლნისი	13,8	11,2	0,7	0,5	1,4		12,5	–	–	0,1	12,4	26,3
2	გარდაბანი	43,3	19,5	0,2	1,8	17,6	4,2	18,4	2	–	–	16,4	61,7
3	ღმანისი	54,3	4,4	1	11,7	37,2		26,6	2,7	–	0,7	23,2	80,9
4	თეთრ.წყარო	31,5	7,7	–	2,6	21,2		10,4	3,6	–	1,9	4,9	41,9
5	მარნეული	48,5	19,1	1,1	1,5	26,8		11,1	6,4	–	0,3	4,4	59,6
6	წალკა	10,3	1,7	–	3,9	4,7		61,3	6,8	–	9,7	44,8	71,6
	ქვემო ქართლი	201,7	63,6	3,0	22,0	108,9	4,2	140,3	21,5		12,7	106,1	342,0

მოყვანილი ციფრები ნათელყოფს, რომ რეგიონის მასშტაბით საკმაოდ დიდი რაოდენობის ფართობია (201,7 ათასი ჰექტარი) გაცემული იჯარით, აქედან 63,6 ათასი ჰექტარი სახნავი მიწაა და 3 ათასი ჰა – მრავალწლიანი ნარგავები. გაუცემელია 21,5 ათასი ჰექტარი სახნავი. სულ რეგიონში სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილია 88,1 ათასი ჰა მაღალინტენსიური საგარეული, რაც, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის პრივატიზების შესახებ 2005 წლის 8 ივლისს მიღებული კანონით, კერძო საკუთრების მიწის ფონდის გაზრდის,

უდავოდ, უტყუარი და საიმედო საშუალებაა. განსაკუთრებით დიდი მოცულობის საპრივატიზაციო ფართობითაა წარმოდგენილი გარდაბნის (61,7 ათასი ჰა) და დმანისის (59,1 ათასი ჰა) რაიონები. აღნიშნული მიწის პრივატიზების მიმდინარე პროცესზე საუბარი გვექნება ქვემოთ, მომდევნო თავში.

14. მიწის ფონდის გამოყენების თანამედროვე დონე

2006 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლის მხარეში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი მეურნეობები და მათი სტრუქტურული შედგენილობა ასახულია ცხრილში 12.

ქვემო ქართლის მხარის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, 2006 წლის მონაცემებით

ცხრილი 12

№	რაიონი	ყველა მეურნეობა	მ.შ. ოჯახური მეურნეობა	სულ სას-სამ. საწარ.	მათ შორის							სტრუქტურა %					
					ინდ. მეწარმე	სპს	შპს	მათ. შორის სახელმწ.	სააქციო საზოგად.	მათ. შორის სახელმწ.	კოლპეკრატევი	სულ	ინდ. მეწარმე	სპს	შპს	სააქციო საზოგად.	კოლპეკრატევი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	ბოლნისი	16965	16842	123	95	1	26	1	1	-		100	77,2	1,2	21,1	0,8	-
2	გარდაბანი	29329	29311	18	-	-	18	3	-	-		100	-		100	-	
3	დმანისი	7977	7825	152	127	1	23	-	-	-	1	100	83,5	0,7	15,1		0,7
4	თეთრი წყარო	7570	7567	3	1	-	1	-	1	-	-	100	33,3		33,4	33,3	-
5	მარნეული	28882	28836	46	31	2	11	-	1	1	1	100	67,2	4,4	24,0	2,2	2,2
6	წალკა	5993	5986	7	1		6	-	-	-		100	14,3		85,7	1	
7	ქვემო ქართლი	96716	96367	349	255	4	85	4	3	1	2	100	73,1			0,9	0,6

წარმოქმნილი და დაფუძნებული მეურნეობების ახალი ფორმების შესწავლა-ანალიზი და უკვე გამოკვეთილი ტენდენციები ცხადყოფს, რომ მეურნეობის ძირითად ფორმად ჩამოყალიბდა კერძო, ოჯახური მეურნეობა, რომელზეც 99,64% მოდის, დანარჩენი მეურნეობების ტიპზე – 0,36%. ამ 349 საწარმოდან 2 კოოპერატივია, 3 – სააქციო საზოგადოება, 85 – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 4 – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 255 – ინდივიდუალური მეწარმე. ძალზე სუსტადაა განვითარებული კოოპერატიული ტიპის მეურნეობების ქსელი. არადა, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, თანამედროვე მეურნეობების ტექნიკით აღჭურვა, ინტენსიფიკაციის მაღალი დონის უზრუნველყოფა მისასაღმებელი და ხელსაყრელია მხოლოდ გარკვეული ზომისა და ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რაც, თავის მხრივ, საკვლევი ობიექტის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი მხარის გარდაქმნისა და სრულყოფის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს. 2006 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საკვლევი ზონის ერთი მეურნეობის საშუალო სიდიდის 1,43 ჰექტარია, ნაკვეთის საშუალო რაოდენობა – 1,81, ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა – 0,79 ჰა; ოჯახურ მეურნეობაში საშუალო ფართობია 0,95 ჰა, ნაკვეთის საშუალო რაოდენობა – 1,8, ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა – 0,52 ჰა; სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საშუალო ფართობი – 106 ჰექტარი, ნაკვეთის საშუალო რაოდენობა – 3 და ნაკვეთის საშუალო ზომა – 42 ჰა.


სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საერთო ფართობის მიხედვით გამორჩეულია წალკის რაიონი – 312 ჰექტარი, ასეთივეა ნაკვეთის საშუალო ზომაც (312). მეურნეობის ნაკვეთების რაოდენობა, საშუალოდ,

5-ია. ასევე, დიდი ზომის ფართობითაა წარმოდგენილი გარდაბნის რაიონის სასოფლო-სამეურნეო მიწები – საშუალოდ, 531 ჰა, ნაკვეთის საშუალო ზომა 87 ჰექტარია, ხოლო ნაკვეთის რაოდენობა – 6. მცირე ზომისაა ბოლნისის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (20 ჰა), ნაკვეთის ზომა, საშუალოდ, – 9 ჰა და რაოდენობა – 2,8. ძალზე მცირე ფართობია გარდაბნის რაიონის ოჯახურ მეურნეობებში (0,61 ჰექტარი), ნაკვეთის ზომა – 0,39 ჰა. ანალიზი ცხადყოფს, რომ მაღალგანვითარებული მემცენარეობის მეურნეობებში მცირეა ფართობი, ზომა – 0,61 ჰექტრიდან 1,65 ჰექტრამდე. მხარეში 2502 მეურნეობის ფართობი 0,06 ჰექტრამდეა, 4525-ის – 0,06-0,09 ჰექტრამდე, 25333-ის – 0,1-0,19 ჰექტრამდე, 27663-ის – 0,2-0,49 ჰექტრამდე, 17962-ის – 0,5-0,99 ჰექტრამდე, 10628 – 1-1,99 ჰექტრამდე, 2630 – 2-2,99 ჰექტრამდე, 1796 – 3-3,99 ჰექტრამდე, 764 – 4-4,99 ჰექტრამდე, 1226 – 5-9,99 ჰექტრამდე; 562 – 10-19,99 ჰექტრამდე; 289 – 20-49,99 ჰექტრამდე, 133 – 50-99,99 ჰექტრამდე, 71 – 100-199,99 ჰექტრამდე, 55 – 200-499,99 ჰექტრამდე, 20 – 500 ჰექტარი და მეტი. როგორც ციფრებიდან ჩანს, მეურნეობების უმეტესი ნაწილის ფართობი 0,1-დან 0,5 ჰექტრამდე ან 1-დან 2 ჰექტრამდეა, მცირეა 100 ჰექტარს ზევით ფართობის მქონე მეურნეობათა რიცხვი. ეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების დაბალ შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს და დღის წესრიგში აყენებს საკითხს ნაკვეთების კონსოლიდაციისა და უფრო ხელსაყრელი, მოხერხებული სამუშაო მასივების შექმნის აუცილებლობის შესახებ.

2006 წლის მაისის თვის მდგომარეობით, მხარეში სულ რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს 27 არასასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაცია, რომელთაც მნიშვნელოვანი მოცულობის ფართობი უკავია და სოლიდური საწარმოო პოტენციალი გააჩნია (იხ. ცხრილი 12)

ქვემო ქართლის მხარის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
წარმოება-ორგანიზაციების დასახელება

1



ზემოაღნიშნული ციფრობრივი მონაცემების თანახმად, საკვლევი ობიექტის ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებს საკმაოდ დიდი საწარმოო პოტენციალი, გარკვეული ზომა და ადგილმდებარეობა გააჩნიათ. დღითიდღე შეიმჩნევა მათი გაფართოების და ახლის შექმნის ტენდენციები, რასაც მხარის მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების არსებობა განაპირობებს. მნიშვნელოვან ფართობს საჭიროებს ამ ორგანიზაციათა ინფრასტრუქტურის განვითარება და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფი პირობების შექმნა, რაც ჩვენი შემდგომი კვლევისა და გათვლების წარმოების ერთ-ერთ საგნად გვესახება.

მემცენარეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა გვიჩვენებს, რომ, 1985 წელთან შედარებით, 1995 წლისათვის მკვეთრად შემცირდა მარცვლეულის, მათ შორის ხორბლის, ასევე კარტოფილის, ბოსტნეულის და ყურძნის წარმოება. უკვე 2005 წლისათვის, 1985 წელთან შედარებით, 21,5%-ით გაიზარდა ხორბლის მოსავალი, 105%-ით – სიმინდის, 3,2%-ით – კარტოფილის; 22,9%-ით შემცირებულია ბოსტნეულის წარმოება,

მემცენარეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების დინამიკა, წლების მიხედვით (ტონა)

ცხრილი 13

წელი	მარცვლეული (სული)	მათ შორის		კარტოფილი	ბოსტნეული	ხილი	ყურძენი
		ხორბალი	სიმინდი				
1985	50783	35783	15000	146283	141398	8347	26968
1990	65083	39983	25100	67231	155980	5712	21194
1995	35194	12000	15115	120800	104000	7900	16100
2000	36121	12208	16612	125982	89971	8000	14700
2005	85891	43480	30737	150985	109060	4924	9625

41%-ით ხილის და 64%-ით ყურძნის. ეს, ძირითადად, გამოწვეულია გასაღების ბაზრის დაკარგვით. სადღეისო ტენდენცია ამის ნათელი დასტურია, თუმცა ქვეყანას, განსაკუთრებით საკვლევ ობიექტს, ამ პროდუქტების წარმოების სოლიდური შესაძლებლობები გააჩნია.

პირუტყვის, ფრინველის და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის დინამიკა, წლების მიხედვით (სული)

ცხრილი 14

წელი	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	მათ შორის ფური	ღორი	თხა და ცხვარი	ფუტკრის ოჯახი (სკა)	ფრინველი (ფრთა)
1985	178858	64000	103017	330296	9010	1967843
1990	148700	61900	85900	281400	9402	1894567
1995	96510	58800	17022	140100	7100	754512
2000	129521	81116	21302	129747	8797	768716
2005	153446	99871	34642	228555	12026	1686777

რეგიონში პირუტყვის სულადობის ცვლილების შესწავლას ანალიზმა დაადასტურა, რომ განვლილი 20 წლის განმავლობაში ამ

მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი. თუ 1985 წლისათვის, სოციალისტური წარმოების წესების პირობებში, რეგიონში 179 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ირიცხებოდა, 1995 წლისათვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, მათი რაოდენობა 96 ათასამდე ანუ 46%-ით შემცირდა. შედარებით ნაკლებად, 5,2 ათასი სულით ანუ 8,1%-ით შემცირდა ფურების რაოდენობა. 2005 წლისათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა თითქმის 1985 წლის სულადობის რიცხვს გაუთანაბრდა და 153 ათასამდე ავიდა. სამაგიეროდ, ორჯერ გაიზარდა ფურების სულადობა და 100 ათასამდე ანუ 56%-ით მოიმატა. ღორების სულადობა, 1985 წელთან შედარებით, 1995 წლისათვის 103 ათასიდან 17 ათასამდე ანუ 83,4%-ით შემცირდა, 2005 წლისათვის 34 ათასამდე გაიზარდა, ანუ 1985 წელთან შედარებით კლებაა 66%-ით. ცხვრის და თხის სულადობა, 1985 წელთან შედარებით, 1995 წლისათვის შემცირდა 190 ათასი სულით ანუ 57,6%-ით, 2005 წელს, 1985 წელთან შედარებით, შემცირდა 101 ათასი სულით ანუ 30,8%-ით. ფუტკრის ოჯახი 1995 წელს, 1985 წელთან შედარებით, შემცირდა 1910 ოჯახით და 2005 წელს, 1985 წელთან შედარებით, გაიზარდა 3016 ოჯახით ანუ 33%-ით. ფრინველის რაოდენობა 1995 წელს, 1985 წელთან შედარებით, შემცირდა 1213331 ფრთით, სული 2005 წლისათვის – 281066 ფრთით ანუ 14,2%-ით.

ცვლილებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკუთრების ახალი ფორმების დამკვიდრებამ და მომხდარმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკა. 1995 წლისათვის მკვეთრად შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის და ცხვრის სულადობა. თითქმის ერთ დონეზე იქნა შენარჩუნებული ფურების რაოდენობა, რაც მოსახლეობის საკვების ერთ-ერთ ძირითად წყაროს და, ფაქტობრივად, სიცოცხლის გადარჩენის გარანტს წარმოადგენდა. მომდევნო წლებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალდაკვალ, ისევ იმატა პირუტყვის სულადობამ, თითქმის ორჯერ გაიზარდა ფურების რაოდენობა, ადრინდელს გაუთანაბრდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობა, 2/3-მდე იმატა ცხვრისა და თხის სულადობამ. მკვეთრად შემცირებული ღორის

სულადობა (შეუძლებელია არ აღვნიშნოთ რეგიონში აზერბაიჯანელთა გავლენა – დღეს საქონელი გარკვეულ კერძო სექტორს ჰყავს).

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პირუტყვის სულადობის ზრდის ტენდენცია და მყარი, საიმედო საკვები ბაზის არსებობა, რაც რეგიონში მეცხოველეობის განვითარების უტყუარი პერსპექტივის დასტურია.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა, წლების მიხედვით

ცხრილი 15

წელი	ხორცი (დაკლული წონაში) ტ.	რძე (ტონა)	კვერცხი (ათასი ცალი)	მატყლი (ტონა)	თაფლი (ტონა)
1985	27942	58713	187155	747	155
1990	34589	57788	194106	773	144
1995	8470	78125	42120	420	134
2000	13954	80050	44068	447	140
2005	15101	131489	93656	658	169

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ცვლილებები ნათელყოფს, რომ 1995 წელს, 1985 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (69,7%-ით) შემცირდა ხორცის წარმოება, ხოლო 2005 წლისათვის – 46%-ით, რძის წარმოება, პირიქით, 1995 წელს გაიზარდა 33%-ით და 2005 წელს – 124%-ით; კვერცხის წარმოება, 1985 წელთან შედარებით, 2005 წლისთვის შემცირდა 50%-ით, მატყლის წარმოება – 12%-ით, თაფლის მოპოვება გაიზარდა 9%-ით. ანალიზი ცხადყოფს, რომ 1995 წლისთვის, როდესაც ქვეყანა მწვავე კრიზისს განიცდიდა, პირუტყვის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. შემდგომ ხორცის, კვერცხის, მატყლის და თაფლის წარმოების საქმე გამოსწორდა, რძის წარმოება კი ერთიორად გაიზარდა. რასაკვირველია, ეს გამოწვეულია მოსახლეობის შიდა მოხმარებისათვის პროდუქციის საჭიროებითა და ნატურალური მეურნეობრიობის დამკვიდრების აუცილებლობით. ჩვენი აზრით, მხარეში მეცხოველეობის პროდუქციის

წარმოების განვითარების დიდი შესაძლებლობები არსებობს, რაც განხილული იქნება მომდევნო თავებში.

ამრიგად, საკვლევი ზონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დინამიკის მიხედვით, მხარე გამორჩეულია როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის ესოდენ მნიშვნელოვანი პროდუქტების წარმოების შესაძლებლობებით. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, შრომითი რესურსები საშუალებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის გადიდებისათვის. უნდა აღინიშნოს საკვლევი ობიექტის ეკონომიკური ძლიერების მახასიათებელი, კერძოდ, მადნეულის უნიკალური საბადო და სხვ. მხარის რესურსული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობასა და პერსპექტივაზე ვისაუბრებთ მომდევნო თავებში.

თავი II. მიწის გამოყენების ახალი ფორმების შექმნის ტენდენციები და პერსპექტივები

2.1. მიწის რეფორმის გავლენა მიწის გამოყენების ახალი ფორმების შექმნაზე

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ, ეროვნული მეურნეობის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანამ, წარმოების ძირითად საშუალებებზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებამ გზა გაუხსნა მიწის პრივატიზაციის ფართო მასშტაბით დაწყებასა და წარმართვას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვემო ქართლის მხარის 2005 წლის მიწის ბალანსის მონაცემებით, კერძო საკუთრებაში გადასულია 58083 ჰექტარი მიწა, ანუ მხარის მთლიანი ფართობი 8,6%. აქედან სახნავია 44372 ჰა, ანუ პრივატიზებული მიწის 76,3%, და მრავალწლიანი ნარგავების მიერ დაკავებული ფართობის 7009 ჰა, ანუ 12%. ამდენად, პრივატიზება მეტწილად შეეხო სახნავითა და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ მიწის ფართობებს.

თუ მიწის რეფორმის დაწყებამდე მხარეში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფორმებიდან ფუნქციონირებდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობა, აგრეთვე მცირე ფართობის 31201 საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, 2005 წლის აღწერის მასალების მიხედვით, მხარეში მოქმედებს 94413 სასოფლო-სამეურნეო საწარმო. ყველა სახის მეურნეობის საშუალო ფართობი 1,43 ჰექტარია; ნაკვეთების რაოდენობა – 1,81 და ნაკვეთის საშუალო ფართობი – 0,79 ჰა; ოჯახური მეურნეობის საშუალო ფართობი 0,95 ჰექტარია, ნაკვეთის საშუალო ფართობი – 0,52 ჰა.

შედარებით დიდი ზომის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან მეურნეობის საშუალო ფართობი 105,6 ჰექტარია, ნაკვეთის საშუალო რაოდენობა – 3 და ნაკვეთის საშუალო ფართობი – 42,3 ჰა. 51093

მეურნეობა ერთი ნაკვეთითაა წარმოდგენილი, 37743 – ორი ან სამი, 4875 მეურნეობა – 4-5 ნაკვეთით, ხოლო 2455 მეურნეობა – 6-9 ნაკვეთით, 251 კი – 10-ზე მეტი ნაკვეთით.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ საკმაოდ გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რიცხვი. თუ მაშინდელი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საშუალო ფართობი 2-3 ათასი ჰექტრის ფარგლებში მერყეობდა, დღეისათვის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საშუალო ფართობი 106 ჰექტარია, ხოლო წვრილი მეურნეობების – 1,43 ჰექტარი, აქედან ოჯახური მეურნეობების – 0,95 ჰექტარი. შესწავლა-ანალიზი ცხადყოფს, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ძირითადი ნაწილი მცირე ფართობითა და მრავალკონტურიანობით გამოირჩევა. მიწათმოსარგებლები და მიწათმესაკუთრეები ხასიათდება მრავალი ნაკლოვანებებით – ხარვეზიანობით, დაქსაქსულობით, შორსმიწიანობით, საზღვრების ტეხილობით, შეჭრილობით, ტოპოგრაფიული ზოლმიწიანობით და საზღვრების ეროზიასაშიში განლაგებით. მრავალი ნაკლოვანების წარმოქმნის მიზეზი მიწის რეფორმა გახდა, რამაც ხელი შეუწყო მსხვილი სამექანიზაციო ფართობების დანაწევრებას. დიდძალი ფართობი დაიკავა გზებმა, ღობეებმა, არხებმა. აღნიშნულის გარეშე მიწის რეფორმის ჩატარება არ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლიანობა მოითხოვდა მიწა განაწილებულიყო თანაბრად, ნორმით დადგენილი კატეგორიებისა და ხარისხის გათვალისწინებით, პრაქტიკულად მივიღეთ მრავალმხრივი დარღვევა. ცნობილ ობიექტურ მიზეზებთან ერთად, თავი იჩინა სუბიექტურმა მიზეზებმაც: მიწის რეფორმის ჩამტარებელ კომისიებს არ გააჩნდათ ვარგისი საკადასტრო მასალები; მიწა განაწილდა ფართობის სიდიდის მიხედვით; ბევრმა მიიღო ნორმით გათვალისწინებული ნაყოფიერი მიწა და ზოგმა – თანაბარზომიერი, მაგრამ ხრიოკი ადგილი; არაერთმა პრივილეგიურმა და თავნება პირმა ისარგებლა თავისი მდგომარეობით და მიიზომა ნაყოფიერი მიწის ნაკვეთი, იჯარით აიღო მსხვილი და სამექანიზაციო ფართობები; ძირითადად მასამ ვერ მიიღო ნორმით დადგენილი ფართობი. აღნიშნულმა ობიექტურმა თუ

სუბიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა მიწათსარგებლობაში მრავალი ნაკლოვანი მხარის წარმოქმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიწის რეფორმის ჩატარების შესახებ არსებობდა და დღესაც არსებობს მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, იყვნენ და დღესაც არიან მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის მოწინააღმდეგენი. რა თქმა უნდა, ასეთ მიდგომას ჩვენ არ ვიზიარებთ. თუ გავითვალისწინებთ ქართველი კაცის დამოკიდებულებას მიწისადმი, მის კერძო მესაკუთრულ ბუნებას და მიწის გამოყენების რეფორმამდელ დონეს, ალბათ, მიწის განკერძოების ხელსაყრელობას და საჭიროებას ვერ უარვყოფთ. მით უმეტეს, რომ მაღალინტენსიური მიწის სავარგულები (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები) საქართველოში ისტორიულად კერძო საკუთრებაში იყო და ქვეყანა მაღალი კულტურის მიწათმოქმედების მხარედ ითვლებოდა. სხვა საკითხია, რომ ქვეყანა სათანადოდ და ჯეროვნად არ იყო მზად მიწის რეფორმის სამართლიანად და შეუცდომლად ჩასატარებლად – არ არსებობდა სათანადო ხარისხის მიწის საკადასტრო დოკუმენტები და სამართლიანობის დაცვის კულტურა. შეიძლებოდა, როგორც არაერთი ქართველი მეცნიერ-მუშაკი ფიქრობს, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილიყო მაღალინტენსიური სავარგულის ნაწილი, სხვადასხვა სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებების გატარების (დამეწყრილი ადგილებიდან ხალხის გადასახლების, სპეციალური დანიშნულების მეურნეობების შენარჩუნების და სხვ.) მიზნით. დღეს ქვეყანა ფაქტის წინაშე დგას. გადაწყვეტილია სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის უმეტესი ნაწილის პრივატიზება. ჩვენი ვალია მოვინახოთ პროცესის უმტკივნეულოდ გადაწყვეტის გზები, შევძლოთ მიწის უფრო რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციული წინამძღვრების და ეფექტური მეურნეობების ტერიტორიული მოწყობის პირობების შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, მიწის რეფორმის წარმოების დებულებებში წერია, რომ აკრძალულია ნაკვეთების დანაწილება ანუ, უფრო სწორად, დანაწევრება, რაც ჩვენს სინამდვილეში მოხდა. თუ, ვთქვათ, თითოეულ ოჯახს 1,25 ჰექტრამდე მიწა უნდა მიეღო და 100 კომლს სოფელში 100 ჰექტარი ჰქონდა, როგორ ჩატარდებოდა მიწის რეფორმა ფართობის დანაწილების გარეშე? ფაქტია,

ფართობები დანაწევრდა. სხვა საკითხია, რა სახით მოვახდინოთ მათი კონსოლიდაცია. მიუხედავად ყველა ავბედობისა, მიწის რეფორმა განხორციელდა. ძირეულად შეიცვალა როგორც მეწარმე სუბიექტი, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა – პროდუქციის ძირითადი მეწარმეობელი გახდა კერძო, ოჯახური მეურნეობა. მათ მიერ წარმოებულმა პროდუქციამ მთლიანად პროდუქტების 95% შეადგინა. ჩამოყალიბდა საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივ-ორგანიზაციული სტრუქტურები. მოხდა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია, დამკვიდრდა მრავალწილობიანი ეკონომიკა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა სახის შემზღვეველი ფაქტორის გამო, ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველ შედეგამდე – ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების უზრუნველსაყოფად არ გაგვაჩნდა თეორიულ-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული წინამძღვრები, სათანადო ზომის სასტარტო ეკონომიკური პოტენციალი, საჭირო რაოდენობის შიდაპროდუქტი, პოლიტიკური სტაბილურობა და ერთად დგომის სურვილი. ყველაფერმა ამან კი განაპირობა აგრარული რეფორმის ძალზე ნელი, არასასურველი ტემპით წარმართვა.

მიწის რეფორმის პირველ ეტაპად 1992-1996 წლებში გატარებული ღონისძიებები ითვლება. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 48 დადგენილებით, მიღებულ იქნა კანონი “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ”. პირველ ეტაპზე განხორციელდა საქართველოს მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების კერძო საკუთრებაში და სარგებლობაში მიწის გადაცემა.

მიწის რეფორმის მეორე ეტაპი მოიცავს საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას. გამოიცა “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ”, “სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ”, “ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ”, “მიწის რეგისტრაციის შესახებ” კანონები. საკანონმდებლო აქტების შესაბამისად,

ნებადართულია მიწაზე ყველა სახის გარიგების წარმოება, მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე ჩვენ გაგვაჩნია ჩვენი ხედვა. უფრო სწორი იქნებოდა, მიწაზე საკუთრების უფლება ჰქონოდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. მიწის რეფორმის შედეგად, “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ” საქართველოს 2005 წლის 8 ივლისის 1896 კანონის მიღებამდე, საკვლევი ობიექტის – ქვემო ქართლის მხარის მიწის ფონდის სტრუქტურული შედგენილობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად: სახელმწიფო საკუთრებაში სულ იყო 619285 ჰექტარი; აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგული – 342015 ჰექტარი, მათ შორის, იჯარით გაცემული – 201700 ჰექტარი და გაუცემელი – 140300 ჰექტარი; კერძო საკუთრებაში იყო 58083 ჰექტარი. ჩვენი საკვლევი თემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად სწორედ “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ” კანონის შედეგად წარმოებული გარიგებების შედეგები – იჯარით გაცემული და გაუცემელი მიწების განკერძოება, განხორციელებული ღონისძიებების ანალიზი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შედეგიანობის ხარისხი გვესახება. ვინაიდან კანონის ამოქმედების მიზანი “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის ათვისება, მისი რაციონალურად გამოყენება და მიწის ბაზრის განვითარებისათვის ხელის შეწყობა” იყო, დასახული ამოცანების რეალიზაციის მნიშვნელობა მეტად დიდია და ყოველგვარ ეჭვს მოკლებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში, 2004 წლის ჩათვლით, ფუნქციონირებდა მიწის ზუსტად აღრიცხვის სამიწათმოწყობო სამსახური. მაშინდელი აღრიცხვის მასალები საკმაოდ სანდო და უტყუარი იყო. გეოდეზიური და სამიწათმოწყობო სამსახურები აგეგმვის ყველა წესის დაცვით ადგენდნენ მიწის სავარგულების თითოეული კონტურის ფართობის სიდიდეს, თითოეული მიწათმოსარგებლებლისა და მიწათმესაკუთრების

მიხედვით, შემდეგ ადმინისტრაციული რაიონისა და მთელი ქვეყნის ქრილში დგებოდა მიწის ბალანსი, რომლითაც სარგებლობდა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი. დღეს, დასაწინაა, რომ მიწის ასეთი ზუსტი აღრიცხვა აღარ წარმოებს, რაც, ჩვენი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია. ალბათ, დადგება დრო, როდესაც ცხოვრება თვითონ დააყენებს მიწის ზუსტი აღრიცხვის საკითხს. ქვეყანა, რომელიც ფიქრობს მიწის ფონდის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საკითხის გადაწყვეტასა და მიწათმოქმედების კულტურის აღდგენაზე, იძულებულია აწარმოოს მიწის სავარგულების აღრიცხვა და იცოდეს, რა რაოდენობისა და ხარისხის მიწის ფართობი გააჩნია.

2005 წლის 8 ივლისის კანონის რეალიზაციის შედეგად მიმდინარე პროცესის დეტალურად შესწავლამ ცხადყო, რომ ამ ხნის განმავლობაში პრივატიზებულია მნიშვნელოვანი სიდიდის მიწის ფართობი (იხ. ცხრილი 16).

**იჯარით გაცემული და გაუცემელი მიწის პრივატიზების მდგომარეობა
„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო
დანარსებების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის
8 ივლისის №1896 კანონის მიღების შემდეგ**

ცხრილი 16

№	რაიონის დასახელება	2005 წლის 8 ივლისის შემდეგ სულ პრივატიზებული მიწა		მათ შორის							
				საიჯარო მიწებიდან				გაუცემელი მიწებიდან			
				სულ		ფიზიკურ პირებსზე		სულ		ფიზიკურ პირებსზე	
				პირი	ჰა	პირი	ჰა	პირი	ჰა	პირი	ჰა
1	ბოლნისი	1642	3489,67	144	2039	123	1277,31	1498	1450,67	1498	1450,67
2	გარდაბანი	562	3960,55	412	2924,2	390	1452,63	150	1036,35	150	1036,35
3	მარნეული	659	6303	659	6303	659	6303	-	-	-	-
4	თეთრი წყარო	34	293,1	34	293,1	34	293,1	-	-	-	-
5	წალკა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
6	ღმანისი	18	557,05	6	419,75	6	419,75	12	137,3	12	137,3
	სულ	2915	14603,37	1255	11979,1	1212	9745,79	1660	2624,32	1660	2624,32

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ამ მოკლე ხანში საკმაოდ ინტენსიურად წარიმართა იჯარით გაცემული და გაუცემელი მიწის ფართობების პრივატიზება. 2006 წლის 22 ოქტომბრამდე (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 01/06 ცნობა) ქვემო ქართლის მხარეში 2915 პირმა შეისყიდა 14603 ჰექტარი მიწა, საიჯარო მიწის ფონდიდან 1255 პირმა – 11979 ჰექტარი, აქედან: 1212 ფიზიკურმა პირმა – 9746 ჰექტარი ანუ მთელი პრივატიზებული ფართობის 81.8%, 43 იურიდიულმა პირმა – 2233 ჰექტარი ანუ 18,2 %. გაუცემელი მიწებიდან 1660 ფიზიკურმა პირმა შეისყიდა 2624 ჰექტარი მიწა.

მიწის პრივატიზაციის საკითხის შესწავლა-ანალიზი ნათელყოფს, რომ ქვემო ქართლის მხარეში იჯარის უფლებით გაცემული 66.6 ათასი ჰექტარი მაღალინტენსიური (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები და სათიბი) მიწის სავარგულებიდან პრივატიზებულია 11979 ჰექტარი, რაც საიჯარო მიწის ფონდის 17.9%-ია, გაუცემელი მიწების (სახნავი, სათიბი) 21500 ჰექტრიდან პრივატიზებულია 2624 ჰექტარი ანუ მთლიანი ფართობის 12.2 %; აქედან:

ბოლნისის რაიონში 11900 ჰექტარი საიჯარო მაღალინტენსიური მიწის სავარგულებიდან პრივატიზებულია 2039 ჰექტარი ანუ მთლიანი ფართობის 17.1 %, გაუცემელი 2100 ჰექტარი სათიბიდან – 1451 ჰექტარი ანუ მთლიანი ფართობის 64.3%.

გარდაბნის რაიონში 19700 სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების საიჯარო მიწის ფართობიდან პრივატიზებულია 2924 ჰექტარი მიწა ანუ მთლიანი საიჯარო ფართობის 14.8 %, 2000 ჰექტარი გაუცემელი სახნავი მიწიდან შესყიდულია 1036 ჰექტარი მიწა ანუ მთლიანი ფართობის 51.2 %.

მარნეულის რაიონში 20200 ჰექტარი მაღალინტენსიური საიჯარო მიწებიდან პრივატიზებულია 6303 ჰექტარი ანუ საიჯარო მიწის მთლიანი ფართობის 31.2 %.

თეთრი წყაროს რაიონში 7700 ჰექტარი საიჯარო სახნავი მიწებიდან პრივატიზებულია 293 ჰექტარი ანუ მთლიანი საიჯარო სახნავი მიწის 3.8%.

დმანისის რაიონში 5400 ჰექტარი საიჯარო სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებიდან პრივატიზებულია 420 ჰექტარი ანუ 7.6%, 2700 ჰექტარი გაუცემელი სახნავი ფართობიდან – 137 ჰექტარი ანუ 5%.

მიწის პრივატიზების მიმდინარეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბოლნისის რაიონში პრივატიზაციას ექვემდებარება 82,9% მაღალინტენსიური საიჯარო და 35.7% გაუცემელი მიწა. გარდაბნის რაიონში, შესაბამისად, 85.2%–51.2%, მარნეულის რაიონში – 68.8% საიჯარო მიწა, თეთრი წყაროს რაიონში – 96.2% და დმანისის რაიონში

– 92.4 % საიჯარო მაღალინტენსიური მიწის სავარგულები და 95% გაუცემელი მიწა.

ამდენად, ჯერჯერობით პრივატიზება სრულად არ შეხებია წალკის რაიონის საიჯარო და გაუცემელ მიწას და შედარებით უკეთ მიდის ბოლნისის, მარნეულის და გარდაბნის საიჯარო და გაუცემელი მიწის ფონდის პრივატიზება.

ბოლნისის რაიონში 762 ჰექტარი საიჯარო მიწის ნაკვეთები შეისყიდა 21 იურიდიულმა პირმა, ხოლო გარდაბნის რაიონში 1471 ჰექტარი 22 იურიდიულმა პირმა. თუ საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ შესყიდული მიწის ნაკვეთებისა და ორგანიზაციულ-სამეურნეო სტრუქტურების ფუნქციონირების რეალურ მდგომარეობას გადავხედავთ, დავრწმუნდებით ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობისა და პერსპექტიულობის შესაძლებლობებში.

დღემდე წარმოებული მიწის რეფორმისა და პრივატიზების შედეგად წარმოქმნილი ახალი ტიპის მეურნეობრიობის ფორმების განვითარების ტენდენციების და პერსპექტივების საფუძველზე გვინდა გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები და ქვემოთ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ ფორმების შემდგომი განვითარების თაობაზე.

2.2. მეურნეობრიობის ახალი ფორმების წარმოქმნა-დაფუძნების ტენდენციები და ძირითადი მიმართულებები

ახალი ტიპის ხელსაყრელი ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წარმოქმნა, ჩამოყალიბება და დამკვიდრება აგრარული სექტორის რეკონსტრუქციისა და მისი მართვის ეფექტური მექანიზმის მოწყობის უტყუარი გარანტიაა. საქართველოსა და მსოფლიოს სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მეურნეობის ფორმების სწორად შერჩევაზე დიდადაა დამოკიდებული ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი, საჭირო რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და ამით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ისტორიულად, საქართველო ცნობილი იყო როგორც მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მქონე ქვეყანა. მრავალფეროვნება, რომელიც გააჩნია საქართველოს ბუნებას, თავისთავად განაპირობებდა ხალხის სოციალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ყოფაცხოვრების ნაირგვარობას და სიჭრელეს, ასევე გარკვეული სპეციფიკურობით და თავისებურებებით იყო დაფუძნებული მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების ფორმები, სარგებლობის, განკარგვისა და მართვის ასპექტები. მიწის გამოყენების უფლების საფუძველი მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტი იყო.

ძველ დროში საქართველოს ტერიტორია საგვარეულოებად იყო დაყოფილი. გვარი და საგვარეულო იყო საზოგადოებრივი წყობილების დედა-ბოძი. მსგავსი სისტემა თითქმის მე-18 საუკუნემდე იყო შემორჩენილი ქსნისა და არაგვის ხეობებში. საგვარეულოს წეს-წყობილების გარდაქმნის და მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებას ხელი შეუწყო რომაელი სარდლის პომპეუსის მიერ (ჩ.წელთაღრ.-მდე პირველი საუკუნე) საქართველოს ტერიტორიის დალაშქვრამ. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა წოდებრივი განსხვავება – დიდაზნაურები და აზნაურები. თავდაპირველად, ყმები უმეტესად დიდაზნაურებს ჰყავდათ. უაზნოთა ანუ არათავისუფალთა წოდებამაც იყო მეტნაკლებობა (მსახურნი, მონები, მხევლები). თანდათან მომრავლდა მონებისა და მხევლების რიცხვი. მიწებს იძენდნენ სხვადასხვა საშუალებით (ომი, ყიდვა, ფულის გადაუხდელობა და სხვ.). მიწებს, ძირითადად, მონები ამუშავებდნენ. ქრისტიანობის შემოსვლამ ქვეყნის მოსახლეობა ორ ნაწილად დაჰყო – სამღვდელოება და ერის კაცნი. მონათმფლობელობის ინსტიტუტი თანდათან პატრონყმობის ინსტიტუტმა შეცვალა. ჩამოყალიბდა ძლიერი სამთავროები. სამთავროს სათავეში იდგა ერისთავთერისთავი და ერისთავი. პატრონი თავის მიწა-წყალზე მთელი უძრავ-მოძრავი ქონების მესაკუთრედ ითვლებოდა. ყმად იწოდებოდა ყოველი, ვინც პატრონის მიწაზე იჯდა. ქვეშევრდომი ზემდგომს უხდიდა ღალასა და ბეგარას. იყვნენ ნებიერი, სიგლოსანი, მკვიდრნი, ნაწყალობები, საეკლესიო და კერძო მფლობელთა ყმები. ჟამთა სვლის კვალობაზე საზოგადოებაც თანდათან განიცდიდა

დიფერენციაციას, ფენების რეკონსტრუქცია-გადაჯგუფებას. უკვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გლეხობა. გლეხობა სხვადასხვა სახის საშუალებით და დამსახურებით იძენდა მიწებს. მცირედი მოცულობით, მაგრამ მაინც კერძო საკუთრების უფლებით. 1864-1871 წლებში საქართველოში ბატონყმობის ინსტიტუტი გაუქმდა. მსხვილმა მიწათმფლობელებმა მიწის ნაწილი – წვრილნაკვეთიანი და მოუსავლიანი მიწები გლეხებს დაუთმეს. მასიური ფართობები და ნაყოფიერი მიწები მემამულეებს და ეკლესიებს დარჩა. მიწებს ძირითადად გლეხობა ამუშავებდა – იჯარის უფლებით. რენტას იხდიდნენ შრომამოგებით, პროდუქტებით ან ფულით.

მომდევნო ეტაპი საქართველოში კაპიტალის შემოჭრით და ალებ-მიცემობის გააქტიურებით ხასიათდება. დაიწყო მიწების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება და მიწა, როგორც საქონელთბრუნვის მნიშვნელოვანი ობიექტი, საგანი, ფართოდ ჩაერთო საბაზრო ბრუნვაში. ქართულ მიწათმოქმედებასა და მიწის გამოყენების ფორმების ასპექტებში, დაწყებული ბატონყმობის ინსტიტუტის გაუქმებიდან სოციალურ რევოლუციამდე, გარკვეული ტრანსფორმაცია და ცვლილებები მოიაზრებოდა და ნაწილობრივ, ხორციელდებოდა კიდევ. მიწის ძირითადი მესაკუთრე იყო მემამულე, ეკლესია და გლეხობა. უფრო გაშლილი, მასიური და დასამუშავებლად ხელსაყრელი ფართობები მემამულეებსა და ეკლესიებს გააჩნდათ. შეუძლებელია არ აღინიშნოს მიწისადმი ქართველი კაცის ბუნებისა და დამოკიდებულების თავისებურების შესახებ. კერძო მესაკუთრული ბუნება ყოველთვის ჭარბობდა ქართველი კაცის მრწამსში. ყველა თავადი, აზნაური, ეკლესიის მსახური თუ გლეხი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მიწა ჩაეგდო ხელში – ყოფილიყო მისი კერძო საკუთრება. ეს იყო ქართველი კაცის თავმოყვარეობისა და სიამაყის განმსაზღვრელი ატრიბუტი.

აქედან გამომდინარე, ყველა ერიდებოდა მიწის კოლექტიური სარგებლობის წესების აღიარებას. თუ იმდროინდელი დიდი ქართველი მამულიშვილების ნააზრევსა და ნაწერებს გადავხედავთ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, თ. წინამძღვრიშვილი), დავრწმუნდებით, რომ დიდძალი მასალა იყო შეგროვილი და გამოქვეყნებული სოფლის მეურნეობის

ხაზით ევროპის მოწინავე ქვეყნების მიერ დაგროვილ გამოცდილებაზე – კოოპერატივების, ამხანაგობების და სხვადასხვა სახის გაერთიანებების სიკეთეზე. აღნიშნული მეურნეობები არსებობდა და ფუნქციონირებდა, როგორც წარმოების, ისე მოხმარებისა და გასაღების სფეროში.

მოყვანილი იყო მონაცემები, თუ როგორ უადვილდებოდათ, ერთობლივი ძალითა და სახსრებით მიწის დამუშავება, მორწყვა, დაშრობა, განოყიერება, საჭირო ტექნიკის შეძენა, წარმოების მართვა, პროდუქციის წარმოება და გასაღება. მიუხედავად ამისა, ჩვენთან ძნელად იკიდებდა ფეხს ასეთი პროგრესული ნააზრევი და საქმიანობა. მძლავრობდა მიწის ძველი, მამაკაპური წესით გამოყენების ფორმები. “ეკონომიკურად იმ მდგომარეობაში არიან, რომლითაც საპოლიტიკო-ეკონომიკაში ბუნების მეურნეობად” (ნატურალური მეურნეობა) არის ცნობილი. ამგვარი ეკონომიკური წეს-წყობილების უმთავრესი ხასიათი იმაში იხატება, რომ მწარმოებელს, მიწის მუშას ნაწარმოები თუნდა მომატებულები ჰქონდეს, მაინც ფული ყოველთვის უჭირს. ამგვარ მწარმოებელს ფულის შოვნა უძნელდება, რადგან ბაზრის უქონლობის გამო, თავის ნაწარმოებისათვის კარგი გამოსავალი ვერ უშოვნია, მიწის მოსავალი ფულად ვერ უქცევია. ამიტომ ცდილობს ცხოვრების მოთხოვნილებას, საჭიროებას თავის ნაწარმოებითვე გაუძღვეს ყოველ წვრილმან შინაურ გადასახადში, იჯარაში, სხვა-კი შეიძლება, ფულის მაგიერ, თავის ნაწარმოებს აძლევს. ასე უსწორდება, მაგალითად: ჩვენი გლეხი მღვდელს, დალაქს, მეველეს, გზირსა და სხვებსა. უწინ ამ საუკუნის დასაწყისამდე თვით სახელმწიფო ხარჯსაც-კი პირუტყვითა და ღვინით იხდიდა” (112).

ილია ჭავჭავაძე, ახასიათებდა რა საქართველოს სოფლის მეურნეობის დუხჭირ ყოფას, ყველა მიწათმოქმედს ურჩევდა ყურად ელო მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, ხელი მოეკიდა მიწის ერთობლივი, საერთო ძალებით დამუშავებისათვის, მიღებული ჭირნახულის გასაღების ორგანიზაციისათვის. აღნიშნული ღონისძიების რეალიზაციის მიზნით, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში 1889 წლის 2 თებერვალს პირველად შეიკრიბა 35-კაციანი კრება ხილისა და ბოსტნეულის ყიდვა-გაყიდვის საქმის გაძღოლის საკითხის

გადასაწყვეტად. “ძირის ფული,” ანუ თანხა-საფუძველი – 1000 თუმანი, უნდა ყოფილიყო დაყოფილი 400 ნაწილად ანუ 25 მანეთად თითოეული წილი. ეს 25 მანეთი დანიშნული იყო მწარმოებლისათვის, რომელსაც ნება ჰქონდა რამდენიმე წილი დაეკავებინა მუშტარს. მყიდველს ყოველ წელიწადს უნდა შეეტანა ერთი თუმანი და გაეტანა საქონელი მანამ, სანამ ეს თუმანი ამოიწურებოდა. საზოგადოების თითოეულ წევრს უფლება ჰქონდა მოეტანა თავისი ნაწარმი და გაეყიდა.

ილია აქვე წერს: “ტბილისის გუბერნიის გლეხკაცობა, ჩვენდა სასიხარულოდ და სხვათა სამაგალითოდ, ამ შეერთების გზას დასდგომია. მას განუზრახავს და ბევრგან განზრახვაც განუხორციელებია, რომ პურის ერთმანეთში გაწერით საზოგადო ქონება გაიჩინონ და ეს ქონება თავის დროზედ მოახმარონ მიწების შესყიდვას, ადგილ-მამულის შეძენას, განკარგებას მიწათმოქმედების, სარწყავი წყლების გამოყვანას, სკოლების დაარსებას, კაი ჯიშის საქონლის მოშენებას და გამრავლებას, სამეურნეო მანქანების შეძენას და სხვა ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც შორიდან თუ ახლოდამ ხელს უწყობს სოფლური მეურნეობის წარმატებას. ამ წელიწად-ნახევარში ამ გზით აქაურმა გლეხკაცობამ ნახევარ-მილიონზე მეტი შეიძლება მოიგროვა.” (გვ. 28). ილია მთავარ ყურადღებას მაინც წარმოების სფეროს უთმობდა: “ჩვენ ეს მხმარებელთა ამხანაგობა” დღეს ისე არ გვიზიდავს, როგორც მოჭირნახულეთა ამხანაგობა და ამიტომაც ჩვენ ამ უკანასკნელზე ვილაპარაკებთ მით უფრო, რომ ჩვენის ტკივილის წამალს ამხანაგობაში უფრო ვხედავთ. ჩვენ ქვეყანას, რომელსაც მოჰყავს კარგა ბლომად პური, ქერი, სიმინდი, ღვინო და რომელიც, მაშასადამე, ამით რიგიანად გასაღებაში უნდა ეძებდეს სათავეს თავის კეთილდღეობისას, უფრო მოჭირნახულეთა ამხანაგობა ეჭირება.” (გვ. 20). რა თქმა უნდა, მთავარი მაინც მატერიალური დოვლათის შემქმნელია. ამ პერიოდში (1895 წ.) შეიქმნა “კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი” და სხვები. მიუხედავად მრავალი ცდისა და მცდელობისა, მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტატისტიკური მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ მეურნეობრიობის ერთობლივმა ფორმებმა სასურველი შედეგები ვერ გამოიღო და ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო

პროდუქტების წარმოების მთავარი მიმართულება მაინც კერძო მესაკუთრული, მეტწილად გლეხური მეურნეობები იყო. ქვეყანა მარცვლეულით საკუთარ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებდა და საზღვარგარეთაც გაჰქონდა ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან. 1885 წელს გატანილი იყო 4 მლნ. ფუთამდე მარცვლეული. მიწის ფონდის შენარჩუნებისა და უყაირათოდ ხარჯვა-განიაგების თავიდან აცილების მიზნით, ჩამოყალიბდა საადგილმამულო ბანკი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა მიწა, ეს ფასდაუდებელი ეროვნული სიმდიდრე, გადაერჩინა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და ქორ-ვაჭრების ხელში მუქთად ჩაგდებისაგან. მართლაც, საადგილმამულო ბანკმა არაერთი ქართული მამული გადაარჩინა გაფლანგვა-განიაგებისაგან.

მაშინდელ მეურნეობებს, ხშირ შემთხვევაში, წვრილკონტურიანობა და მიწათსარგებლობის მრავალი სახის ნაკლოვანება ახასიათებდა, კერძოდ: შორსმიწიანობა, საზღვრების ტეხილობა, დაქსაქსულობა, ხარვეზიანობა და ტოპოგრაფიული ხარვეზიანობა. მრავალნაკვეთიანობა და შორსმიწიანობა, ძირითადად, საქართველოს ბუნებრივი პირობების სიჭრელით იყო გამოწვეული. კახეთის ზონაში მცხოვრები გლეხი ცდილობდა ნაკვეთი რამდენიმე ადგილზე ჰქონოდა, რადგან, თუ ერთ ადგილზე ნაკვეთი დაისეტყვებოდა, მეორე ადგილზე ვაზი გადარჩებოდა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კახეთის სოფლები: სანიორე, ვარდისუბანი და სხვა, რომლებიც იწყება ცივგომბორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობიდან და მთავრდება ლეკების მთის ჩრდილო-დასავლეთ კალთებთან – მიწათსარგებლობა წაგრძელებულია (ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ). დასავლეთ საქართველოში მრავალნაკვეთიანობის და შორსმიწიანობის გამომწვევი მიზეზი იყო სათესი ფართობებისა და ტყის მასივების ნაკლებობა. ოკრიბელი გლეხი იძულებული იყო სასიმიინდე მიწის ნაკვეთი შეეძინა ქვედა ზონაში, მდინარის ნაპირზე (სოფ. კვახჭირი), ხოლო დაბალ ზონაში მცხოვრები ტყის ფართობს იძენდა ზედა ზონაში, სადაც კარგი ტყის მასივები იყო. შორსმიწიანობას განაპირობებდა სამომთაბარო მეცხოველეობა (მეცხვარეობა), ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მიცვლა-მოცვლის აუცილებლობა და სხვა. ასე, შეიძლება

უამრავი მაგალითი დავასახელოთ, როდესაც ერთ სოფელში მცხოვრებ გლეხს რამდენიმე მეზობელ სოფელში ჰქონდა მიწის ნაკვეთი. მიწათსარგებლობის ყოველგვარი ნაკლოვანება და უგზოობა ერთობლივად აფერხებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მიღებული პროდუქციის რეალიზაციის საქმეს. მიწათსარგებლობაში არსებული მრავალი ნაკლოვანი მხარე აღმოიფხვრა სოციალისტური წყობილების დროს, როდესაც მიწის მესაკუთრე მხოლოდ ერთი პირი – სახელმწიფო გახდა. მოხდა სოფლებს შორის მიწის მოცვლა, საზღვრების გასწორება და სხვა.

სოციალისტური წყობილების დამკვიდრებისთანავე, 1921 წლის 6 აპრილს გამოცემული მიწის დეკრეტით ყველა მიწა გახდა საერთო სახალხო ანუ სახელმწიფო საკუთრება, აიკრძალა მიწაზე ყოველგვარი სახის გარიგების წარმოება. მიწის მართვის მექანიზმი გადავიდა სახელმწიფოს ხელში. თითოეულ ოჯახზე მიწის გასაცემი ნორმის დასადგენად, საქართველო დაყოფილ იქნა ხუთ რაიონად. მიწა ოჯახებს (კომლებს) გაუნაწილდა ადგილზე მიწის ფართობის არსებული მარაგის მიხედვით: დასავლეთ საქართველოში – 2,5 ჰექტრიდან 6 ჰექტრამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 3 ჰექტრიდან 9 ჰექტრამდე. ზოგან მსხვილი მემამულეებისა და საეკლესიო მიწების ხარჯზე ჩამოყალიბდა კომუნები და ამხანაგობები. აღნიშნულმა ღონისძიებამ – მიწის ოჯახზე განაწილებამ – ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში გარკვეული შედეგი მოიტანა: განვითარდა მეცხოველეობა და მემცენარეობა, გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. დამთავრდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ხანა, დაიწყო კოლექტივიზაცია. შეიქმნა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები – კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. შეიქმნა სამექანიზაციო ფართობები, მოეწყო თესლბრუნვები, გაშენდა ქარსაფრები, საველე გზები, სადგომები და შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობები. თუმცა, არ იყო მთავარი, მომუშავე ადამიანის დაინტერესება, მიღებული პროდუქციის სამართლიანად განაწილება. სწორედ ამან განაპირობა მიწის განკერძოების და რეფორმის განხორციელების აუცილებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის რეფორმის შედეგად ისევ დაიჭრა და დაქუცმაცდა მსხვილი სამექანიზაციო ნაკვეთები, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ნაცვლად წარმოიქმნა ახალი ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. დღეს საჭიროა მოინახოს მეურნეობრიობის ისეთი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მომარაგებას და სასურსათო უსაფრთხოებას.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიმდინარე რთული პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენა, გარდაქმნის თავისებურებებისა და ტენდენციების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება ნათელყოფს, რომ აგრარული რეფორმა მეტწილად ორიენტირებულია საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებაზე, ხოლო ნაწილობრივ – სახელმწიფო რეგულირების მეთოდებზე. უკვე დღის წესრიგში დგას მთელი რიგი ეკონომიკური პროცესების ახლებურად გააზრებისა და გადაწყვეტის აუცილებლობა – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეურნეობრიობის ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბების და განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული ყველა სახის რესურსული პოტენციალის სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებას. შერჩეული მეურნეობრიობის ორგანიზაციული ფორმა უნდა შეესაბამებოდეს პერსპექტიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, დასახული მიზნების, ხალხის შრომითი ჩვევების, რეზერვებისა და ტენდენციების მოთხოვნებს. გამოკვეთილად უნდა განისაზღვროს მეურნეობრიობის ინდივიდუალური, კოოპერატიული და ინტეგრაციული ფორმების სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორები, დადგინდეს მათი ამოქმედების გზები; უპირველესად, განისაზღვროს განვითარების ახალი პრიორიტეტები, დარგობრივი სტრუქტურა; გაძლიერდეს კოოპერირების, განსახელმწიფოებრივების, დეცენტრალიზაციის და პრივატიზაციის ტენდენციები, გაუმჯობესდეს საფინანსო სისტემა, შეიქმნას მიწის ბაზრის განვითარების ხელსაყრელი ორგანიზაციულ-სამეურნეო და სამართლებრივი პირობები.

მეურნეობრიობის ფორმის შერჩევა და მისი მიზანშეწონილობის დასაბუთება საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პრობლემაა. ცხოვრების განვლილმა გზამ დაგვანახა, რომ ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ, მზა მოდელის უცვლელად გადმოღებამ და არსებულის ფოტოგრაფირებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, საგრძნობლად დააკნინა და დააზარალა საქართველოს სოფლის მეურნეობა. საკვლევი ობიექტის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უმრავლესობა ინდივიდუალური მეურნეობებია. მთავარია მათი ეფექტიანობის ამაღლების ორგანიზაციული და ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედება. სწორედ ინდივიდუალურ მეურნეობაშია შერწყმული ეკონომიკური ინტერესები, პასუხისმგებლობა, შრომის რაციონალურად განაწილება, დამოუკიდებლობა, სტიმული. მათი საქმიანობა, ძირითადად, დაფუძნებულია საბაზრო ურთიერთობებზე. ინდივიდუალური ანუ ოჯახური მეურნეობის ბუნება აძლიერებს ინდივიდის კერძო ინტერესებს, იძლევა სტიმულს, აყალიბებს გარკვეულ და ეფექტურ საწარმოო ურთიერთობებს, ფუნქციონირებს წარმოების ძირითად საშუალებათა კერძო საკუთრების და პირადი შრომის საფუძველზე. მეურნე დამოუკიდებელია თავის მოქმედებაში. საკვლევ ზონაში ინდივიდუალური მეწარმე მისდევს მრავალდარგოვან წარმოებას – ბოსტნეული, კარტოფილი, თამბაქო, მეცხოველეობა, მევენახეობა, საკვები და მარცვლეული კულტურები. პროდუქცია იწარმოება როგორც საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისე ნამეტის ბაზარზე გასატანად. ამდენად, საკვლევ ზონაში მეურნეობა როგორც საოჯახო-ეკონომიკური, ისე ეროვნული სოციალურ-ისტორიული ფენომენია.

გვინდა, გაგაცნოთ ჩვენი ხედვა ფერმერული მეურნეობის სტრუქტურული წყობის შესახებ. ფერმერული მეურნეობა უნდა მოიცავდეს კერძო და იჯარული ფორმების შეთანაწყობის, წარმოების მასშტაბურობას, პროდუქციის წარმოებასა და გადამუშავებას, ფონდალჭურვილობას, ორიენტირებული უნდა იყოს მეტი დაქირავებული მუშახელის გამოყენებით, ძირითადად, სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე.

თუ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას გავიზიარებთ, უპირატესობა ეძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, გადამუშავებით, შენახვით და რეალიზაციით დაკავებულ აგრარულ-სამრეწველო ტიპის საწარმოებს. მაგალითად: ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპის და ავსტრალიის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების 80% გაერთიანებულია კოოპერატივში, ჩრდილოეთ ევროპასა და იაპონიაში 100% რძის პროდუქტებისა და კარტოფილის 100% და ბოსტნეულის შესყიდვის 90% კოოპერატივების წილად მოდის. როგორც ჩანს, კოოპერატივები აპრობირებული და ყოველმხრივ ხელსაყრელი საწარმოებია. სწორედ კოოპერაციის და ინტეგრაციის საფუძველზე შექმნილი საწარმოთა ფორმები უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას, შენახვას და რეალიზაციას. აქ იქმნება ყველა პირობა საბაზრო ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების და ფინანსური პოტენციალის ზრდის უზრუნველსაყოფად. საწარმოთა კოოპერირების საფუძველზე, გაადვილებულია მიწის ფართობების კონსოლიდაცია, სარწყავი და დამშრობი სისტემების საერთო ძალებით მოწყობა. ამაზე მეტყველებს მოწინავე ქვეყნების სამეურნეო გამოცდილება.

ინდივიდუალური (ოჯახური) მეურნეობა არის საკვლევ ზონაში მცირე ბიზნესის ორგანიზების საფუძველთა საფუძველი, ძირითადი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთეული, საბაზრო ურთიერთობათა პრინციპების საფუძველი, წარმოების პროცესის დაჩქარების საშუალება და ამოსავალი. საკვლევ ზონაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოოპერატიული ფორმების განვითარებისათვის მართლაც დიდი რეზერვები გაგვაჩნია. წარმატებით შეიძლება დაინერგოს სააქციო საზოგადოება და კოოპერატივები. შემდგომში მათ ბაზაზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს აგროკონსორციუმები, ჰოლდინგური კომპანიები, ინდივიდუალური მეურნეობები, კოოპერატივები. მსხვილი სამრეწველო (საფინანსო) ჯგუფები წარმოდგენილი იქნება ერთ მთლიან სისტემად. სწორედ ასეთი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური კავშირები შექმნის ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის ყველა პირობას.

საკვლევი ობიექტის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელსაყრელი ფორმების შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული დღეს უკვე შექმნილი და ჩამოყალიბებული რამდენიმე მეურნეობის სტრუქტურა, მისი ავკარგიანობა და ტენდენციურობა პერსპექტიული განვითარებისათვის. ადგილზე შესწავლილი რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო საწარმო, თავისი ორგანიზაციულ-სამეურნეო და სამართლებრივი წყობით, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით, პერსპექტიული მეურნეობაა და შეიძლება მათი განზოგადება მსგავსი პირობების მქონე ტერიტორიებზე. (იხ. ცხრილი 17)

მეურნეობრიობის ახალი ფორმების კვალობაზე წარმოქმნილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტერიტორიული პირობები

ცხრილი 17

№	რაიონი	ობიექტის დასახელება	საერთო ფართობი (ჰა)	საკუთრების უფლება მიწაზე		მიწის საგარეული					ნაკვეთის რაოდენობა	სიმაღლე ზ.დ. (მ)	აქტ. ტემპ. ჯამი	ნაკვეთების რაოდენობა (მმ)	ფართობის დახრილობა	ნიადაგები მუქი წაბლა	შარწყავი + რწყავი -
				სახელმწ. (იჯარა) (ჰა)	კერძო (ჰა)	სახნავი	მრწ. ნარგავი	სათიბი	საძოვარი	შენობა-ნაგებობ.							
I	მარნეული	სოფ. ყულარი შ.პ.ს “გეორგია-90”	29		29	19	1		8	1	8	709	2543	760	2-3	დიდი სისქის ღია ყავისფერი სტრუქტურული ნაყოფიერი	+
II	თეთრი წყარო	დაბა მანგლისი ი. მ. “გერტიშვილი კობა”	146		146	13		38	94	1		1160	2515	745	4-8	მთა-მდელოს შავმიწები და შავმიწისებრი	-
III	ბოლნისი	1) ი.მ. “ნიკოლოზ გოგოლაძე”	104		104	103,5				0,5	5	714	2543	760	2-3	რუხი ყავისფერ-შავმიწა	-
		2) შ.პ.ს. “საგანეთი-2”	70		70	69,5				0,5	6	720	2543	760	3-4	რუხი ყავისფერ-შავმიწა	+
IV	ღმანისი	1) ი.მ. “ნანა ასლანიშვილი”	12,2		12,2	12				0,2	2	1100	2550	648	3-6	რუხი ყავისფერ-შავმიწა	
		2) შ.პ.ს. “განთიადი-1” “დავით ციხელაშვილი”	435	435		35		219	180	1	9	1150	2550	648	5-10	რუხი ყავისფერ-შავმიწა	
V	გარდაბანი	შ.პ.ს “მამული-96”	718		718	680			34	4	7	711	4088	378	3-5	რუხი ყავისფერი ნიადაგები	+

- მარნეულის რაიონის სოფელ ყულარის ტერიტორიაზე განლაგებული შ.პ.ს. „გეორგია-90.“ საერთო ფართობი – 29 ჰექტარი; მ.შ.: სახნავი – 19 ჰა, ბაღი – 1 ჰა, საძოვარი – 8 ჰა და შენობა-ნაგებობების ქვეშ – 1 ჰექტარი. მდებარეობს მდინარე ხრამის ნაპირზე, უშუალოდ ესაზღვრება ცენტრალურ სარწყავ არხს, ირწყვება თვითღინებით. მეურნეობა დაარსდა 1990 წელს საიჯარო მიწების ხარჯზე. 2006 წელს საიჯარო მიწის კერძო საკუთრების უფლებით შესყიდულ იქნა მოიჯარეების მიერ.

მეურნეობის ტერიტორია 8 ნაკვეთისგან შედგება. აქედან 19 ჰექტარი სარწყავი სახნავი მიწა დაყოფილია 5 ნაკვეთად, ფართობი ვაკეა და მექანიზებული წესით დასამუშავებლად ხელსაყრელი, ნიადაგები მაღალნაყოფიერია, კლიმატური პირობები – კარგი. მეურნეობა აღჭურვილია კარგი ტექნიკით – ტრაქტორი, გუთანი, კულტივატორი, სათესი, შემგროვებელი. 2006 წელს მეურნეობამ აწარმოვა 45 ტონა მარცვლეული, 97 ტონა – ბოსტნეული, 5 ტონა – ხილი. წლის განმავლობაში სულ დახარჯულია 35 343 ლარი, შემოსავალი – 44 143 ლარი, მოგება – 8 800 ლარი. წარმოების რენტაბელობის დონე 24,8%-ია. სადღეისოდ მეურნეობის ორგანიზაციული სტრუქტურა ასეთია: დირექტორი, ბუღალტერი და აგრონომი. ბოსტნეულის მწარმოებელ ჯგუფში გაერთიანებულია 2 თანამშრომელი, მარცვლეულისა და ხილის მწარმოებელ ჯგუფში – 2 თანამშრომელი. გასულ წელს მოწეული მოსავალი პირდაპირ ველზე იქნა გაყიდული ბითუმად და წადებული ქალაქ ბაქოსა და რუსთავში. სამომავლოდ დაგეგმილია თავთავიანი კომბოსტოს, ბოლოკის, საადრეო კარტოფილის წარმოების გაზრდა, შავი ქლიავის და საადრეო ვაშლის პერსპექტიული ჯიშების გაშენება; 500 მ²-ზე თანამედროვე სათბურის მოწყობა პომიდვრის, ყვავილოვანი კომბოსტოს და სხვა ბოსტნეული

კულტურების ჩითილის გამოსაყვანად. მარკეტინგული პროგრამით გათვალისწინებულია მაქსიმალურად შესაძლებელი საადრეოობის მიღწევა, საუკეთესო ჯიშების შერჩევა, პროდუქციის ხარისხის თანდათან გაუმჯობესება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება; მომხმარებელზე ორიენტირებული ფასწარმოქმნის სისტემის დანერგვა; მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით, მიწის პროდუქტიულობის ზრდით წარმოების გადიდება. გათვალისწინებულია ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. ყველა საწარმოო პარამეტრით, მეურნეობა მრავალდარგოვანი, რაციონალური სტრუქტურითა და პერსპექტიულობით ხასიათდება. ჩვენი აზრით, მსგავსი პირობების მქონე ტერიტორიებზე ასეთი ზომისა და სტრუქტურული შედგენილობის საწარმოების ორგანიზება ხელსაყრელი და მომგებიანი საქმეა.

მარნეულის მეკარტოფილეობის მეურნეობის ბაზაზე შექმნილი ინდივიდუალური საწარმო „შეყლამაზაშვილი ნუგზარი“ ფუნქციონირებს 1993 წლიდან. თავიდან ერთი მეიჯარის უფლებით, ხოლო 2006 წელს შესყიდულ იქნა კერძო საკუთრებაში. უკავია 50 ჰექტარი მიწის საერთო ფართობი ორ ნაკვეთად, აქედან 49,5 ჰექტარი სახნავია. მიწაზე აწარმოებს ხორბალს და ბოსტნეულს (პომიდორი და ხახვი). 2006 წელს 30 ჰექტარი მიწიდან მიღებული აქვს 100 ტონა პომიდორი და 15 ჰექტარი მიწიდან – 50 ტონა ხახვი. ფართობი ვაკეა; სარწყავი, ნაყოფიერი მიწის მქონე მეურნეობას აქვს ერთი ტრაქტორი DT-75, ერთი ცალი „ბელორუსი“ და ერთი ცალი MTS-82. მეურნეობას მართავს ოჯახი, სეზონურად დაქირავებული ჰყავთ 22 კაცი. წლიური შემოსავალი 8000 ლარია, რენტაბელობის დონე – 14%. პერსპექტივაში, მეწარმეს მეურნეობის ინტენსიფიკაციის ხარჯზე

გათვალისწინებული აქვს მოსავლიანობის გაზრდა და მისი საშუალებით მეურნეობის რენტაბელობის დონის ამაღლება.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლები
ცხრილი 18

№	რაიონი	ობიექტის დასახელება	მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ა								მეცხოველეობა		დანახარჯები (ლარი)	შემოსავალი (ლარი)	მ ლ გ ე ბ ა (ლარი)	ტექნიკა	მომსახ. პერსონალი
			მარცვლეული		ბოსტნეული		კარტოფილი		მზესუმზირა		სულადობა	პროდუქტიულობა (ტონა)					
			ჰა	ტონა	ჰა	ტონა	ჰა	ტონა	ჰა	ტონა							
1	მარნეული	სოფ. ყულარი შ.პ.ს „გეორგია-90“	11,5	45	8	97			1	5			35343	44143	8800	5	4
		ი.მ. „შეყვამაზა-შივილი ნუგზარი“	30	100	19,5	150							58 000	66 000	8 000	3	4
2	ბოლნისი	1) ი.მ. „ნიკოლოზ გოგოლაძე“	103,5	237									40940	69000	28060	2	4
		2) შ.პ.ს. „საევანეთი-2“	55	187			15	300					104320	165800	61480	2	14
3	თეთრი წყარო	დაბა მანგლისი ი. მ. „გერტიშვილი კობა“	12	36							68	61	20561	24840	4279	4	4
4	დმანისი	1) ი.მ. „ნანა ასლანიშვილი“	7	21			5	100			12	24	29200	49200	20000	8	7
		2) შ.პ.ს. „განთიადი-1“ „დავით ციხელაშვილი“	23	69			12	219					77370	98420	21050	6	13
5	გარდაბანი	შ.პ.ს. „მამული-96“	530	800					150	100			180000	350000	170000	13	10

– ბოლნისის რაიონის ინდივიდუალური მეწარმე „ნიკოლოზ გოგოლაძე“ განლაგებულია ყოფილი ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე. საერთო ფართობია 104 ჰექტარი, აქედან 103,5 ჰექტარი უჭირავს სახნავს და 0,5 ჰექტარი საველე სადგომს. ადგილი ვაკეა, ნიადაგები – რუხი ყავისფერი და შავმიწა, კარგი სტრუქტურული შედგენილობის. კლიმატური პირობები სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვა-მოყვანისათვის ხელსაყრელია. მეურნეობა ჩამოყალიბდა 1994 წელს საიჯარო მიწების ბაზაზე, 2006 წელს შესყიდულ იქნა მოიჯარის მიერ კერძო საკუთრების უფლებით. ფართობი წარმოადგენს 5 ნაკვეთისგან შემდგარ ერთ მოლიან მასივს, რაც ხელს უწყობს მაღალეფექტური მექანიზმების გამოყენებას, მეურნეობას აქვს 1 ტრაქტორი T-D 50 და 2 ცალი MTS-80. ჰყავს 4 მუშახელი, ძირითადად აწარმოებს საშემოდგომო ხორბალს. 2006 წელს მიღებულია 237 ტონა ხორბალი, წლიური დანახარჯების ჯამი 40 940 ლარია, შემოსავალი – 69 000, მოგება – 28 060 ლარი, რენტაბელობის დონე – 68,5%. ერთ ცენტნერ ხორბალზე ამონაგებია 30 ლარი. დაბალია საჰექტარო მოსავლიანობა (22 ც). სამომავლოდ მეწარმეს, პროგრესული ჯიშისა და მაღალი აგროტექნიკის ხარჯზე, დაგეგმილი აქვს საჰექტარო მოსავლიანობის 3,5-4 ტონამდე გაზრდა. რაც მცირედი დანახარჯებით მნიშვნელოვანი მოგების მიღებისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების საშუალებას მისცემს. ურწყავი ფართობის პირობებში მსგავსი მეურნეობის ორგანიზება წარმატებულ და პერსპექტიულ საქმედ მიგვაჩნია.

– ბოლნისის რაიონის შ.პ.ს „სავანეთი-2“ განლაგებულია მდინარე მაშავერას ნაპირზე, ჩამოყალიბდა 1994 წელს ბოლნისის მევენახეობის მეურნეობის საიჯარო მიწების ხარჯზე. 2006 წელს შესყიდულ იქნა მეიჯარეების მიერ, კერძო საკუთრებაში წილობრივი საკუთრების

უფლებით. ფართობი მთლიანად რეგულარული სარწყავია, ადგილი – ვაკე, ნიადაგები – რუხი ყავისფერი და შავმიწა, ნაყოფიერი; კლიმატური პირობები ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის. ფართობის 69,5 ჰექტარი სახნავია, 0,5 ჰექტარი დაკავებულია საველე ფარდულებით. მთლიანი მასივი შედგება 6 ნაკვეთისაგან, მოსახერხებელია მექანიზებული წესით დამუშავებისათვის. მეურნეობას აქვს 1 ცალი T-75 და 2 ცალი MTS-80. მუშახელი და მომსახურე პერსონალი 14 კაცია. 2006 წელს მეურნეობას 55 ჰექტარზე ნაწარმოები აქვს 187 ტონა საშემოდგომო ხორბალი, 15 ჰექტარზე – 300 ტონა კარტოფილი. ხორბლის საჰექტარო მოსავალი 34 ცენტნერია, ხოლო კარტოფილის – 200 ცენტნერი; ხორბლის თვითღირებულება 17,8 ლარია, კარტოფილის – 23,5 ლარი. წლის განმავლობაში დანახარჯები სულ იყო 104 320 ლარი, შემოსავალი – 165 800 ლარი, ერთ ცენტნერ ხორბალზე მოგება 32 ლარი და კარტოფილზე – 35 ლარი; რენტაბელობის დონე ხორბალზე – 79,7% და კარტოფილზე – 48,9%. მეურნეობას მომავალში გათვალისწინებული აქვს უხვმოსავლიანი ჯიშების დანერგვის, მაღალი აგროტექნიკისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მიწის საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდა: ხორბლის – 4,5-5 ტონამდე, კარტოფილის – 25-30 ტონამდე. მეურნეობის ძირითადი მიმართულება იქნება მარცვლეული კულტურების წარმოება და მეკარტოფილეობა. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საადრეო კარტოფილის წარმოების გაზრდაზე.

– თეთრი წყაროს რაიონის დაბა მანგლისის ინდივიდუალური მეწარმე „გვრიტიშვილი კობა“ ჩამოყალიბდა 1993 წელს საიჯარო მიწების ხარჯზე. მეურნეობა შეიქმნა 2007 წელს, კერძო საკუთრების უფლებით. მეურნეობის მთლიანი ფართობი 146 ჰექტარია, მათ შორის:

სახნავი – 13 ჰექტარი, სათიბი – 32 ჰექტარი, საძოვარი – 94 ჰექტარი და შენობა-ნაგებობების ქვეშ – 1 ჰექტარი. ფართობი მთლიანად ურწყავია, რთული რელიეფის მქონე. 13 ჰექტარი სახნავი ნაკვეთი 4 კონტურისგან შედგება. შედარებით ვაკეა და მექანიზებული წესით დამუშავებისთვის ხელსაყრელი; ნიადაგები მთა-მდელოს შავმიწები და შავმიწისებრი სახესხვაობებისაა, კლიმატი – შედარებით ცივი და მშრალი. საწარმოს მიმართულება მერძეული მესაქონლეობა და მემარცვლეობაა. მეურნეობას დაქირავებული ჰყავს 4 მუშახელი – 2 მწველავი და 4 მწყემსი. აქვს 4 ერთეული ტექნიკა: ვილისი PBK-157, PBK-130, ფარცხი. პირუტყვის სულადობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ფური – 36, ბულა მწარმოებელი – 3, დეკეული – 3, წლამდე – 16, მოზარდი 2 წლამდე – 13 სული. 12 ჰექტარი სახნავიდან მიღებული აქვთ 36 ტონა მარცვალი, 36 ფურიდან – 61 ტონა რძე. 2006 წლის დანახარჯები 20 561 ლარია, შემოსავალი – 24 840 ლარი, მოგება – 4 278 ლარი. რენტაბელობის დონე – 58,9%-ია. სამომავლოდ, ჯიშების შედგენილობისა და აგროტექნიკური ღონისძიებების გაუმჯობესებით გათვალისწინებულია ხორბლის მოსავლიანობის 4 ტონამდე გაზრდა, ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობის სრულყოფისა და კვების რაციონის გაუმჯობესების ხარჯზე წველადობის 2,5-3 ტონამდე მატება. შესაბამისად, ფიქრობენ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

– დმანისის რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული ინდივიდუალური მეწარმე „ნანა ასლანიშვილი“ ორგანიზებულია 1994 წელს, სოფელ განთიადის საიჯარო მიწის ნაკვეთების ბაზაზე. საერთო ფართობი 12,2 ჰექტარია, შედგება ორი ნაკვეთისგან: ერთი – 10 ჰექტარი სახნავი მიწა მდებარეობს დასახლებული პუნქტიდან 10 კილომეტრში, ხოლო მეორე, ორი ჰექტარი სახნავი – 2 კილომეტრში. 0,2 ჰექტარი

უჭირავს საველე სადგომს. 2007 წელს მიწა შესყიდულ იქნა კერძო საკუთრების უფლებით. ნიადაგები რუხი ყავისფერი, შავმიწისებრია, ადგილი – ზოგან 6-მდე დახრილობის მქონე, ზღვის დონიდან 1100 მეტრამდე მდებარეობს. კლიმატი შედარებით ცივი და მშრალია. გამოიყენება დაქირავებული მუშახელი – 5-7 კაცი წელიწადში. მეურნეობას აქვს 8 ერთეული ტექნიკა: 1 ცალი – ტრაქტორი S-80, 1 ცალი – კარტოფილის ამომთხრელი, 1 ცალი – კარტოფილის სარგავი, 1 ცალი – ჰერბიციდების შემტანი, 1 ცალი – ხორბლის სათესი, 1 ცალი – სიმინდის სათესი, 1 ცალი – კულტივატორი, 1 ცალი – ტრაქტორი T-75. 2006 წელს 12 ფურიდან მიღებულია 24 ტონა რძე, 5 დედა ღორიდან – 50 გოჭი, 70 ჰექტარი ხორბლის და სიმინდის ნათესიდან – 21 ტონა მარცვალი, 5 ჰექტარი კარტოფილის ნათესიდან – 100 ტონა. საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 29 200 ლარი, შემოვიდა 49 200 ლარი, მოგება – 20 000 ლარი. რენტაბელობის დონე 68,4 %-ია. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, მეურნეობა, მისი ხელსაყრელი პირობების წყალობით, მრავალდარგოვანია – მერძეული მესაქონლეობა, მეღორეობა, კარტოფილისა და მარცვლეული კულტურების წარმოება. დარგთა ასეთი შეთანაწყობა საშუალებას იძლევა რაციონალურად და ეფექტურად იქნეს გამოყენებული ტექნიკა, კაპიტალი, მუშახელი და მიწის რესურსები. სამომავლოდ გათვალისწინებულია მარცვლეულისა და კარტოფილის წარმოების გაზრდა, საკვები ბაზის გაუმჯობესება, რძის წარმოების გადიდება, რძის გადამამუშავებელი ქარხნის მოწყობა და ჯიშების გაუმჯობესების ცენტრის ჩამოყალიბება, შესაბამისად, მეურნეობის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა.

წარმოების ორგანიზაციის, დარგთა შეთანაწყობის და რენტაბელობის დონის მიხედვით, მეურნეობა სამაგალითო და პერსპექტიულია.

– დმანისის რაიონის შ.პ.ს. „განთიადი-1“ „დავით ციხელაშვილი“ ორგანიზებულია განთიადის მერძევეობა-მეკარტოფილეობის მეურნეობის საიჯარო მიწების ხარჯზე. მეურნეობის საერთო ფართობი 435 ჰექტარია; აქედან: სახნავი – 35 ჰექტარი (ორ ნაკვეთად), სათიბი – 219 ჰექტარი, საძოვარი – 180 ჰექტარი და შენობა-ნაგებობის ქვეშ – 1 ჰექტარი. მეურნეობის ფართობი ალავ 10 -მდე დახრილობისაა. სახნავი მიწა შედარებით ვაკეა და მექანიზაციისთვის ხელსაყრელი, ნიადაგები – რუხი ყავისფერი, შავმიწა, კლიმატი – მშრალი, საკმაოდ ცივი. მუშახელი დაქირავებულია, საშუალოდ, წელიწადში 12-13 კაცი. მეურნეობას აქვს შემდეგი ტექნიკა – 1 ცალი ტრაქტორი 8, 1 ცალი კარტოფილის სარგავი, 1 ცალი კარტოფილის სათხრელი, 1 ცალი ჰერბიციდების შემტანი, 1 ცალი ხორბლის სათესი, ბალახის სათოხნი KIR-15. 2006 წელს 12 ჰექტარი კარტოფილის ნათესიდან მიღებულია 18 ტონა საჰექტარო მოსავალი, 2 ჰექტარი ჭარხლის ნათესიდან – 20 ტონა, 12 ჰექტარი ხორბლის * შეტანა, 9 ჰექტარი შვრიის ნათესიდან – 2,5 ტონა საჰექტარო მოსავალი. სახნავი სოფლიდან დაშორებულია 5-კილომეტრით, სათიბ-საძოვრები – 25 კმ-ით. 2006 წელს მეურნეობაში დახარჯულია 77 370 ლარი, შემოსულია 98 420 ლარი, მიღებულია მოგება 21 050 ლარი. რენტაბელობის დონე 27,2%-ია. მაღალმოსავლიანი სათესი მასალის გამოყენების და წარმოების ინტენსიფიკაციის ხარჯზე, მომავალში გათვალისწინებულია მიწის პროდუქტიულობის ზრდა და მყარი საკვები ბაზის არსებობით 20 საუკეთესო ჯიშის ძროხის შეძენა. ამდენად, მეურნეობის პერსპექტიული მიმართულება იქნება მერძევეობა-მეკარტოფილეობა.

მეურნეობის ხელმძღვანელობას, გრანტის მოპოვების შემთხვევაში, გათვალისწინებული აქვს მიწის კერძო საკუთრების უფლებით შესყიდვა.

- გარდაბნის რაიონის შ.პ.ს „მამული-96“ შექმნილია 1996 წელს, საიჯარო მიწის ნაკვეთების ბაზაზე. მეურნეობის საერთო ფართობი 718 ჰექტარია, შედგება 7 მასივისაგან. მათ შორის სახნავი 680 ჰექტარია, საძოვარი – 34 ჰექტარი და შენობა-ნაგებობების ქვეშ – 4 ჰექტარი. ადგილის რელიეფი ვაკეა, მექანიზაციისთვის ხელსაყრელი, ნიადაგები – რუხი-ყავისფერი, მაღალნაყოფიერი, კლიმატური პირობები – თბილი, ფართობი უზრუნველყოფილია სარწყავი, სამეურნეო და სასმელი წყლით. 2006 წელს კომპანიის ფართობი შესყიდულია და გამოიყენება საზიარო წილობრივი უფლებით. მეურნეობა სრულადაა აღჭურვილი სათანადო ტექნიკით, აქვს ტრაქტორები, კომბაინები, სათესები, ფარცხები, სატვირთო მანქანები, კულტივატორები, ესკალატორები, ჰერბიციდების შემსხურებელი და თივის დამწნეხი აპარატები. საანგარიშო წელს მეურნეობამ 530 ჰექტარზე აწარმოვა 800 ტონა მარცვლეული კულტურა, 150 ჰექტარზე – 100 ტონა მზესუმზირა. კომპანიას ჰყავს 10 მუდმივი ადმინისტრაციული თანამშრომელი და 30 სეზონური მუშა. საერთო დანახარჯებმა 2006 წელს შეადგინა 180 000 ლარი, შემოსავალმა – 350 000 ლარი, მოგების სახით მიღებულია 170 000 ლარი. რენტაბელობის დონე – 94,4%-ია. მაღალმოსავლიანი ჯიშების დანერგვისა და წარმოების ინტენსიფიკაციის ხარჯზე, სამომავლოდ გათვალისწინებულია მარცვლეულისა და მზესუმზირის მოსავლიანობის გაზრდა, აგრეთვე, ბოსტნეული კულტურების თესვა-მოყვანის ორგანიზაცია.

ჩვენს მიერ შესწავლილი და გამოკვლეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მიწის ბაზარი განვითარდა, კერძო საკუთრების მიწის ბაზაზე წარმატებით ფუნქციონირებს ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სოლიდური ტენდენციები და განვითარების პერსპექტივა აქვს

თითოეულ მათგანს. ვფიქრობთ, გზა, რომლითაც ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს აღნიშნული საწარმოები, გამართლებული და პერსპექტიულია, მისაბაძი უნდა იყოს მსგავსი პირობების ტერიტორიაზე მეურნეობის ასეთ ფორმების დამკვიდრების უზრუნველსაყოფად.

2.3. მიწის ბაზარი

როგორც ზემოთ ითქვა, ფართო გაგებით, მიწა არ არის პირადი ან აბსოლუტური კერძო საკუთრების საგანი. დღეს მიწით სარგებლობს ერთი, ხვალ და ზეგ ისარგებლებს მეორე და ა.შ. მთავარია, ადამიანმა მიწიდან მიიღოს მაქსიმალური სარგებელი, თანაც გაზარდოს მისი ნაყოფიერება და დატოვოს გაუმჯობესებული. ადამიანის მოთხოვნილებები მუდმივად მზარდია. ამასთან ერთად, თანმიმდევრულად იკლებს შეზღუდული და იშვიათი საქონლის წარმოებისა და მომსახურებისათვის საჭირო რესურსი, რომელთა ერთადერთი ძირითადი კომპონენტი მიწაა. სწორედ მიწის ბაზარია ამ შეზღუდული, შეუნაცვლებელი და ძვირფასი მატერიალური დოვლათის შექმნა-გასხვისების საიმედო და უტყუარი ინსტრუმენტი. მიწის ბაზრის, როგორც ეკონომიკურ აგენტებს შორის ამ დიდი სიკეთის შექმნისა და გასხვისების გზით გაცვლის ეკონომიკური ურთიერთობის ორგანიზაციის ფორმის, წარმოქმნა განაპირობა მიწის რესურსების ბუნებრივმა იშვიათობამ და შეზღუდულობამ. კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე ბევრი საშუალება, ხერხი და მეთოდია ცნობილი – დაპყრობითი ომები, ძალადობით მითვისება, ჩამორთმევა, სესხის სანაცვლოდ მიწის აღება, გაჩუქება, ანდერძით დატოვება, მემკვიდრეობით გადაცემა, მზითევში გაცემა და ყიდვა-

გაყიდვა. ამათგან ერთ-ერთი საპატიო და სამართლიანი ადგილი მიწის ბაზრის საშუალებით მიწის ყიდვა-გაყიდვას ეკუთვნის.

ფასწარმოქმნა, როგორც ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად კონკურენციული, გაწონასწორებული ფასის დადგენის პროცესი, ბაზრის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის მთავარი და უპირველესი ფუნქციაა. სწორედ ფასი შეიცავს ოპერატიულ, ვრცელ და კომპაქტურ ინფორმაციას ბაზრის გაჯერებისა და დეფიციტის არსებობის შესახებ. ფასების ჩამოყალიბების მექანიზმია გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთობის, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების პროცესი. საქონლის სიჭარბისას ფასი მცირდება, სიმცირის შემთხვევაში – მატულობს, მიწოდებისა და მოთხოვნის ფასობრივი წონასწორობის მექანიზმი არეგულირებს ბაზარს – განსაზღვრავს ფასს, ეკონომიკის სფეროში ფულია არჩევნის გაკეთების უალტერნატივო მოტივაცია. ბაზრის, როგორც მონაწილეთა ურთიერთკავშირების ორგანიზაციის ყველაზე ეფექტური სისტემის, საშუალებით წყდება ეკონომიკური პრობლემები – რა? როგორ? ვისთვის? მოთხოვნა მიწოდების უმნიშვნელოვანესი ორგანიზატორია და პირიქით, მიწოდება და მოთხოვნა იდენტურად ურთიერთქმედებს. საბაზრო სისტემის მოქმედების მარეგულირებლად გვევლინება სახელმწიფო, რომელიც გამოსცემს საკუთრების უფლების კანონებს, იძლევა პირადი ინტერესების და ეკონომიკური მოტივაციის პრიორიტეტის გარანტიას, ფასებისა და შემოსავლის კონკურენტული მექანიზმის გამოყენების უფლებას, ზღუდავს მონოპოლიას. მით უმეტეს, ისეთ ეკონომიკურ სფეროში, როგორც მიწის დაცვა და გამოყენებაა. სახელმწიფოს ჩარევა მართლაც დიდმნიშვნელოვანი საკითხია – საბაზრო ეკონომიკის საფუძველი სწორედაც, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტია. საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობები აისახება ამ

საქმიანობაში ჩართულ მონაწილეებს შორის წარმოქმნილ ურთიერთობებში, თითოეული მათგანის დამოკიდებულებაში სახელმწიფოსთან.

საკუთრების ფორმების გავლენა კონკურენციაზე აისახება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სარესურსო პოტენციალის გამოყენებით საქონელზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის დაცვის უზრუნველყოფაში.

მიწას, როგორც საქონელთბრუნვის საგანს, გარიგებათა უამრავი სახეობის ობიექტის მოთხოვნისა და მიწოდების იგივე კანონები და მექანიზმები მართავს, რაც საერთოს. თუმცა მიწის, როგორც წარმოების მთავარი საშუალების, მითვისება, განაწილება და გამოყენება უფრო ღრმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხება. მიწის საბაზრო ბრუნვაში ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლებით, რომლის საბაზრო შეფასება ფასეულობის გამოხატვის ერთ-ერთი უტყუარი საშუალებაა. უპიროვნო-უსახო ძალა – „უხილავი ხელი“ – ბუნების ობიექტური კანონების მიხედვით, ზუსტად ითვალისწინებს ბუნებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და გეოპოლიტიკურ ფაქტორებს, ყოველგვარი ადამიანური ნება-სურვილის გარეშე, თვითონ განსაზღვრავს მიწის ფასს და არეგულირებს საბაზრო პროცესს. აქედან გამომდინარე, „უხილავი ხელით“ მიწის მართვას თან სდევს სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის ზოგიერთი ასპექტი. სახელმწიფო, როგორც მიწის უზენაესი მესაკუთრე, იძულებულია დააწესოს მის გასხვისებასა და გამოყენებაზე გარკვეული შეზღუდვები, მისი მიზნობრივი დანიშნულების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის პრიორიტეტულობის, ეკოლოგიური გარემოს დაცვის, ეროვნული ინტერესების, სამექანიზაციო ფართობების დაქუცმაცების თავიდან აცილების, საჭიროების

შემთხვევაში მიწის სხვადასხვა ფასში გაცემის და სხვათა გამო. ამდენად, მიწის ფონდის მართვის პროცესში სახელმწიფო მეტნაკლებად მონაწილეობს.

დღეს საქართველოს და, კერძოდ, საკვლევი ობიექტის – ქვემო ქართლის მხარის მიწის ბაზრის მოკლე ისტორიის შესწავლა ნათელყოფს, რომ მიწის ბაზარი განვითარდა. მოქმედებს მიწის ბაზრისთვის დამახასიათებელი ყველა სახის გარიგების ინსტიტუტი, თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით. მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმის დროს აკრძალული იყო მიწაზე ყველა სახის გარიგება, ფარულად მაინც ხდებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა. მიწის შეძენის მსურველნი ყიდულობდნენ მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს, ფაქტობრივად კი, იძენდნენ მიწის ნაკვეთს.

1992 წლიდან მიწის საკუთრების ფორმები შეიცვალა. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით, კერძო საკუთრების მიწის ფონდში გადავიდა მნიშვნელოვანი სიდიდის ფართობი. მიწის ბაზრის ფუნქციონირებასა და გააქტიურებას ხელი შეუწყო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილებამ, რომლის 1997 წლის 15 მაისს შესწორებული ვარიანტით, რომლის მოქმედების ვადა გაგრძელდა 1999 წლის პირველ იანვრამდე, როდესაც დამთავრდა მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემა და დოკუმენტების გაფორმება. მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელმაც განსაზღვრა მიწის ბაზრის გამოცოცხლება, იყო 1998 წლის 28 ოქტომბერს მიღებული კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.“ სწორედ

აღნიშნულმა დადგენილებამ და მიწის ფონდის მართვის სხვა საკანონმდებლო აქტებმა გზა მისცეს მიწის განკერძოების და გასხვისების ფართო პროცესს, რასაც თან ახლდა მნიშვნელოვანი სახის დარღვევები და უზუსტობანი.

მიწის განკერძოების, იჯარით გაცემის, უზუფრუქტის, გირავნობის და სერვიტუტის უფლებით გაცემის პროცესში დაშვებულ ტექნიკურ, სამართლებრივ, სოციალურ უზუსტობებთან ერთად, მიწის ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირებასა და ეფექტურობაზე დღესაც უარყოფითად მოქმედებს უხარისხო საკადასტრო მასალებით სარგებლობა, მიწის ნორმატიული და რეალური საბაზრო ფასის ნორმატიულობა და ფაქტობრივი მდგომარეობის მხედველობაში მიუღებლობა, მიწის ნაკვეთებზე გარიგებათა წარმოების დროს მოსაკრებლების სიდიდის ხელოვნურად შემცირებული მაჩვენებლებით განსაზღვრა, ამით სახელმწიფო ბიუჯეტის დაზარალება და სახელმწიფო მიწის ფონდის იაფად გაყიდვა-განიავება, მიწის მიზნობრივად გამოყენების წესების დარღვევა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, არასასოფლო-სამეურნეო სავარგულში გადატანა. დღეს ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგავართ. ინვესტიციების ჩადებას და მიწა-წყლის შექმნას მეტწილად საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები ახერხებენ. ჩვენი მოქალაქეები, უსახსრობის გამო, დიდი ზომის ფართობს ვერ იძენენ, დაჭრილ-დაქუცმაცებული მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციას ვერ ახერხებენ. პირიქით, მრავალი ხელმოკლე მოქალაქე იძულებულია მიწის ნაკვეთი გაასხვისოს. ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს ნორმალური, ეფექტური და ხელსაყრელი მიწის ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირებაზე.

საკვლევი ობიექტის მიწის ბაზრის ფუნქციონირების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკმაოდ ქაოსური და მოუწესრიგებელია. ჩვენი აზრით,

მთავარი მაინც მიწის ნორმატიული ფასისა და საბაზრო ფასის ურთიერთშეუსაბამობა, არარეალურობაა.

2006 წლის მონაცემებით საკვლევი ობიექტის მიწის ბაზრის მოქმედების შედეგად წარმოებული ოპერაციებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული თანხების ამსახველი ინფორმაცია მოცემულია ცხრილში19

ქვემო ქართლის მხარის მიწის ბაზრის ფუნქციონირების შედეგად 2006 წელს წარმოებული ოპერაციები

ცხრილი 19

რაიონები	იპოთეკა					პირველადი რეგისტრაცია					შემდგომი რეგისტრაცია					მ.შ. ნასყიდობა
	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	ჯამი	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	ჯამი	1 კვ.	2 კვ.	3 კვ.	4 კვ.	ჯამი	
სულ ქვემო ქართლი					2416					14027					17546	13836
რუსთავი	159	241	299	0	699	542	823	601	351	2317	926	1071	804	481	3282	2800
ბოლნისი	67	14	35	63	179	155	195	468	408	1226	461	650	809	225	2145	1400
გარდაბანი	95	189	449	159	892	771	1732	3162	1409	7074	654	1127	4516	369	6666	5454
დმანისი	1	4	3	5	13	173	277	271	137	858	94	163	299	71	627	510
თეთრი წყარო	2	6	9	3	20	234	385	331	94	1044	215	200	552	175	1142	765
მარნეული	358	93	95	67	613	149	349	122	490	1110	509	1377	893	819	3598	2897
წალკა	-	-	-	-	0	5	368	3	22	398	16	26	3	41	86	10

ცხრილში მოცემული ციფრებიდან გამომდინარე, ინტენსივობით გამოირჩევა ქ. რუსთავის (6 298 ოპერაცია), გარდაბნის – (14 632) და მარნეულის (5 321) რაიონების მიწის ბაზრები. დაბალია დმანისის (1 498 ოპერაცია) და წალკის (484) რაიონების მიწის ბაზრის მოქმედების შედეგი. რეგიონში სულ გაფორმებულია 2 416 იპოთეკური გარიგება, ნაწარმოებია 14 027 ობიექტის პირველადი რეგისტრაცია და 17 546 ობიექტის შემდგომი, საბოლოო რეგისტრაცია; აქედან: ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია 13 836 მიწათმესაკუთრეზე, ანუ რეგისტრირებულ უფლებათა 79% ნასყიდობით მოპოვებული უფლებათა ნაკლებად ფორმდება/რეგისტრირდება საიჯარო ხელშეკრულებები. რეგიონში 2006 წელს სულ რეგისტრირებულია 1 241 ობიექტი; აქედან: გარდაბნის რაიონში – 389, თეთრიწყაროს – 84; მარნეულის – 421; ბოლნისის – 243; წალკის – 22, დმანისის რაიონში 82, ქ. რუსთავში – 30. შედარებით მეტი საიჯარო ხელშეკრულებებია გაფორმებული მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში. ვფიქრობთ, საიჯარო ურთიერთობების წარმოქმნა და დამკვიდრება უკანა პლანზე გადადის და უფრო კერძო საკუთრების ინსტიტუტი მძლავრობს, მკვიდრდება.

სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე წარმოებულთა 947 ოპერაცია, უზუფრუქტის უფლებითაა რეგისტრირებული 74 საქმე. ერთი კატეგორიიდან მეორე კატეგორიაში გადაყვანილი და რეგისტრირებულია 35 ობიექტი. მიწის ბაზრის ფუნქციონირების შედეგად მიღებული მოსაკრებლები და შემოსავლები აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში. როგორც ცნობილია, უძრავ ქონებაზე უფლების პირველადი რეგისტრაცია უფასოა, ყადაღის არსებობა/არარსებობის შესახებ ცნობის საფასური ერთ ობიექტზე 7 ლარია ანუ რეგიონში აკრეფილია 14 027X7=98 189 ლარი; იპოთეკის

რეგისტრაციისათვის აკრეფილია 1 დღეში 250 ლარი ანუ $210 \times 250 = 52\,500$ ლარი; 3 დღეში – 50 ლარი ანუ $2\,206 \times 50 = 110\,300$; სულ იპოთეკის თანხა ტოლია 162 800 ლარის; მიწაზე უფლებათა შემდგომი (მეორადი) რეგისტრაცია: ერთ დღეში 35 ლარი ანუ $210 \times 35 = 7\,350$ ლარი; 3 დღეში 21 ლარი ანუ $320 \times 21 = 6\,720$ ლარი; 5 დღეში 7 ლარი ანუ ტოლია $16\,916 \times 7 = 118\,412$ ლარი, სულ შემდგომი (მეორადი) რეგისტრაცია – 132 492 ლარი.

ამრიგად, აღნიშნული მოსაკრებლებიდან 2006 წლის ბიუჯეტში შესულა 393 471 ლარი. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო ბიუჯეტში შესულა გაყიდული მიწის ღირებულების 2 % – 42 000 ლარი და მიწის საიჯარო ქირა – 3 746 ათასი ლარი. ე.ი მიწის ბაზრის საშუალებით, წლის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 4 181 471 ლარი. რა თქმა უნდა, ისეთი რესურსული პოტენციალის მქონე რეგიონიც, როგორც ქვემო ქართლის მხარეა, მიწის ბაზრიდან ბიუჯეტში ასეთი მცირე თანხის შეტანა ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას, რადგან არარეალურად დაბალ ფასებში ხდება მიწის ნასყიდობის ხელშეკრულების ნოტარიულად გაფორმება – მიწის ნაკვეთი იყიდება ძვირად, მაგრამ ფასი ფორმდება დაბალი განაკვეთით, დაბალია მიწის საიჯარო ქირის ზომაც. მიწის ბაზრის გამოცოცხლებისა და რეალური თანხის რეალური სიდიდის მოსაკრებლების სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანისათვის საჭიროა უფრო ზუსტად და სინამდვილესთან მიახლოებულად განისაზღვროს მიწის ნორმატიული ფასის ზომა, აგრეთვე, დადგინდეს საბაზრო ფასის სიდიდე და მის მიხედვით ვაწარმოთ მიწის ყიდვა-გაყიდვა და დაბეგვრა. მიწის ბაზრის სრულყოფის ამ შესაძლებლობებზე საუბარი გვექნება ქვემოთ.

ქვემო ქართლის მხარის მიწის ბაზრის ფუნქციონირების შედეგად მოხდა ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მოწყობა. შექმნილია როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი სტრუქტურული წყობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, მეურნეობები, რომლებიც, წარმატებით ფუნქციონირებენ და აწარმოებენ ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებს. იმედია, მომავალში კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდება მიწის ბაზრის საშუალებით კარგად ორგანიზებული და ეფექტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნა.

თავი III. მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკურ- ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების გზები

3.1 მიწის ფასის განსაზღვრის საკითხი

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-ეკოლოგიური ყოფის სინამდვილე ნათლად ასახავს საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და დაფუძნების შეუქცევადობას, მის ეფექტურობას, ხელსაყრელობას, საიმედოობას. ვფიქრობთ, დავას აღარ იწვევს ადამიანისა და მთელი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში ფულის, როგორც ყოველგვარი მატერიალური და სულიერი სიკეთის შექმნის ძირითადი და უტყუარი საშუალების, პრიორიტეტულობა. ფულის კეთების ძირითადი წყარო – ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური და სულიერი დოვლათისა და ბუნების მიერ ნაბოძები სიკეთის რეალიზაციაა.

დღეს, როდესაც საქართველოში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მნიშვნელოვნადაა შემცირებული სასაქონლო პროდუქციის წარმოება, ეროვნული ნაწარმის საზღვარგარეთ გატანის შესაძლებლობა, ქვეყანა იძულებულია ყურადღება გაამახვილოს ბუნების მიერ ნაბოძებ სიკეთეზე, განსაკუთრებით ქართულ მიწა-წყალზე. მიწა უკვე განიხილება როგორც უძრავი ქონება. ქართული მიწა ძვირად ფასობს უნიკალური და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების, განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო. დაწყებული 1992 წლიდან, მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დაარსების დღიდან, თანდათან გააქტიურდა მიწის ბაზარი, იზრდება მიწის ფასი. თავდაპირველად, მიწა კერძო საკუთრებაში შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, დღეს მიწის გასხვისება (გაყიდვა) ნებადართულია საქართველოს 2000 წლის 14 ივნისის №389

კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით: “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ: ფიზიკურ პირს, კომლს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს” ფაქტობრივად, მიწა შეიძლება შეიძინოს ნებისმიერმა მსურველმა. ამასთან, ძალზე დაბალი იყო მიწის საჰექტარო ნორმატიული ფასი – ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ჰექტარი მიწის ღირებულება 400-500 ლარს არ აღემატებოდა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 მ² კი 0.24 ლარი ღირდა. შესაბამისად, დაბალი იყო საიჯარო მიწის ქირა და მიწის გადასახადი. ამ მდგომარეობით ბევრმა ისარგებლა, მიწას ფარულად საბაზრო ფასებში ასხვისებდნენ, ზოგმაც იაფ ფასად დიდი და კარგი ხარისხის მიწის ნაკვეთები ჩაიგდო ხელში. ამით იზარალა სახელმწიფო ბიუჯეტმა და, ცხადია საქართველომ. მისასაღმებელი და სასიხარულოა ქ. თბილისის მერიის ინიციატივა ქალაქის ფარგლებში არსებული მიწის ნორმატიული ფასის გაზრდისა და მიწის საბაზრო ფასში გასხვისების წესების შემოღების თაობაზე. ქალაქის ტერიტორია საშემფასებლო ზონებად დაყოფილია ფაქტობრივი საბაზრო ფასების მიხედვით. ვფიქრობთ, ქმედება სავსებით კანონზომიერი და სამართლიანია. მიწას ნამდვილი ფასი უნდა დაედოს.

ჩვენი აზრით, უკვე დროა, ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიების მიმართაც იგივე მიდგომა გვქონდეს და ვიფიქროთ მიწის როგორც ნორმატიული, ისე საბაზრო ფასის სწორად განსაზღვრასა და მიწის ნაკვეთების მუქთად გასხვისება-განიავების თავიდან აცილებაზე. სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნორმატიული საწყისი ფასის სიდიდე დასაზუსტებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მიწის ფასი მოძრავი და

დინამიკურია. ადამიანის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, ისეთი ბუნებრივი პირობების მქონე მიწა-წყლის ფასი, როგორც საქართველოს მიწაა, მუდამ გაიზრდება.

ჩვენი ამოცანაა, საკვლევი ობიექტის, – ქვემო ქართლის მხარის მიწის ფონდის მაგალითზე წარმოვაჩინოთ მიწის ფასის განსაზღვრის ასპექტები, რისთვისაც გვინდა ვისარგებლოთ ქართველი მეცნიერ-მუშაკების მიერ შემუშავებული მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის მეთოდებით, მოქმედი საბაზრო ღირებულების სიდიდებით, ასევე ქ. თბილისის მერიის მიერ შემუშავებული მიწის განფასების პარამეტრებით. მით უმეტეს, ახლახან ქალაქ თბილისის საზღვრებში იქნა შეტანილი ჩვენი საკვლევი ობიექტის ტერიტორიის ნაწილი და მასზე დღეს მოქმედებს ახლად დადგენილი ფასების განაკვეთი.

ვფიქრობთ, მიწის ფასის დადგენისას გასათვალისწინებელია მიწის მიზნობრივი გამოყენების პერსპექტივა, ანუ ის, თუ რის ქვეშ უნდა იქნეს გამოყენებული გასასხვისებელი მიწის ნაკვეთი – შენობა-ნაგებობების, ფაბრიკა-ქარხნების, ხაზობრივი ელემენტების, მრავალწლიანი ნარგავების, სახნავის, კურორტების, კარიერების თუ საკვებ-სავარგულების ქვეშ. რა მნიშვნელობა აქვს ცათამბჯენების ქვეშ სახნავი იქნება გამოყენებული თუ მიწის რაიმე სხვა სავარგული. ამ შემთხვევაში სავარგულის სახეს მნიშვნელობა აღარ აქვს – მთავარია ადგილმდებარეობა, სივრცე. სწორედ ესეცაა მხედველობაში მიღებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის საშემფასებლო ზონებად დაყოფის მომენტში. აქ უკვე აღარაა საუბარი მიწის სავარგული სახნავია თუ საძოვარი. ზონაში ნაანგარიშეა 1 მ² მიწის ფასი. ამგვარი მიდგომა ჩვენ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია. ალბათ, იმავე მიდგომით უნდა დადგინდეს ქვეყნის სხვა ტერიტორიების საშემფასებლო ზონებად

დაყოფის დროს, (ასეთ შემთხვევებში, შენობა-ნაგებობებისა და სხვათა აგების) მიწის ფასი. მიწის სავარგულის არსებულ სახეს მნიშვნელობა აღარ ექნება და მიწა უნდა შევაფასოთ არა სავარგულის სახისა და ხარისხის მიხედვით. რა თქმა უნდა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი მიწის შეფასება ისევ ნაცადი მეთოდებით უნდა ჩატარდეს. ზონირების გარკვეული წესით მოგვიწევს საკვლევ ზონაში შემავალი ქალაქ რუსთავის (6100 ჰა) და რაიონული ცენტრების (მარნეული – 792 ჰა; ბოლნისი – 208 ჰა; დ. კაზრეთი – 171 ჰა; გარდაბანი – 454 ჰა; თეთრიწყარო – 675 ჰა; დმანისი – 86 ჰა წალკა – 78 ჰა) ტერიტორიების დაყოფა და ფასების დადგენა. შესაბამისად, გადასახედი და დასაზუსტებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი მიწის სავარგულების ნორმატიული და საბაზრო ფასის განსაზღვრის საკითხი. ქ. თბილისის მერიის მიერ შემუშავებული მიწის განფასების ნორმატიული და საბაზრო ფასების, ასევე მიწის საიჯარო ქირის სიდიდის შესწავლა-ანალიზი ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მიწის ფასი. ტერიტორია სწორადაა დაყოფილი, გათვალისწინებულია მიწის თითოეული ნაკვეთის ადგილმდებარეობის პრესტიჟულობა და სამომავლოდ გამოყენების შესაძლებლობა. ადგილის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებასთან ერთად მხედველობაშია მიღებული ფაქტობრივად მოქმედი მიწის საბაზრო და გასაყიდი ფასი.

პირველი ზონის – ძველი თბილისის ტერიტორიის 1მ² მიწის ნორმატიული ფასი 500 ლარია, საიჯარო ქირა 8,42 ლარი, მე-13 ქვეზონის – კრწანისი-ორთაჭალის, შესაბამისად, – 200 ლარი, საიჯარო ქირა – 8,06 ლარი; 35-ე ქვეზონის – ოქროყანის – 85 ლარი, საიჯარო ქირა – 6,48 ლარი, 46-47 ქვეზონის – ლილო-აეროპორტის – 20 ლარი,

საიჯარო ქირა – 0,7 ლარი. ამრიგად, ტერიტორია დაყოფილია და შეფასებული.

რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის ფასი მოძრავია, მისი კლება-მატება დამოკიდებულია მიწის ბაზრის ფუნქციონირების ხარისხზე-მოთხოვნა-მიწოდების სიდიდეებზე. ცხოვრება თავად გვიხვენებს, რამდენად ეფექტური იქნება წარმოდგენილი პროექტი და პრაქტიკულად ხორცს შეისხამს წამოყენებული მოსაზრებები. მთავარია, მიმართულება სწორი და უახლოვდება არსებულ მდგომარეობას.

იმედია, პროექტი წარმატებით განხორციელდება, თანდათან დაიხვეწება, დიდ სარგებელს მოუტანს სახელმწიფო ბიუჯეტს, ჯეროვან ფასს დაადებს ქართულს მიწას, უფრო ეფექტურს და ქმედითუნარიანს გახდის მიწის ბაზარს. რაც შეეხება დაუსახლებელ ადგილებს როგორც სასოფლო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რომელთა პერსპექტიული გამოყენება ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას და არა ძვირფასი საცხოვრებელი და საწარმოო ტიპის შენობა-ნაგებობების მოწყობას, ასეთი მიწების ნორმატიული ფასის დასადგენად, ვფიქრობთ, ხელსაყრელია პროფ. ვ. ბურკაძის, პროფ. გ. დოდონაძის და პროფ. ნ. ტურაბელიძის მიერ შემუშავებული მიწის ფასის განსაზღვრის მეთოდები. კერძოდ, პროფ. ნ. ტურაბელიძის მიერ, კონკრეტული მიწის ნაკვეთების შესწავლის საფუძველზე (მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანის სახნავი მიწის ნაკვეთი), დადგენილია ჰექტარი მიწიდან მიღებული წმინდა შემოსავლის სიდიდე, ბუნებრივი ნიშან-თვისებების (ჰუმუსის შემცველობა, ჰუმუსის მარაგი, ჰუმუსიანი ჰორიზონტის სიღრმე, კლიმატური პირობების ამსახველი ჰიდროთერმული კოეფიციენტის სიდიდე, საკვები ელემენტები, შთანთქმული ფუძეების ჯამი, ნიადაგის მჟავიანობა,

მექანიკური შედგენილობა და კონტურიანობა) მიხედვით საშემფასებლო ბალისა და პროდუქტიულობის საშემფასებლო ბალის კორელაციური კავშირების კოეფიციენტების ურთიერთგანპირობებულობაში განხილვით, რაც უზრუნველყოფს წმინდა შემოსავლის სიდიდეში ბუნებრივი პირობების ხარისხის ასახავას. ამ მეთოდით მიღებულია 1 ჰა სარწყავი სახნავი მიწის ფასი – 105 ათასი ა.შ.შ დოლარი. (92).

მეორე, უფრო იაფი და ხელმისაწვდომი მეთოდი, შემუშავებულია პროფ. გ. დოლონადის მიერ მეთოდი დაფუძნებულია არსებული საკადასტრო მასალებით მიღებული მიწის ეკონომიკური შეფასების ბალების, მთლიანი პროდუქციის, სოფლის მეურნეობიდან მიღებული ამონაგების, მოგების ზრდის ტემპისა და მიწის გამოყენების ვადის მაჩვენებლებზე. საქართველოში 1 ბალის ფასი დადგენილია 1037 ლარი. აღნიშნული სიდიდის გამოყენებით შესაძლებელია გავიანგარიშოთ ნებისმიერი მიწის სავარგულის საჰექტარო ღირებულება, თუ ვიცით სავარგულის ბალების რაოდენობა. (106)

ზემოთ ხსენებული ბალის საშუალო ფასის საფუძველზე, ნ. ტურაბელიძისა და ნ. სუხიაშვილის მიერ დაანგარიშებულია მცხეთის რაიონის მიწის სავარგულების საჰექტარო ფასი: სახნავის – 71 553 ლარი, მრ.წ.ნარგავების – 88 072, სათიბის – 42 465, საძოვრის – 33 744, ტყის – 60 000 და სხვა არასასოფლო-სამეურნეო სავარგულის – 33 100 ლარი. აქვეა გამოყვანილი სახნავ მიწასთან მიმართებით მიწის სხვა სავარგულების კოეფიციენტები: სახნავი – 1; მრ.წ. ნარგავები – 1,08; სათიბი – 0,59; საძოვარი – 0,47; ტყე – 0,84 და სხვა არასასოფლო-სამეურნეო სავარგული – 0,46. (99)

მიწის კადასტრის მონაცემებით, საკვლევი ობიექტის – ქვემო ქართლის მხარის სახნავი მიწის საშემფასებლო ბალის საშუალო სიდიდე 71 – ია. ე.ი. 1 ჰა სახნავი მიწის ფასი არის $1037 \times 71 = 73\ 627$. მრ.წ.

ნარგავები – 73 627X1,08=79 517 ლარი, სათიბი – 73 627X0,59=43 439;
 საძოვარი – 73 627X0,47=34 604; ტყე – 73 627X0,84=61 846ლ.
 არასასოფლო-სამეურნეო სავარგულები – 73 627X0,46=33 868 ლარი.

ჩვენი ღრმა რწმენით, აქ მოყვანილი ციფრები ურთიერთმიმართებაში, მიწის სავარგულების მიხედვით, ლოგიკური და მისაღებია, ნორმატიული ფასის განსაზღვრისათვის სავსებით ობიექტური და საკმარისი გვეჩვენებს. აღნიშნული სიდიდეების გამოყენება მიწის სავარგულების გასხვისებისა და გადასახადით დაბეგვრის პროცესში, ვფიქრობთ, ხელსაყრელსა და სამართლიანს გახდის ქართული მიწის, როგორც საქონელთბრუნვის ძვირფასი საგნის, რაციონალურად გამოყენების მთელ სისტემას.

ანალოგიურადაა გაანგარიშებული საკადასტრო ბალების სიდიდის მიხედვით რეგიონში შემავალი ადმინისტრაციული რაიონების მიწის სავარგულების საპექტარო ფასი. იხ. ცხრილი 20.

ცხრილი 20

რაიონი	1 ჰექტარი სავარგულის ფასი (ლარი)					
	სახნავი	მრწ. კულტურები	სათიბი	საძოვარი	ტყე	სხვა არასასოფლო-სამეურნეო სავარგული
ბოლნისი	65 331	70 557	38 545	30 705	54 878	30 052
გარდაბანი	75 701	81 757	44 663	35 579	63 589	34 822
ღმანისი	69 479	75 037	40 993	32 655	58 362	31 960
თეთრი წყარო	72 590	78 397	42 828	34 117	60 975	33 391
წალკა	71 553	77 277	42 216	33 630	60 104	32 914
მარნეული	74 664	80 637	44 052	35 092	62 718	34 345

3.2 მიწის დაცვის, გაუმჯობესებისა და ტრანსფორმაციის საკითხი

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფართო მასშტაბით დანერგვამ, მიწის რესურსების ექსპლუატაციის ხარისხის არნახულმა ზრდამ, უარყოფითმა ბუნებრივმა და ანთროპოგენურმა მოვლენებმა დასაბამი მისცა მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების შემცირების საშიშროებას.

მიწა ეკოლოგიური გარემოს მეტ-ნაკლებად ყველა შემადგენელი კომპონენტის სათავსია. მიწის რესურსების კარგ მდგომარეობაში შენახვა და რაციონალურად გამოყენებაზე ბევრად და მოკიდებული მთლიანი ეკოლოგიური გარემოს სიჯანსაღე, სხვა შემადგენელი კომპონენტების დაცვა და ეფექტურად გამოყენება.

მიწის სიმდიდრე – ნიადაგები, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო, მიწისზედა და მიწისქვეშა წყლები, მ.შ. მინერალური წყლები, განახლებადი რესურსებია. რაც შეეხება მინერალურ რესურსებს, ქვანახშირს და საშენ მასალებს ისინი არაგანახლებადი რესურსებია. ადამიანი ვალდებულია დღენიადაგ იზრუნოს განახლებადი რესურსების აღდგენასა და გაუმჯობესებაზე, არააღდგენადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვაზე. მთავარია ბუნების და ადამიანის მიერ შეცვლილ ბუნებრივ რესურსებს შორის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება. სწორედ ბუნების გამოყენების ეკოლოგიური მხარეა მიხნეული ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის ძირითად მექანიზმად, სწავლობს ბუნებრივი რესურსული პოტენციალის გამოყენების თანამედროვე მდგომარეობას, განსაზღვრავს მისი სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების მიმართულებებს,

კონტროლს უწევს გამოყენების მიზანშეწონილობას და ხარისხს, მიუთითებს, როგორ უნდა დავიცვათ და გამოვიყენოთ ეკოლოგიური გარემო, მცირედი დანახარჯებით მივიღოთ მეტი მოგება. ადამიანსა და ბუნებას შორის ბრძოლა და ჭიდილი უხსოვარი დროიდან ცხოვრების საფუძველი. უამთა სვლასთან ერთად თანდათან ძლიერდებოდა ურთიერთობის ხარისხი, შეტევა ბუნებაზე. ნადგურდებოდა კლებულობდა ბუნებრივი საბადოები, მცენარეული საფარი, გარეული ცხოველების უნიკალური ჯიშები. ბუნებისადმი უარყოფითმა მიდგომამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა XX საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანი გონს მოვიდა და დაიწყო ფიქრი ეკოლოგიური გარემოს გადარჩენის, დაცვის, აღდგენისა და შემდგომი განვითარების კომპლექსური პროგრამა-ღონისძიებების შემუშავება-რეალიზაციაზე. შემუშავდა ეკოლოგიური სამართალი, ეკოლოგიური სტანდარტები, მოთხოვნები მშენებლობის, კომუნიკაციის ნორმების დაცვის შესახებ, დაწესდა ჯარიმები, გადასახადები ბუნებათსარგებლობაზე, გამოიყო თანხები, კრედიტები ეკოლოგიური გარემოს, უნიკალური ფაუნის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად, შემუშავებულია ცალკეული მხარეებისა და რაიონების ეკოლოგიური გარემოს მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ჩვენი აზრით, აუცილებელია მეცნიერულად იქნეს შესწავლილი უარყოფითი ბუნებრივი მოვლენები და ანთროპოგენური მოქმედებების შედეგები, დაისახოს მათი თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანის გზები. დასანანია, რომ უკვე ორი წელია, რაც აღარ წარმოებს მიწის ბალანსის შედგენა ქვეყნის, ადმინისტრაციული რაიონების და თითოეული მიწათმესაკუთრის თუ მიწათმოსარგებლის მიხედვით. მიწასთან ერთად აღირიცხება წყალი და ყველა სხვა სიმდიდრე, რაც განთავსებულია მიწაზე. ამ სამუშაოს წარმოების

გარეშე, შეუძლებელია მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გონივრულად, რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა. მიწის სავარგულთა აღრიცხვის განახლება, ჩვენი აზრით, გადაუდებელი და აუცილებელი, სახელმწიფოებრივი, ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. სხვაგვარად, მიწის მართვა წარმოუდგენელია. საჭიროა დაწესდეს მიწის სამართლის ნორმების დაცვის კონტროლი და ადმინისტრაციული, ეკონომიკური სასჯელი ამ სამართლის ნორმების დამრღვევთათვის. როგორც წესი, ბუნებრივი რესურსი გამოყენებულ უნდა იქნეს სერტიფიკაციისა და საექსპლუატაციო ლიმიტის მიღების შემდეგ. ეკოლოგიური გარემოს თითოეული შემადგენელი კომპონენტის დაცვაზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ სახელმწიფო, ორგანიზაცია-დაწესებულებები და ფიზიკური პირები. პრობლემების განვითარება დროსა და სივრცეში შეიძლება იყოს მუდმივი ან შესუსტებისა და დაცემის ტენდენციებით. პიკი – როდესაც მოვლენა აღწევს მაქსიმუმს, კრიზისი – როდესაც ეკოლოგიური პროცესი ლოკალური ხასიათისაა; დაშვება ანუ ფტესი – როდესაც ეკოლოგიური პრობლემა ეშვება მინიმალურ ზღვრამდე.

ამ მეტად რთული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დეტალურად შევისწავლოთ მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების დონე, მათი სარგებლიანობის შემცირების ხარისხი, წარმოებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სიდიდე, მათი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობები, დაზიანებული მიწის რეკულტივაციის საკითხები, ნედლეულის ხელმომჭირნედ, ეკონომიკურად ხარჯვის, მისი შემცველი რესურსის მონახვისა და გამოყენების შესაძლებლობები, ეკოლოგიური გარემოს მართვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, გამწმენდი ნაგებობების მოწყობის, რეალური ფასებისა და გადასახადის სიდიდის განსაზღვრის, მცირედი დანახარჯებით სოლიდური მოგების

უზრუნველყოფის საკითხები. არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებებს.

გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი გათვლილია საკვლევი ობიექტის მთელ ტერიტორიაზე როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე. მთლიანი ფართობის 396 ათასი ჰექტარი, ანუ 38,3 %, სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, 282 ათასი ჰექტარი, ანუ 41,7 %, – არასასოფლო-სამეურნეო სავარგული. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულებიდან ჩვენ დეტალურად განვიხილავთ იმ მიწებს, რომლებზედაც განლაგებულია სათბობ-ენერგეტიკული, ლითონური – წიაღისეულის მრეწველობის და ტრანსპორტის მომსახურების ობიექტები, მათ სადღეისო მდგომარეობას, აღდგენისა და გაუმჯობესების მიმართულებებს, ეკოლოგიური საშიშროების აღკვეთისა და მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობებს, წარმოქმნილი უარყოფითი მოვლენების გავლენას დანარჩენი მიწების მდგომარეობაზე.

ლითონური წიაღისეულს (მანგანუმი, რკინა, სპილენძი, თითბერი, ოქრო, ვერცხლი, ბარიტი და სხვა.) მოპოვებენ საკვლევი ტერიტორიის 9 ადგილზე. – ყველაზე დიდი ფართობის მქონე (150 ჰექტარი) ობიექტია ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე – მადნეული, ცნობილი ძვირფასი საბადოებით და მრავალი სხვა სახის ლითონით. 3 საბადოში მოიპოვება სპილენძი; 2-ში – ბარიტი; 1-ში – ოქრო; 1-ში – ვერცხლი; 1-ში – მანგანუმი; 1-ში – რკინა; 1-ში – თითბერი. საკვლევი ობიექტის მთელ ეკოსისტემას განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს მადნეულის საბადო. მძიმე ლითონებით აბინძურებს მდინარე კაზრეთულას, მდინარე ხრამსა და მდინარე მტკვარს.

საკვლევი ობიექტის ტერიტორიის დიდ ნაწილზე მიმდინარეობს საშენ მასალათა მოპოვება, – საშენი ქვა, ქვიშა, თიხა, კირქვა, გაჯი და სხვა – რაც სოლიდურ შემოსავალს იძლევა.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ბაზაზე ფუნქციონირებს ხრამჭესი, გარდაბნის ელექტროსადგურები, გარდაბნისა და მარნეულის აირისა და ნავთობის საბადოები. ტერიტორიაზე გადის ბაქო-სუფსის და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობ და გაზსადენები.

სამრეწველო საწარმოებიდან ფუნქციონირებს რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, მადნეულის სამთო-გადამამუშავებელი კომბინატი, რუსთავის აზოტოვანი სასუქების კომბინატი, რომელიც წელიწადში აწარმოებს 114 ათას ტონა მინერალურ სასუქს, 272 ათას ტონა ამონიუმის გვარჯილას, 126 ათას ტონა ამიაკს და 216 ათას ტონა აზოტმუყავს. მოქმედებს შულავერის მატყლის სარეცხი კომბინატი, ბოლნისის რაიონის სოფ. რაჭისუბანში მინერალური წყლის წყარო.

რეგიონში განვითარებულია სახმელეთო და საჰაერო გზები, მრავლადაა საგზაო ქსელის მომსახურე ობიექტები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტი მუშაობის პროცესში გამოყოფს და წარმოქმნის სიცოცხლისათვის საშიშ, მავნე ქიმიურ ნივთიერებებს – ნახშირწყალბადით, ფენოლით და მძიმე ლითონებით. ბინძურდება წყალი; ტრანსპორტის მიერ გამოფრქვეული გოგირდოვანი ანჰიდრიდი, ნახშირორჟანგი, აზოტის ჟანგი, ნახშირწყალბადი და ჭვარტლი წამლავს ჰაერს, ნიადაგს და წყალს. მაღალია დიდი დასახლებული პუნქტების ჰაერში მაღალია ტყვიის შემცველობა, რაც მომაკვდინებლად მოქმედებს ადამიანის სისხლძარღვთა სისტემაზე. ადამიანის ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისათვის საშიში, მავნე ქიმიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთა – შემცირებისათვის საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ:

სათობ-ენერგეტიკული მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მანე მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, უნდა გაიზარდოს წყლის, მზის, ქარის რესურსების და გეოთერმული წყლის ენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარების ეფექტურობა. ენერგეტიკის წარმოება უნდა დაეფუძნოს უახლეს ტექნოლოგიებს.

მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის ხაზით საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება საშიში ნივთიერებების არსებობისა და გავრცელების შესახებ, საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, მათი მეორადი გადამამუშავებისათვის ქარხნების აგება, გარემოს დაბინძურებაზე მონიტორინგის დაწესება, თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გარემოსდაცვითი გამოკვლევების წარმოება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, კადრების მომზადება, ტრანსპორტირების წესების დაცვა, საშიშ ქიმიურ მოვლენებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენება, საკანონმდებლო აქტების შემუშავება – საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და მოხმარების გაუნებელყოფა, სახელმწიფოს მიერ საშიში ნარჩენების უტილიზაციის უზრუნველყოფა.

ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გამოფრქვეული მანე ნივთიერებები ვნებს ბუნებას და ადამიანის ჯანმრთელობას. საწვავის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, მოძველებული მანქანები უნდა განახლდეს, შეიცვალოს ნორმით გათვალისწინებული ვარგისიანობის თვალთახედვით; საცობების შემცირების მიზნით, უნდა გაუმჯობესდეს, გზები, ცენტრალური გზები გატანილ უნდა იქნეს ქალაქგარეთ, გამონაბოლქვზე გამკაცრდეს კონტროლი, გაიზარდოს ელექტროტრანსპორტის ხვედრითი წილი, გამონაბოლქვზე დაწესდეს მონიტორინგი, მოწესრიგდეს საგადასახადო სისტემა, საწვავის

ხარისხზე, დაწესდეს ნორმები, ასევე დადგინდეს მანქანიდან გამონაბოლქვის ნორმა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დარგებისა, ეკოლოგიური პრობლემები თვალნათლივანაა ასახული ქვეყნის აგრარულ სექტორში. ეს ეხება წარმოების, შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის სფეროებს. აგრარული სექტორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდს. საკვლევი ობიექტის 396 ათასი ჰექტარი მიწის სავარგულიდან 120 ათასი ჰექტარი ეროზირებულია, აქედან 78 ათასი ჰექტარი – ძლიერ ეროზირებული საკვლევი ობიექტის ტერიტორიაზე გავრცელებულია წყლისმიერი, ქარისმიერი და ირიგაციული ეროზია. წყლისმიერი, ზედაპირული ანუ სიბრტყითი, ჭავლისებრი ანუ ნაკადისებრი და დახრამვითი ანუ ხაზობრივი ეროზია გავრცელებულია თითქმის ყველა რაიონში. გ. ხარაიშვილის მონაცემებით, წალკის რაიონში 7-13°-ის დახრილობის ფერდობის ჰექტარი მიწიდან ყოველწლიურად ირეცხება 55,1-159,1 მ³ ნიადაგი, დეგრადირებული, გათელილი საძოვრებიდან წელიწადში 28-36 ტ/ჰა. არის შემთხვევები, როდესაც მაგნე ქარებს მიწა ნათეს კულტურებთან ერთად, მთლიანად გააქვს ასევე, ბევრი სახნავი ფართობი დახრამულია ირიგაციული ეროზიის შედეგად. მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მიერ წარმოებული გამოკვლევებით, სახნავი მიწის ფართობი დახრილობის მიხედვით აღრიცხულია შემდეგნაირად: 0-2°-მდე დახრილობისაა 51 069 ჰექტარი; 2-5°-მდე – 22 387 ჰა; 5-10°-მდე – 9 469; 10-15°-მდე – 3 610 ჰა და 15°-ის ზევით 831 ჰექტარი. მრავალწლიანი ნარგავები 0'-2°-მდე – 6 038 ჰექტარი; 2-5°-მდე – 1 863 ჰა; 5-10°-მდე – 392 ჰექტარი – 10-15°-მდე – 207 ჰექტარი და 15°-ის ზევით – 65 ჰექტარი.იხილეთ ცხრილი 20

**ქვემო ქართლის მხარის სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების
დახრილობა გრადუსებში**

ცხრილი 21

სახნავი						მრწ.ნარგავი						ნასვენი						სათიბი						სადოვარი					
სულ	0-20	2-50	5-100	10-150	15 ზევით	სულ	0-20	2-50	5-100	10-150	15 ზევით	სულ	0-20	2-50	5-100	10-150	15 ზევით	სულ	0-20	2-50	5-100	10-150	15 ზევით	სულ	0-20	2-50	5-100	10-150	15 ზევით
87 366	51 069	22 387	9 469	3 610	831	6 038	1 863	392	207	65	8 565	2 921	735	643	594	335	614	18 075	4 662	5 588	4 382	2 271	1 172	6 442	8 288	14 944	17 766	10 056	13 366

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია 5-დან 10°-მდე და 10-დან 15°-მდე დახრილობის მქონე სახნავ მიწებს (13 079 ჰა), ასევე 15°-ის ზევით (831 ჰა), რაც ეროზიის საშიშროების მაღალი მაჩვენებელია და ეროზიისაწინააღმდეგო ღონისძიებების სპეციალური კომპლექსის გატარებას მოითხოვს. საკვლევ ობიექტზე მრავლადაა დამლაშებული და ბიცობიანი მიწები, დაქვიანებული და ბუჩქნარიანი საკვებ-სავარგულები, რომლებიც მელიორაციული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის და რაციონალურად გამოყენების ერთ-ერთი მთავარი პირობა ეროზიისაწინააღმდეგო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებაა – სწორი თესლბრუნვების შემოღება, ნიადაგის კონტურული წესით დამუშავება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაადგილების წესების დაცვა, ნიადაგის დამუშავების ვადების დაცვა, მეცნიერულად დასაბუთებული განოყიერების სისტემების დანერგვა; სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების გატარება – ქარსაცავი ზოლების, ნაპირსამაგრი ტყის ზოლების, ხრამ-ხევების დასამაგრებელი ტყის

ნარგავების და სხვათა გაშენება; ეროზიისაწინააღმდეგო მდელის სამელიორაციო ღონისძიებები – ნიადაგდაცვითი თესლბრუნვების მოწყობა, სათიბ-საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებების დანერგვა, მორიგეობითი ძოვების შემოღება; ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა – მდინარეთა კალაპოტის რეგულირება, ნაპირების გამაგრება, სამთო არხების მოწყობა; დამლაშებელი და ბიცობიანი მიწების განმარილება, განეიტრალება, ახლად ასათვისებელ მიწებზე კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსის ჩატარება. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებათა კომპლექსს შეუძლია მიწის რესურსების გაუმჯობესების უზრუნველყოფა. გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო რეგულირებისა და აქტიური ჩარევის პირობებში. სამთავრობო დონეზეა შესადგენი მიწის გაუმჯობესების რეგიონული სქემა და შემდგომ – ცალკეული ობიექტების პროექტები. საკვლევი ობიექტის მაღალინტენსიური მიწის ფართობების (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები) პერსპექტიული სიდიდეების დასადგენად და მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის შესაძლებლობის წარმოსაჩენად ჩვენ გამოყენებული გვაქვს საკვლევი ობიექტის 2006 წლის მიწის ბალანსის მონაცემები და 1984-85 წლებში მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ გამოვლენილი და შესწავლილი ასათვისებლად ვარგისი მიწის ფართობები. ველზე და შემდეგ ლაბორატორიულად იქნა ადგილზე შესწავლილი მიწის თითოეული ნაკვეთის ბუნებრივი ნიშან-თვისებები – ფართობის ჰუმუსის შემცველობის მარაგის სიღრმე, კლიმატური პირობები (ჰ.თ.კ), საკვები ელემენტები ($N_1P_2O_5, K_2O$), შთანთქმული ფუძეების ჯამი (C_a, M_g, N_a, N), მჟავიანობა, PH_1 მექანიკური შედგენილობა, ნიადაგის წინააღმდეგობა და კონტურიანობა. თითოეული ნაკვეთი შერჩეული და დატანილი იქნა

გეგმაზე. გათვალისწინებულია ნაკვეთის ათვისებისათვის საჭირო მელიორაციული, აგროტექნიკური ღონისძიებები – სახნავად გამოყენებისათვის, ძირითადად, ათვისებას ექვემდებარება საძოვარი, ბუჩქნარიანი საძოვრები და ბუჩქნარიანი ნაკვეთები. ასათვისებლად შერჩეული მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით იხილეთ ცხრილში 22

სახნავი (სათიბი) ფართობები ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, 10-15 წლის პერსპექტივაში

ცხრილი 22

რაიონის დასახელება	2006 წლის მიწის ბალანსის მონაცემები-სახნავი (ჰა)	1984-85 წლებში შესწავლილი და გამოვლენილი ასათვისებლად ვარგისი მიწები (ჰა)	სულ სახნავი მიწები პერსპექტივაში (ჰა)
ბოლნისი	17 326	1 600	18 926
გარდაბანი	37 548	400	37 948
დმანისი	12 072	1 200	13 272
თეთრი წყარო	17 851	2 900	20 751
წალკა	17 384	3 500	20 884
მარნეული	32 435	100	32 535
სულ ქვ. ქართლი	134 016	9 700	144 316

ცხრილის შესაბამისად, რეგიონში, პერსპექტივაში, სახნავი შეიძლება იყოს 143 716 ჰექტარი. საკმაოდ დიდი სახნავი ფართობით ექნება მარნეულის და გარდაბნის რაიონებს. პერსპექტივაში აღნიშნული მიწის რესურსების გამოყენების თაობაზე საუბარი გვექნება ქვემოთ.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიწის გაუმჯობესება/გარდაქმნის ღონისძიებათა სისტემა გათვლილია როგორც სასოფლო ისე

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაცვის, რაციონალურად, სრულად და ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფაზე, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება/დაცვაზე – მთლიანად ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაზე. ამ მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული ამოცანის გადაწყვეტა და რეგულირება ეკისრება სახელმწიფოს როგორც მიწის უზენაეს მესაკუთრეს მხოლოდ სახელმწიფოს, თითოეული მიწათმესაკუთრე თუ მიწათმოსარგებლე იურიდიული და ფიზიკური პირის. ერთობლივ, შეთანხმებულ მოქმედებას შეუძლია ეროვნული სიმდიდრის, მიწა-წყლის, კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის სუფთა, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შექმნა/გადაცემა.

ნათესი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები, ცალკეული პერიოდების მიხედვით

ცხრილი 23

№	რაიონის დასახელება	1955 წ.		1980 წ.		2005 წ.		კლება-მატება 2005 წლისათვის, 1955 წელთან შედარებით %	
		სახნავი (ჰა)	მრწ. ნარგავი (ჰა)	სახნავი (ჰა)	მრწ. ნარგავი (ჰა)	სახნავი (ჰა)	მრწ. ნარგავი (ჰა)	სახნავი (ჰა)	მრწ. ნარგავი (ჰა)
1	გარდაბანი	30 963	1 615	39 834	4 536	38 884	5 578	+26	+245
2	ბოლნისი	17 465	481	16 598	12 636	17 339	1 919	-0,7	+299
3	მარნეული	31 845	420	27 272	5 765	32 727	2 395	+2,7	+470
4	ღმანისი	16 559	143	14 274	-	12 082	961	-37	+572
5	თეთრი წყარო	27 746	685	20 843	1 713	18 164	677	-52	-1,2
6	წალკა	22 116	64	19 383	58	17 681	171	-25	+167
	სულ ქვ. ქართლი	146 694	3 408	138 204	14 999	136 877	11 701	-7	+243

ცხრილის თანახმად, 1955 წელთან შედარებით, 2005 წელს მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი გაზრდილია 243 %-ით, ნათესი ფართობის, პირიქით, შემცირებულია 7 %-ით. ნათესი ფართობის 26%-ით მატებაა გარდაბნის რაიონში, 27 %-ით – მარნეულის რაიონში; მნიშვნელოვანი, 52 %-ით კლებაა თეთრი წყაროს რაიონში, 37 %-ით – დმანისის რაიონში და 25 %-ით – ჭალკის რაიონში. მრავალწლიანი ნარგავების ფართობის მატებაა 245 %-ით გარდაბნის რაიონში, 299 %-ით – ბოლნისის რაიონში, 470 %-ით – მარნეულის რაიონში 572 %-ით – დმანისი რაიონში. მრავალწლიანი ნარგავები ძირითადად გაშენებულია სახნავი მიწების ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ იყო მაღალინტენსიური მიწის სავარგულების გადიდების მცდელობა – კულტურულ-ტექნიკური, ეროზიისაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების, მიწების დაშრობის, რეკულტივაციის და გამიწიანების შესახებ გამოცემული იყო შესაბამისი სამთავრობო დადგენილებები, დაწესებული იყო მათი რეალიზაციის კონტროლი, მაინც არ მოხდა სასურველ დონემდე საქმის მიყვანა და მიწის სავარგულების გადიდება. ბევრი სახნავი მიწა დარჩა დაუმუშავებელი შესაბამისი მანქანა-იარაღების, გამწევი ძალის და ფულადი სახსრების უქონლობის გამო. დრო დადგა, ქართველმა კაცმა ბუნებრივი, ეკონომიკური და შრომითი რესურსების მობილიზებით ფეხზე დააყენოს სოფლის მეურნეობის დარგი, ყველა პირობა შექმნას ჩვენი მდიდარი მიწის ფონდის სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დინამიკა

ცხრილი 24

№	რაიონის დასახელება	1955 წ.								1980 წ.								2005 წ.					
		მარცვლეული (ტ)	თამბაქო (ტ)	ზესუმზირა (ტ)	კარტოფილი (ტ)	ბოსტნ. ბაღრ. (ტ)	საკვ. კულტ. (ტ)	ყურძენი (ტ)	ხილი (ტ)	მარცვლეული (ტ)	თამბაქო (ტ)	ზესუმზირა (ტ)	კარტოფილი (ტ)	ბოსტნ. ბაღრ. (ტ)	საკვ. კულტ. (ტ)	ყურძენი (ტ)	ხილი (ტ)	მარცვლეული (ტ)	ზესუმზირა (ტ)	კარტოფილი (ტ)	ბოსტნ. ბაღრ. (ტ)	საკვ. კულტ. (ტ)	ყურძენი (ტ)
1	გარდაბანი	13935	-	147	492	12408	10537	768	547	14842	-	-	1201	69002	8045	7124	4045	36426	1320	45	44500	3410	1256
2	ბოლნისი	7801	394	-	958	1438	2125	2585	309	7630	-	-	33418	6382	1824	12811	17356	21035	-	38080	12376	1340	3618
3	მარნეული	21658	4336	1	1038	2393	7849	1862	216	11997	1423	1217	29285	35408	7108	14281	36224	24750	-	14500	52268	11000	4472
4	ღმანისი	8203	-	-	9202	432	1641	16	54	5258	-	-	17130	6188	3201	-	473	4469	-	9000	3750	1240	-
5	თეთრი წყარო	12487	-	242	5277	1855	3152	401	456	13481	-	-	23007	1612	4502	1660	4388	6739	-	7760	2923	135	279
6	წალკა	10767	-	-	23318	1135	3129	-	10	5530	-	-	40006	-	2298	-	33	9826	-	81600	2793	2900	-
	სულ ქვ. ქართლში	74851	4730	390	40185	19661	28433	5632	1592	58748	1423	1217	144047	118592	26983	35876	62519	103243	1320	150985	118610	20025	9625

გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვემო ქართლის მხარის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების დინამიკა ცხადყოფს (ცხრილი 23), რომ პროდუქციის სახეობათა სტრუქტურაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. გამონაკლისია თამბაქოს წარმოება მარნეულისა და ბოლნისის რაიონების ტერიტორიაზე. 1955 წელთან შედარებით, მისი წარმოება მარნეულის რაიონში 1980 წლისათვის 4336 ტონიდან 1423 ტონამდე ანუ სამჯერ შემცირდა, ხოლო 2005 წლისათვის საერთოდ აღარ აღინიშნება. მიზეზად სახელდება კულტურის თესვა-მოყვანის შრომატევადობა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი მოქმედება. მიუხედავად მისი შემოსავლიანობისა, მოსახლეობამ ბოსტნეული და სხვა კულტურების წარმოება ამჯობინა. რეგიონში თანდათანობით იზრდება მარცვლეული კულტურების წარმოება. 1955 წელთან შედარებით, 2005 წელს:

– გარდაბნის რაიონში მარცვლეულის წარმოება გაზრდილია 22 ათასი ტონით ანუ 161 %-ით, მზესუმზირის – 1173 ტონით ანუ 798 %-ით; ბოსტნეული და ბაღჩეულის – 32 092 ტონით ანუ 258 %-ით; ყურძნის – 488 ტონით ანუ 63 %-ით; ხილის – 529 ტონით ანუ 96 %-ით; 447 ტონით ანუ 91 %-ით შემცირებულია კარტოფილის წარმოება.

– ბოლნისის რაიონში მნიშვნელოვანი მატებაა მარცვლეული კულტურების წარმოებაში, რომელიც, 1955 წელთან შედარებით, 2005 წლისათვის გაზრდილია 13 234 ტონით ანუ 170 %-ით; კარტოფილის წარმოება – 37 122 ტონით ანუ 3 874 %-ით; ბაღჩეულისა და ბოსტნეულის წარმოება – 10 938 ტონით ანუ 761 %-ით; ყურძნის – 1 033 ტონით ანუ 40 %-ით; ხილის – 1 019 ტონით ანუ 330 %-ით; საკვები-კულტურების 785 ტონით ანუ 37 %-ით უარყოფილია თამბაქოს წარმოება.

– მარნეულის რაიონში, 1955 წელთან შედარებით, 2005 წელს მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 3 092 ტონით ანუ 14 %-ით; კარტოფილის – 13 462 ტონით ანუ 1 297 %-ით; ბოსტნეულისა და ბაღჩეულის წარმოება – 49 875 ტონით ანუ 2 084 %-ით; ყურძნის 2 610 ტონით ანუ 140 %-ით; ხილის – 1 255 ტონით ანუ 6-ჯერ; წარმოებიდან ამოღებულია თამბაქოს კულტურა.

– დმანისის რაიონში, 1955 წელთან შედარებით, 2005 წლისათვის 3 318 ტონით ანუ თითქმის 9-ჯერ; გაზრდილია ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება; 573 ტონით ანუ 1 607 %-ით ხილის წარმოება; 3 734 ტონით ანუ 46 %-ით შემცირდა მარცვლეულის წარმოება; 202 ტონით ანუ 2 %-ით კარტოფილის; 401 ტონით ანუ 24 %-ით – საკვები კულტურების;

– თეთრი წყაროს რაიონში, ამ წლებში გაზრდილია 2 483 ტონით ანუ 47 %-ით კარტოფილის წარმოება; 1 068 ტონით ანუ 58 %-ით ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების; 122 ტონით ანუ 30 %-ით შემცირებულია ყურძნის მოსავალი; 34 ტონით ანუ 7 %-ით ხილის; 5 748 ტონით ანუ 46 %-ით მარცვლეულის წარმოება; 3 017 ტონით ანუ 96 %-ით საკვები კულტურების.

– წალკის რაიონში კარტოფილის მოსავალი გაზრდილია 58 282 ტონით ანუ 250 %-ით; ბოსტნეულის და ბაღჩეულის – 1 658 ტონით ანუ 146 %-ით; მარცვლეულის წარმოება შემცირებულია – 941 ტონით ანუ 9 %-ით; საკვები კულტურების – 229 ტონით ანუ 7 %-ით.

მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ბოსტნეულის, კარტოფილის, მარცვლეულის) – წარმოების პროცესი მზარდია აღნიშნული დარგები პერსპექტიულია და მყარი საფუძველი გააჩნია. ამ თემაზე საუბარი გვექნება ქვემოთ.

ამდენად, საკვლევ ობიექტზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სტრუქტურული შედგენილობისა და მიღებული პროდუქციის მოცულობის შესწავლა-ანალიზი, რომელთა აღრიცხვა ტარდებოდა სახელმწიფო სააღრიცხვო წარმოება-დაწესებულებებსა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ ნათელყოფს, რომ საიმედოდ და თანმიმდევრულად მატულობდა ისეთი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოება როგორცაა მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული კულტურები და მზესუმზირა. სწორედ რეალური მიდგომა. რეალობის აღმნიშვნელი, უტყუარი მონაცემებია გამოყენებული ჩვენს მიერ, რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დადგენის დროს.

ჩვენი კვლევითი სამუშაოების სრულყოფის მიზნით მეურნეობრიობის ახალი პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრული ლიბერალიზაციის გათვალისწინებით, საჭიროდ ჩავთვალეთ, დამატებით განგვეხილა ბოლო წლებში საკვლევ ობიექტზე მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ფაქტობრივი მაჩვენებლები. დღეს არსებული აღრიცხვის პროცესის შესწავლამ ნათელყო, რომ ვინაიდან ქვეყანაში აღარ ფუნქციონირებს სახელმწიფო სრულყოფის სააღრიცხვო სისტემა, აღრიცხვა ხორციელდება მხოლოდ რეგიონის მასშტაბით, წინასწარ შედგენილი ანკეტების მიხედვით, მოსახლეობაში გამოკითხვის საშუალებით, ყოველგვარი ზომა-წონის გარეშე. რა თქმა უნდა ასეთი მეთოდით შედგენილი მონაცემები სინამდვილეს და საიმედოობას მოკლებულია. ჩვენ ვიხილავთ საქართველოს სტატისტიკური სამსახურის მიერ 2008 წლის გამოცემული ცნობარის მონაცემებს. იხ. ცხრილი №23

მემცენარეობის პროდუქციის წარმოება ქვემო ქართლის რეგიონში
2005-2008 წწ-ში (ათ, ტ-ში)

ცხრილი 25

№	პროდუქციის დასახელება	2005წ	2006წ	2007წ	2008წ	2005-2008 წწ-ში %
1	ხორბლის წარმოება (ათ. ტ)	43,5	14,1	5,5	12,4	-28,50
2	სიმინდის წარმოება (ათ. ტ)	30,7	21,1	38,0	17,3	-56,40
3	კარტოფილის წარმოება (ათ. ტ)	150,9	69,8	59,9	24,9	-13,6
4	ბოსტნეულ-ბაღჩეულის წარმოება (ათ. ტ)	109,1	65,1	91,4	33,4	-30,60
5	ხილის წარმოება (ათ. ტ)	4,9	7,7	20,2	12,4	+39,57
	სულ	339,1	115,6	135,5	100,4	-29,61

რაც შეეხება მზესუმზირას, ყურძენს და საკვები კულტურებს საერთოდ არ არის აღრიცხული. თუ აღნიშნულ მონაცემებს შევადარებთ 2005 წლის მაჩვენებლებს მივიღებთ რომ მარცვლეულის წარმოება 2008 წელს 2005 წელთან შედარებით შემცირებულია ხორბალი -28,5 %-ით და სიმინდი 56,40 %-ით, კარტოფილის წარმოება 13,6 %-ით, ბოსტნეულ-ბაღჩეულის -30,60 %-ით. ხილის წარმოება ნაჩვენებია მეტობით 39,51 %-ით. რა თქმა უნდა ასეთი სხვაობა ვფირობთ არასწორი აღრიცხვის შედეგია. რაც საკვლევი ობიექტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერსპექტიული მაჩვენებლების შეუცდომლად განსაზღვრისათვის საიმედო ვერ იქნება.

პირუტყვის სულადობა პერიოდების მიხედვით

ცხრილი 26

№	რაიონის დასახელება	1955 წ.						1980 წ.						2005 წ.					
		მსგ. რქოს. პირუტყვი	მ.შ. ფური (სული)	ღორი (სული)	თხა და ცხვარი (სული)	ფრინველი (ფრთა)	ფუტკრის ოჯახი	მსგ. რქოს. პირუტყვი	მ.შ. ფური (სული)	ღორი (სული)	თხა და ცხვარი (სული)	ფრინველი (ფრთა)	ფუტკრის ოჯახი	მსგ. რქოს. პირუტყვი	მ.შ. ფური (სული)	ღორი (სული)	თხა და ცხვარი (სული)	ფრინველი (ფრთა)	ფუტკრის ოჯახი
1	გარდაბანი	28235	11076	18746	133204	736	920	41945	14243	19921	35459	2383	2188	48067	26465	2794	59510	1336	1460
2	ბოლნისი	15893	5523	5304	46602	112	1000	19045	8442	5315	15217	349	1139	15835	12176	3290	8837	287	1110
3	მარნეული	25752	8183	7832	87271	150	2500	28944	12112	12686	23723	21	2727	46997	31124	5100	84686	410	3100
4	ღმანისი	21849	7300	5215	60828	10	1020	31761	12555	923	25298	37	1558	21369	15690	959	24352	51	2593
5	თეთრი წყარო	21224	6218	13746	63290	50	1200	24992	9571	7674	37374	614	2467	19973	11887	8520	23230	64	1732
6	წალკა	23701	7004	7297	57827	11	1400	34044	13874	2546	26222	30	1712	21975	15021	2810	27560	48	1845
	სულ	136 654	453 304	58 140	449 022	1 069	9 040	180 751	70 757	49 064	163 293	3 434	11 789	174 216	112 363	23 473	228 175	2 196	11 840

ქვემო ქართლის მხარე მდიდარია საკვებ-საგარეულებით ზამთრისა და ზაფხულის ყუათიანი საძოვარ-საბაღაროებით, უზრუნველყოფილია მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის გამრავლებისათვის საჭირო პირობებით ცხრილში (24) ასახული ციფრობრივი მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ საკვლევ ობიექტში, 1955 წელთან შედარებით, 1980 წლისათვის გაზრდილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 44 097 სულით ანუ 32 %-ით; 1955 წელთან შედარებით, 2005 წლისათვის მატებაა 37 562 სულით – 27 %-ით; შესაბამისად, პირველ შემთხვევაში ფურების მატებაა 25 443 სულით ანუ 56 %-ით, მეორე შემთხვევაში – 67 059 სულით ანუ 146 %-ით; ფრინველის რაოდენობა გაზრდილია 2 365 ათასი ფრთით ანუ 222 %-ით; 2005 წელთან შედარებით – 1 127 ფრთით ანუ 105 %-ით; ფუტკრის ოჯახის რაოდენობა – 2 749 ოჯახით ანუ 30 %-ით; მეორე შემთხვევაში – 2800 ოჯახით ანუ 30 %-ით. კლება აღინიშნება ღორის სულადობის მხრივ. 1955 წელთან შედარებით 1980 წლისათვის სულადობამ დაიკლო 9 076 სულით – 16%-ით, ხოლო 2005 წლისათვის – 34 667 სულით ანუ 60 %-ით. შემცირებულია თხისა და ცხვრის სულადობა. 1955 წელთან შედარებით, 1980 წელს – 285 729 სულით ანუ თითქმის 3-ჯერ და 2005 წლისათვის – 220 847 სულით ანუ 2-ჯერ.

– გარდაბნის რაიონში, 1955 წელთან შედარებით, 2005 წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა – 19 832 სულით ანუ 70 %-ით; ფურების სულადობა – 15 389 სულით ანუ 139 %-ით; ფრინველის რაოდენობა – 600 ათასი ფრთით – 82 %-ით; ფუტკრის ოჯახის რაოდენობა – 540 ოჯახით – 59 %-ით. შემცირებულია ღორის საერთო სულადობა – 15 932 სულით ანუ თითქმის 7-ჯერ; თხისა და ცხვრის რაოდენობა – 73 644 სულით ანუ 55 %-ით.

– ბოლნისის რაიონში, 1955 წელთან შედარებით, 2005 წლისათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირებულია მხოლოდ 58 სულით, 0,3 %-ით; თითქმის ერთ დონეზეა გაზრდილი ფურების რიცხვი – 6 653 სულით ანუ 120 %-ით; ფუტკრის ოჯახის რიცხვი – 110 ანუ 11 %-ით; ფრინველის რაოდენობა – 175 ათასი ფრთით ანუ 156 %-ით. ღორის სულადობა შემცირებულია – 2 014 სულით ანუ 38 %-ით; თხისა და ცხვრის სულადობა – 37 765 სულით ანუ 81 %-ით.

– მარნეულის რაიონში, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაზრდილია 21 245 სულით ანუ 82 %-ით; ფურების სულადობა – 22 941 სულით ანუ 280 %-ით; ფრინველის რაოდენობა – 260 ათასი ფრთით ანუ 173 %-ით; ფუტკრის ოჯახის რიცხვი 600-ით ანუ 24 %-ით. 2 732 სულით ანუ 34 %-ით შემცირებულია ღორების სულადობა, 2 585 –ით ანუ 3 %-ით – თხისა და ცხვრის სულადობა.

– დმანისის რაიონში, თითქმის ერთ დონეზეა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, 8 390 სულით ანუ 115 %-ით გაზრდილია ფურების რიცხვი; ფრინველის რაოდენობა – 41 ათასი ფრთით ანუ 410 %-ით; ფუტკრის ოჯახის რაოდენობა – 1 573 ოჯახით ანუ 154 %-ით; 4 256 სულით ანუ 81 %-ით შემცირებულია ღორის სულადობა; 36 476 სულით ანუ 59 %-ით – თხისა და ცხვრის სულადობა.

– თეთრი წყაროს რაიონში, 1 251 სულით ანუ 6 %-ით შემცირებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა; 5 226 სულით ანუ 38 %-ით – ღორის სულადობა; 40 060 სულით ანუ 63 %-ით – თხისა და ცხვრის სულადობა; ფრინველის რაოდენობა გაზრდილია – 14 ათასი ფრთით ანუ 28 %-ით; ფუტკრის ოჯახის რიცხვი – 532-ით ანუ 45 %-ით; ასევე გაზრდილია ფურების სულადობა – 5 669 სულით ანუ 91 %-ით.

- წალკის რაიონში, შემცირებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1 726 სულით ანუ 8 %-ით; ღორის სულადობა – 4 487-ით ანუ 61 %-ით; თხისა და ცხვრის სულადობა – 30 267-ით ანუ 52 %-ით; გაზრდილია ფურების რიცხვი 8 017 სულით ანუ 114 %-ით; ფრინველის რაოდენობა – 34 ათასი ფრთით ანუ 336 %-ით; ფუტკრის ოჯახის რაოდენობა – 445 ერთეულით ანუ 44 %-ით.

**მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ქვემო ქართლის რეგიონში
2005-2008 წწ-ში (ათ, ტ-ში)**

ცხრილი 27

№	პროდუქციის დასახელება	2005წ	2006წ	2007წ	2008წ	2005-2008 წწ-ში %
1	მსხვილ. რქოსანი პირუტყ. (ათ. ტ)	7.6	7.4	4.8	5.9	77.63
2	ღორის ხორცი (ათ. ტ)	1.7	2.2	1.3	0.3	17.65
3	ცხვრის და თხის ხორცი (ათ. ტ)	1.9	0.7	1.3	1.0	52.63
4	ყველა სახის ფრინველი	3.2	2.5	2.9	3.0	93.75
5	სულ	15.1	12.8	10.3	10.2	67.55

როგორც ცხრილიდან ჩანს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების აღრიცხვის საქმეში იგივე მდგომარეობაა. 2008 წლის სააღრიცხვო მონაცემების შედარება 2005 წლის სააღრიცხვო მონაცემებთან იძლევა შემდეგ სურათს: მსხვილფეხა რქოსანი პროდუქციის ხორცის წარმოება შემცირებულია 22.27 %-ით; ღორის ხორცის წარმოება – 82,25 %-ით; ცხვრის და თხის –47,37 %-ით; ყველა სახის ფრინველის –6,27 %-ით.

საკვლევი ობიექტის მიწის ფონდის გამოყენების ანალიზი ცხადყოფს, რომ საჭიროა სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის გამოყენებისა და დაცვის მეთოდოლოგიური ასპექტების სრულყოფა; მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების ფართო ქსელის მის მიერ წარმოქმნილი, ეკოლოგიურ გარემოზე უარყოფითად მოქმედი ნივთიერებების გაუვნებლყოფის საკითხების გადაჭრაში ადამიანის გონივრული და აქტიური ჩარევა. პირველხარისხოვან, გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია ყოველგვარი დამცავი საშუალებების მოწყობა, სახელმწიფოსა და კერძო მესაკუთრეებისაგან სათანადო თანხების გამოყოფა, ტექნიკური საშუალებების შეძენა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გამოყენება და დანერგვა. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გონივრული, ოპტიმალურად გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებისათვის. გამორიცხულია მომპოვებელი, გადამამუშავებელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ცალ-ცალკე, ერთიმეორისაგან მოწყვეტით განხილვა, განსაკუთრებით, თუ საკითხი ეხება მიწის ფონდის გამოყენებას.

– მიწის ფონდის გამოყენების შესახებ მსოფლიოში მიღებული და ნაცადი აპრობირებული პრინციპებიდან უპირველესია სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების პრიორიტეტულობა. ქართველი კაცი მუდამ ცდილობდა საცხოვრებელი სახლები და საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები დაბალი ხარისხის და მცირემოსავლიან მიწებზე განეთავსებინა, ხოლო ნაყოფიერ და მოსავლიან მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურებს თესავდა. დღეს, რატომღაც, ამ საშვილიშვილო საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. საუკეთესო საყანე, საბაღე და სავენახე მიწებზე შენდება სხვადასხვა ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები და საწარმოო ტიპის ობიექტები.

დიდი ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში თითქმის აღარ დარჩა საბოსტნე და საბაღე ადგილები, აღნიშნული საკითხის თვითდინებაზე მიშვება, ვფიქრობთ, სავალალო შედეგს მოგვიტანს. საზღვარგარეთიდან შემოტანილი, ისიც დაბინძურებული, მდარე ხარისხის პროდუქტებით სარგებლობა კარგს არაფერს გვიქადის. დასანანია, ასეთი ბუნებრივი პირობების მქონე ხალხს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი არ გააჩნდეს და იმპორტის იმედად ცხოვრობდეს. საჭიროა მიზნობრივად მომჭირნეობედ და ეფექტურად გამოვიყენოთ ჩვენი ესოდენ მდიდარი მიწის რესურსები, ძალისხმევა არ დავიშუროთ მისი გაუმჯობესებისა და გამოყენების ოპტიმიზაციისათვის. აღნიშნულ ღონისძიებათა სისტემატურად და კომპლექსურად განხორციელების მთავარი მარეგულირებელი ძალა სახელმწიფოა. სწორედ სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის შექმნას და ზრუნავდეს მათ განხორციელებაზე. კონტროლი საქმის ფეხზე დაყენების ქვაკუთხედი.

დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა დინამიკურად და თანმიმდევრულად განვაითაროთ ეროვნული მეურნეობის ყველა დარგი: მომპოვებელი, გადამამუშავებელი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. შევქმნათ მეწარმეთა ძლიერი ფენა. რომელიც შეძლებს მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სათბობ-ენერგეტიკით, სრულყოფილი ინფრასტრუქტურით, მოსახლეობის დასაქმებით, წარმოების განვითარებით და, რაც მთავარია, მდიდარი სარესურსო პოტენციალის ეფექტურად გამოყენებით. ამ საკითხში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფოს ხელშემწყობმა სისტემამ უნდა შეიქმნას . დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა, მომზადდეს წარმოების გამართულად ფუნქციონირების პროექტები, მოზიდული იქნეს

ფინანსები, ინვესტიციები, მოწესრიგდეს საგადასახადო სისტემა და სხვა.

მიზანშეწონილობის მიხედვით უნდა ვაწარმოოთ პროდუქცია შიდა მოხმარების საგნებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს საექსპორტო მაღალხარისხოვანმა პროდუქტებმა.

მხარის მომპოვებელ მრეწველობაში ყოველმხრივ უნდა გაიზარდოს ნადლეულის – ნავთობის, აირის, ტორფის, ოქროს, რკინის, სპილენძის, თუთიის, ვოლფრამის, ცეოლითის, ცეცხლგამძლე თიხის, კირქვის, კედლის ქვების, ქვიშის, თიხის, გაჯის, თაბაშირის წარმოება;

გადამამუშავებელ მრეწველობაში – სათბობის, საშენ მასალათა, აზოტის, ელექტროტექნიკის წარმოება, კვების მრეწველობა და სხვა. შესაბამისად, მოწესრიგდეს აღნიშნული დარგების მიწის ფონდის გამოყენების ორგანიზაციის ტექნიკური, ეკონომიკურ-იურიდიული ასპექტები.

მიწის სავარგულების ტრანსფორმაციის მეთოდებიდან ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია და ვიყენებთ მარტივ, პრაქტიკულად ნაცად და საყოველთაოდ გამოყენებულ, უტყუარ მეთოდს: მოსაწყობი ტერიტორიის ყოველმხრივი შესწავლა, თითოეული სატრანსფორმაციო კონტურის დეტალურად შესწავლა, მისი ბუნებრივი და ეკონომიკური ნიშანთვისებების გამოკვლევა მიხედვით და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. მეორე მეთოდი შედარებით ახალი და ნაკლებად შრომატევადია, დამყარებულია მანქანური ტექნიკის გამოყენებაზე. ამ მეთოდით სარგებლობისას საჭიროა ხელთ გვექონდეს საკვლევი ტერიტორიის მიწის ფონდის ყოველმხრივი შესწავლის უტყუარი მასალა, რათა სწორად დავადგინოთ მიწის სავარგულების ტრანსფორმაციაზე მოქმედი თითოეული ფაქტორის სიდიდე, შევიტანოთ მანქანაში და მივიღოთ სავარგულების პერსპექტიული სტრუქტურის

სურათი. ვინაიდან ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთი (მიწის აღრიცხვის, ნიადაგის კვლევის და სხვა.) ზუსტი საკადასტრო მონაცემები ქვეყანას არ გააჩნია, ვფიქრობთ, ჩვენი არჩევანი სწორია.

ეკონომიკა სახელმწიფოს საფუძველი, ადამიანის სიცოცხლის-უნარიანობის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მთელი სისტემაა. მისი წინსვლისა და ზრდის ძირითად ფაქტორებად მეცნიერები მიწას, კაპიტალს, შრომას, სამეწარმეო უნარს და სახელმწიფო რეგულირების ხარისხს მიიჩნევენ. ვინაიდან ყველაფერი მაინც მიწიდან იწყება, სიკეთის წარმოება ადამიანისა და მიწის მიზანდასახულ და მიზანშეწონილ ურთიერთქმედებაზეა დაფუძნებული. ჩვენ სწორედ მიწის რესურსების დაცვის, სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვით ვიწყებთ და ვცდილობთ დავადგინოთ მიწის ფონდის გამოყენების ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებები და პარამეტრები. პრობლემის გადასაწყვეტად უნდა ვიცოდეთ, რა მოცულობის და ხარისხის რესურსები გაგვაჩნია, შემდეგ უნდა დავადგინოთ, როგორ და რა საშუალებებით გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი, მივიყვანოთ სასურველ მდგომარეობამდე, როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი, მატერიალური და სულიერი ფასეულობები. ჩვენი ნაშრომის მთავარი მიზანი მიწის მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღწევის ფაქტორების დამუშავებაა.

– კერძოდ: საკადასტრო სამუშაოების სათანადო დონეზე ჩატარება
– მიწის ზუსტად აღრიცხვა, შესაბამისი მასშტაბის გეგმურ-კარტოგრაფიული მასალის დამზადება, მიწის თითოეული ნაკვეთის (კონტურის) ზუსტი სიდიდის განსაზღვრა, ნიადაგის ხარისხის დადგენა მიწის ბუნებრივ ნიშან-თვისებათა და პროდუქტიულობის მიხედვით,

მიწის ეკონომიკური შეფასება, მიწის ნორმატიული და საბაზრო ფასის დადგენა და მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

– მიწის გაუმჯობესების ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება და დანერგვა – ეროზიისაწინააღმდეგო აგროტექნიკური; მდელო-სამელიორაციო; სატყეო-სამელიორაციო; ჰიდროტექნიკური ორგანიზაციული ღონისძიებები; სამელიორაციო ნიადაგის განოყიერების, კულტურულ-ტექნიკური, სარეკულტივაციო, გამიწიანების, განმარილების, ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებები, სწორი და გამართული თესლბრუნვების შემოღება და დანერგვა.

– ხელსაყრელი სამეურნეო ფორმების – ფერმერული, კოოპერაციული, შეზრდული პასუხისმგებლობის, ინდივიდუალური, ოჯახური და სხვა ოპტიმალურ ზომებთან მიახლოებული საწარმოების შექმნა, რაც შესაძლებელია მხოლოდ მიწების კონსოლიდაციის, ყიდვა-გაყიდვის, იჯარით გაცემის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემისა და სხვა საშუალებებით მექანიზებული დამუშავებისათვის ვარგისი ფართობების შექმნით, ერთ-ერთი საიმედო, უტყუარი და გადაუდებელი ღონისძიებაა წინააღმდეგ შემთხვევაში, დასახული მიზნის მიღწევა განუხორციელებელი ოცნებაა. სწორედ აღნიშნულმა ღონისძიებამ უნდა შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება და დააინტერესოს ქართველი კაცი სასოფლო-სამეურნეო წარმოებით.

– მიწის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, მიწის ეფექტური კოდექსის შემუშავება, მიწაზე გარიგებათა გაადვილებისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, საჭირო შემთხვევაში გარკვეული შეზღუდვების დაწესებით.

– გამართული და ეფექტური მიწის ბაზრის ფორმირება, მიწის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების უზრუნველყოფა, ბაზრის

შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის ტექნიკური და იურიდიული სამსახურების ორგანიზება და მიწის ბაზარის ინფორმაციული უზრუნველყოფა.

– სამეურნეობათა შორისო და შიდასამეურნეო მიწათმოწყობის სამუშაოების წარმოება, თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით; სათანადო სპეციალისტების მომზადება, სამსახურების ორგანიზაცია, კადრების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითა და დაფინანსებით უზრუნველყოფა.

– მიწის დაცვის და გამოყენებაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

მხოლოდ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების სახელმწიფო რეგულირების ეგიდით ჩატარება შექმნის მიწის ფონდის სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების და დაცვის უზრუნველყოფის პირობებს.

3.3 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ფაქტორები, მათი გონივრულად და მიზანშეწონილად ამოქმედების ღონისძიებათა კომპლექსი უდავოდ, ქმნის ყველა პირობას მიწის რესურსების დაცვისა და პროდუქტიულობის სასურველი დონის მიღწევის უზრუნველსაყოფად, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ და ჩვენი მოსაზრებები გამოვთქვათ საკვლევი ობიექტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურად გაადგილებისა და პროდუქციის წარმოების სრულყოფის თაობაზე. ფაქტორებისა და მიმართულებების ჰარმონიულად ამოქმედება, მოწინავე ქვეყნების მიერ მიღებული შედეგების გათვალისწინება, საშუალებას იძლევა სწორად

განესაზღვროთ, როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის განვითარების სიდიდეები და უმოკლეს პერიოდში (10-15 წელი) მოსალოდნელი მიღწევების პარამეტრები, ვთქვათ, რა მოცულობითა და დონით დაკმაყოფილდება რეგიონის მოსახლეობა ძირითადი პროდუქტებით და საექსპორტო, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების რა შესაძლებლობა ექნება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების პერსპექტიული ფართობები და მოსავლიანობა რაიონების მიხედვით

ცხრილი 28

№	ადმინისტრაციული რაიონი	სახნაგი ფართობი (ჰა)	მარცვლეულ კულტურები		კარტოფილი		ბოსტნეული და ბაღჩეული		მზესუმზირა		საკვები კულტურები		ყურძენი		ხილი	
			ფართობი (ჰა)	მოსავლიანობა (ტ/ჰა)	ფართობი (ტ/ჰა)	მოსავლიანობა (ტ/ჰა)	ფართობი (ტ/ჰა)	მოსავლიანობა (ტ/ჰა)	ფართობი (ტ/ჰა)	მოსავლიანობა (ტ/ჰა)	ფართობი (ტ/ჰა)	მოსავლიანობა (ტ/ჰა)	ფართობი (ტ/ჰა)	მოსავლიანობა (ტ/ჰა)	ფართობი (ტ/ჰა)	მოსავლიანობა (ტ/ჰა)
1	ბოლნისი	18 926	7000	3,6	5500	15	2500	17			3925	18	638	6	1058	8
2	გარდაბანი	37 948	20000	4	1000	15	8000	19	1200	1,7	7748	20	1097	6	4385	8
3	ღმანისი	13 272	7000	2,5	3000	16	1000	13			2272	15			961	5
4	თეთრი წყარო	20 751	8000	2,5	5000	15	800	13			6951	15	309	4	368	5
5	მარნეული	32 535	14000	3,6	6000	15	7000	20	1000	1,7	4535	20	1510	6	899	8
6	წალკა	20 884	9000	2	7000	16	300	10			4584	15			171	4
7	სულ ქვ. ქართლში	144 316	54000	3,9	27500	15,3	19600	18,4	2200	1,7	30015	17,5	3554	5,9	7842	7,2

როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, 2005 წელთან შედარებით, პერსპექტივაში მნიშვნელოვნად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი: გარდაბნის რაიონში – მარცვლეულის მოსავალი გაიზრდება 22-ჯერ; ბოსტნეულისა და ბაღჩეულის – თითქმის 3-ჯერ; მნიშვნელოვნადაა გაზრდილი კარტოფილის, მზესუმზირის, საკვები კულტურების, ყურძნის და ხილის საერთო მოსავალი. ბოლნისის რაიონში – მარცვლეულის მოსავალი გაიზრდება 119%-ით; კარტოფილის თითქმის – 2-ჯერ; ბოსტნეულისა და ბაღჩეულის – 3-ჯერ; საკვები კულტურების – 6-ჯერ, ყურძნის მოსავალი – 3-ჯერ და ხილის – 8-ჯერ. მარნეულის რაიონში – მარცვლეული კულტურების მოსავალი გაიზრდება 2,5-ჯერ; კარტოფილის – 6-ჯერ; ბოსტნეულისა და ბაღჩეულის – 2-ჯერ; საკვები კულტურების – 9-ჯერ, ყურძნის – 2-ჯერ და ხილის – 5-ჯერ. დმანისის რაიონში – მარცვლეულის მოსავალი გაიზრდება – 3-ჯერ; კარტოფილის – 5-ჯერ; ბოსტნეულისა და ბაღჩეულის – 3-ჯერ; საკვები კულტურების – 28-ჯერ, ხილის – 7-ჯერ. თეთრი წყაროს რაიონში – მარცვლეულის მოსავალი გაიზრდება – 3-ჯერ; კარტოფილის – 9-ჯერ; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების – 3-ჯერ; ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება საკვები კულტურების, ყურძნის და ხილის მოსავალი. წალკის რაიონში – მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი გაიზრდება თითქმის – 2-ჯერ; კარტოფილის – 36 %-ით; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების – 9 %-ით; საკვები კულტურების – 23-ჯერ, ნაწარმოები იქნება 684 ტონა. მთლიანად რეგიონში მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი გაიზრდება 93 %-ით; კარტოფილის – 179 %-ით; ბოსტნეულის და ბაღჩეულის – 163 %-ით; მზესუმზირის – 183 %-ით; საკვები კულტურების – 25-ჯერ; ყურძნის – 139 %-ით და ხილის – 145 %-ით.

სასოფლო სამეურნეო კულტურებით დაკავებული ფართობები,
საჰექტარო მოსავლიანობა და საერთო მოსავალი 2015-2020 წლისათვის
ცხრილი 29

№	კულტურების დასახელება	დაკავებული ფართობი (ჰა)	მოსავლიანობა ც/ჰა	საერთო მოსავალი (ტ)	საკვები ერთეულების მიღების შესაძლებლობა (ტ)
1	მარცვლეული	54 000	3,9	210 600	158
2	კარტოფილი	27 500	15,3	420 750	–
3	ბოსტნეული და ბაღჩეული	19 600	18,4	360 640	–
4	მზესუმზირა	2 200	1,7	3 740	–
5	საკვები კულტურები	30 015	17,5	525 263	115 557
6	ყურძენი	3 554	5,9	20 969	–
7	ხილი	7 842	7,2	56 462	–
8	ჩალა და ნამჯა	54 000	4	216 000	47 520
9	ბუნებრივი სათიბი	39 445	3,5	138 057	8 890
10	საძოვარი (ჰაერმშრალი)	210 085	1,6	336 136	69 028
11	სანაწვერლო და შუალედური ნათესი	36 079	15	541 185	119 061
12	ტყიდან მიღებული მწვანე საკვები	165 396	2	330 792	66 158
13	სამზარეულოს და სხვა სახის ნარჩენები	–	–	–	– 73 000

პირუტყვის სულადობა, პროდუქტიულობა და მოთხოვნილება საკვებზე პერსპექტივაში (2015-2020 წლისათვის)
ცხრილი 30

№	პირუტყვის სახეობა	პირუტყვის სულადობა		პროდუქტიულობა ერთ სულზე		საერთო პროდუქცია		საჭირო საკვები ერთეული					
		2006 წლისათვის	იქნება 2015-2020 წლისათვის	ხორცი დაკლული წონა (კგ)	რძე (ლ), კვერცხი (ც)	ხორცი (ტ)	რძე (ტონა), კვერცხი (მილ. ცალი)	ერთ სულზე დღურ ღამეში (კგ)	სულ ათ.ტონა	მათ შორის			
										უხეში საკვები (ათ.ტონა)	წვნიანი საკვები (ათ.ტონა)	მწვანე საკვები (ათ.ტონა)	კომბინირებული საკვები (ათ.ტონა)
1	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	174 216	175 000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	მ.შ.ფური	112 363	113 000	170	1800	19210	203400	7	289	58	87	98	46
	სხვა დანარჩენი	61853	62000	-	-	-	-	4	90	20	14	48	8
2	ღორი სულ	23473	24000	-	-	-	-	3,8	33	1	7	6	19
	მ.შ.დ. ღორი	7 060	8000	1000	-	8000	-	-	-	-	-	-	-
3	ცხვარი და თხა სულ	228175	230000	-	-	-	-	2,3	193	37	-	98	58
	მ.შ.დ.ცხვარი	94923	100000	45	20	4500	2000	-	-	-	-	-	-
4	ფრინველი სულ ათ.ფრ.	2196	2200	1,3	-	2860	-	0,08	64	-	7	6	51
	მ.შ.კვერცხმდებელი ათ.ფრთა	415	500	-	200	-	100	-	-	-	-	-	-
	სულ					34570	205400		669	116	115	256	182

პერსპექტივაში, ჩვენს მიერ შემოთავაზებული პირუტყვის სულადობა წელიწადში საჭიროებს 669 ათას საკვებ ერთეულს, აქედან: უხეში საკვები – 116 ათასი ტონა; წვნიანი – 115 ათასი ტონა; მწვანე საკვები – 256 ათასი ტონა; კომბინირებული საკვები – 182 ათასი ტონა.

ქართველი მეცნიერ-მკვლევარების, მოწინავე მეურნეობების გამოცდილებისა და ჩვენს მიერ ადგილზე მდგომარეობის შესწავლის საშუალებით დადგენილი გვაქვს ქვემო ქართლის მხარის მდიდარი ბუნებრივი საკვებ-საგარეულების პოტენციური შესაძლებლობები, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის შესაძლო პარამეტრები: მარცვლეული კულტურების საშუალო შეწონილი მოსავლიანობა (შეწონილი რაიონების ჭრილში) – 3,9 ტონა; კარტოფილის – 15,3 ტონა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების – 18,4 ტონა; მზესუმზირის – 1,7 ტონა; საკვები კულტურების საშუალო მოსავლიანობა – 17,5 ტონა; ყურძნის – 5,9 ტონა; ხილის – 7,2 ტონა; ნამჯა და ჩალა – 41 ტონა; ბუნებრივი სათიბების – 3,5 ტონა; საძოვრის (ჰაერმშრალი მასა) – 1,6 ტონა; სანაწვერალო და შუალედური კულტურების – 15 ტონა. დარგის სათანადო სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ჰექტარი ტყის ფართობიდან ნავარაუდევია წელიწადში 2 ტონა მწვანე საკვები მასის მიღება, ასევე ნავარაუდევი გვაქვს სამზარეულოსა და სხვა სახის ნარჩენების საკვებად გამოყენების რეალურობა 1 სულ მოსახლეზე 0,5 საკვები ერთეული დღეში.

ამ რესურსების საშუალებით შესაძლებელია მთლიანად დააკმაყოფილოთ პირუტყვის მოთხოვნილება მწვანე საკვებზე. სუფთა ნათესზე მიიღება ერთეული საძოვარი საბალახოებიდან 69 028 ტონა. უხეშ საკვებზე, ნამჯისა და ჩალის საშუალებით – 47 520 ტონა საკვები ერთეული და ბუნებრივი სათიბების ხარჯზე – 78 890 ტონა ს.ე., სულ –

126 410 ტონა ს.ე; წვნიანი საკვების მოთხოვნა-მიწოდება დაკმაყოფილდება საკვები კულტურების სუფთა ნათესით – 11 555 ტონა ს.ე; მწვანე საკვებზე მოთხოვნილება – საძოვარ-საბალახოებიდან მიღებული მწვანე მასით – 69 028 ტონა საკვები ერთეული, სანაწვერალო და შუალედური ნათესების ხარჯზე – 119 061 ტონა საკვები ერთეული და ტყის ფართობებიდან – 66 158 ტონა საკვები ერთეული; სულ მიღებული იქნება – 254 247 ტონა საკვები ერთეული მწვანე მასა. ასევე მთლიანად დაკმაყოფილებული იქნება მოთხოვნილება კომბინირებულ საკვებზე: მარცვლეული კულტურების ნათესებიდან – 157 600 ტონა საკვები ერთეული და სამზარეულოსა და სხვა სახის ნარჩენებიდან – 73 000 ტონა საკვები ერთეული; სულ კომბინირებული საკვები იქნება 230 000 ტონა საკვები ერთეული. საკვლევ ტერიტორიაზე მეცხოველეობის განვითარების დიდი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული გვაქვს, ძირითადად, პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის შესაძლებლობები. დაგეგმილი გვაქვს ერთი ფურიდან, საშუალოდ, 1 800 ლიტრი რძის მიღება, ერთი დედა ცხვრიდან – 20 ლიტრის, ერთი კვერცხმდებელი (მოქცეული) ქათმიდან – 200 ცალი კვერცხის წელიწადში. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი პირუტყვის სულადობა, მათ შორის დედა პირუტყვის.

ჩვენი ღრმა რწმენით, ნაშრომში შემოთავაზებული ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებების გატარება სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას – მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას. ადამიანის მთავარი საზრუნავი მისი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის პირობების შექმნის უზრუნველყოფაა. ჩვენი კვლევისა და მისი შედეგების გამოყენების მთავარი მიზანიც ესაა. საკვლევი ობიექტის მიწის

რესურსების არსებული მდგომარეობის შესწავლა, მისი ავ-კარგიანობის დადგენა-ანალიზი და შემდგომი გამოყენების სრულყოფის გზები ძიება მიზნად ისახავს პირველ რიგში, რეგიონში მცხოვრები ხალხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფასა და შემდგომში ქვეყნის სასურსათო პრობლემის მოწესრიგებას – სასურსათო უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტას. ჩვენს მიერ პროგნოზირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობისა და ხარისხის თანაფარდობა რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილებასთან, მათი ექსპორტის შესაძლებლობა და იმპორტის აუცილებლობა ნათლადაა წარმოჩენილი ქვემოთ მოყვანილ მონაცემებში.

ქვემო ქართლის მხარის მოსახლეობის მოთხოვნილება და მისი ძირითადი საკვები პროდუქტებით დაკმაყოფილების შესაძლებლობა

ცხრილი 31

№	პროდუქტის დასახელება	ფიზიოლოგიური ნორმა ერთ სულზე, წლიურ (კგ)	სულ რაოდენობა 400 000 კაცზე (ათასი ტონა)	დაკმაყოფილების შესაძლებლობა (ათ.ტონა)	მეტობა და ნაკლებობა (ათ.ტონა)
1	პურპროდუქტები, ფქვილზე გადაანგარიშებული, ფქვილი პარკოსნები	120,5	48,2	48,2	+158
2	ხილი (კონსერვების ჩათვლით) გადაყვანილი ნაღებზე	110,0	44	44	+12,4
3	ბოსტნეული (კონსერვების ჩათვლით) გადაყვანილი ნედლებზე	140,0	58,4	56,4	+302,2
4	კარტოფილი	96,7	38,7	38,7	382
5	ხორცი და ხორცის პროდუქტები, გადაყვანილი ხორცზე	73,0	29,2	29,2	+5,37
6	რძე და რძის პროდუქტები გადაყვანილი რძეზე	434	173,6	173,6	+31,8
7	კვერცხი (მლნ.ცალი)	260	104	100	-4
8	მცენარეული ზეთი	7,3	2,9	2,9	+0,8
9	შაქარი	36,5	14,6	-	-

როგორც ცხრილიდან ჩანს, დასახული მიზნისათვის, შემოთავაზებული კომპლექსური ღონისძიებების გატარებით, ქვემო ქართლის მხარეს დიდი შესაძლებლობები აქვს მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების დინამიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. დაკმაყოფილებულია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილება მარცვლეულით, ხილით, კარტოფილით, ხორციით, მცენარეული ზეთით. ბოსტნეულით, ბაღჩეულით და რძის პროდუქტებით, მცირედი დანაკლისი არის მხოლოდ კვერცხზე, საკმაოდ დიდი რაოდენობით იწარმოება სასაქონლო-საექსპორტო პროდუქცია: მარცვლეული – 158 ათასი ტონა; ბოსტნეული და ბაღჩეული – 302 ათასი ტონა; ხორცი – 5 ათასი ტონა; რძე და რძის პროდუქტები – 32 ათასი ტონა. საყურადღებოა კარტოფილის წარმოება – 382 ათასი

ტონა. განსაკუთრებით საყურადღებო კი საადრეო კარტოფილის
წარმოების ზრდის შესაძლებლობაა.

დასკვნები და წინადადებები

1. სადისერტაციო ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, დაცვისა და გამოყენების თეორიული ასპექტები. მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი მეცნიერ-მკვლევარის მიერ გამოთქმულია მოსაზრებები ადამიანის ყოფაცხოვრებაში მიწის მნიშვნელობის, ფიზიკური პირის მიერ მისი გამოყენების დროის შეზღუდულობის, როგორც ბუნების მიერ შექმნილი შეუნაცვლებელი და მეტად ძვირად ღირებული საქონელთბრუნვის ნივთის, ზოგისათვის კაპიტალის (რენტის) უშრომლად მიღების წყაროს, საზოგადოებაში მრავალმხრივ და მრავალწახნაგოვან ურთიერთობათა მომასწავებელი ფასეულობის შესახებ. დასაბუთებულია მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მიწის მოვლა-პატრონობის წესების, მეთოდების სრულყოფისა და პროდუქტიულობის ზრდის აუცილებლობა.

2. გამორჩეული, მეტად მრავალფეროვანია ქვემო ქართლის მხარის ბუნებრივი პირობები. ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, ტერიტორია იწყება ზღვის დონიდან 708 მეტრის სიმაღლიდან (წითელი ხიდი) და მთავრდება 2 972 მეტრზე (აღრივარი). მიწათსარგებლობის 49,1 % 1000 მეტრის სიმაღლემდეა. 50,19%-1000 მეტრის ზევით ტერიტორიის დანაწევრებულობის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია და – 0,97-ს უტოლდება. ეროზირებულია 120 ათასი ჰექტარი მიწა; აქედან სუსტად ეროზირებულია 27 ათასი ჰა, საშუალოდ ეროზირებული – 15 ათასი ჰა და ძლიერ ეროზირებული – 78 ათასი ჰექტარი. აღრიცხულია 800-მდე მეწყერული მოვლენა. მაღალია მიწა-წყლის დაბინძურების კოეფიციენტი.

მხარე მდიდარია სასმელ-სამეურნეო და სარწყავი წყლის რესურსებით. მათი რაოდენობის 45 % გაზაფხულზე მოდის, 27 კი ზაფხულში. საკმაოდ მაღალია რუსთავის და მარნეულის ვაკეების ჰაერის ტემპერატურის ჯამი – 4 213°, იალღუჯის ქვერაიონის – 3500°, მკაცრია წალკა-დმანისის პლატოს წლიური საშუალო ტემპერატურა – 10°. მრავალფეროვანია ნიადაგების საფარი – გავრცელებულია წაბლა და მუქი წაბლა ნიადაგები, ტყის ყავისფერი ნიადაგები, ალუვიური, ბიცობიანი და დამლაშებული ნიადაგები. მდიდარია მცენარეული საფარი, გვხვდება როგორც კულტურული, ისე შერეული მცენარეულობა. ბუნებრივი პირობების მახასიათებლების მიხედვით, საკვლევი ობიექტი დაყოფილია სამ ბუნებრივ-სამეურნეო რაიონად – რუსთავის ვაკე; თბილისი-მარნეულის და ჯავახეთის მთიანეთის.

3. მრავალფეროვანია საკვლევი ობიექტის ეკონომიკური პირობები, მეტად ჭრელია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, – 44,94% ქართველია, 45,24 % – აზერბაიჯანელი; 6,40% – სომეხი; დანარჩენი ეროვნებები მცირე ოდენობით არიან. მხარის ეკონომიკის მრავალფეროვნებაზე გავლენას ახდენს ხალხის ზნე-ჩვეულებები, ადათ - წესები, შრომითი ჩვევები. ბოლო დროს მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. 1989 წელთან შედარებით, 2002 წლისათვის – მოსახლეობა შემცირდა 68,83 %-ით. სოფლად მცხოვრები სულ 344 545 კაცია, აქედან შრომისუნარიანი – 233 885 კაცი, რაც მუშახელის საკმაოდ რაოდენობაზე მეტყველებს. მხარე მდიდარი და ძლიერია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ, ასევე ნაირგვარია მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურული შედგენილობა და სარგებლიანობის ასპექტები. დიდია მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა.

4. 2006 წლის მიწის ბალანსის მონაცემებით, საკვლევი ობიექტის ტერიტორია 677 368 ჰექტარია; აქედან სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგული – 395 786 ჰექტარი, სახნავი – 134 616 ჰექტარი; მრავალწლიანი ნარგავები – 11 392 ჰექტარი; მაღალია სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საერთო ფართობში: მარნეულის რაიონში – 50,9 %; ბოლნისის რაიონში – 60,5 %; გარდაბანის რაიონში – 55,6 %; თეთრი წყაროს რაიონში – 36,5 %; დმანისის რაიონში – 15,1 %; წალკის რაიონში – 21,4 %. მიწის რეფორმის შედეგად ბოლნისის რაიონში კერძო საკუთრებაში გადავიდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 16,2 %; სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების – 26,6 %; გარდაბანში – 36,5 %; დმანისში – 38,4 %; თეთრი წყაროში – 38,6 %; მარნეულში – 22,5 %; წალკაში – 54,5 %; სულ მხარეში – 35,4 %. ბოლნისის რაიონში სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა – 73,4 %; გარდაბანის რაიონში – 63,5 %; დმანისის რაიონში – 96,2 %; თეთრი წყაროს რაიონში – 61,4 %; მარნეულის რაიონში – 77,5 %; წალკის რაიონში – 45,5 %. მთლიანად მხარეში – 64,6 %. იჯარით გაცემულია 201 700 ჰექტარი და დარჩენილია გაუცემელი 140 300 ჰექტარი მიწა, რაც, თავის მხრივ, კერძო საკუთრების მიწის ფონდის ზრდის საიმედო გარანტია.

5. 2006 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლის მხარეში ფუნქციონირებს 96 716 სასოფლო-სამეურნეო საწარმო, მათ შორის: 96 367 ოჯახური მეურნეობა, 255 ინდივიდუალური მეურნეობა, 4 ს.პ.ს, 85 შ.პ.ს; 3 სააქციო საზოგადოება; 2 კოოპერატივი. ერთი მეურნეობის საშუალო ფართობი 1,43 ჰექტარია, ნაკვეთის საშუალო რაოდენობა – 1,81, ნაკვეთის საშუალო ფართობის ზომა – 0,79 ჰექტარი; ოჯახური მეურნეობის საშუალო ფართობის სიდიდე 0,95 ჰექტარია, ერთი ნაკვეთის საშუალო

ზომა – 0,52 ჰექტარი; სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საშუალო ფართობი 106 ჰექტარია, ნაკვეთის საშუალო რაოდენობა – 3, ფართობის საშუალო ზომა – 43 ჰექტარი. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საერთო ფართობის მიხედვით გამორჩეულია წალკის რაიონი – 312 ჰექტარი, გარდაბნის რაიონი – 531 ჰექტარი. ნაკვეთის ზომა – 87 ჰექტარი. ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეში სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვანი ძალა ოჯახური მეურნეობებია. არის ახლად წარმოქმნილი უფრო მსხვილი, ხელსაყრელი ზომის მეურნეობები.

6. მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა გვიჩვენებს, რომ, 1985 წელთან შედარებით, 2005 წლისათვის ხორბლის მოსავალი გაზრდილია 16 %-ით; სიმინდის – 50 %-ით; კარტოფილის – 4 %-ით; ხილის – 41 %-ით და ყურძნის – 63,6 %-ით. იგივე დარჩა პირუტყვის საერთო სულადობა, 42 %-ით გაიზარდა ჯოგში ფურების სულადობა; ღორების სულადობა შემცირდა 83,4 %-ით, თხისა და ცხვრის სულადობა – 66 %-ით, ფუტკრის ოჯახი – 25 %-ით, ფრინველის რაოდენობა – 15 %-ით. 1955 წელს ხორციის წარმოება იყო 27 942 ტონა, 2005 წლისათვის შემცირდა 15 101 ტონამდე, რძე იყო 58 713 ლიტრი, ავიდა 131 489 ლიტრამდე, კვერცხი – 187 155 ათასი ცალიდან შემცირდა 133 656 ათას ცალამდე, მატყლი 747 ტონიდან – 658 ტონამდე, თაფლის წარმოება გაიზარდა 155-დან 169 ტონამდე. ანალიზი ცხადყოფს, რომ მატყლის ტენდენციაა მარცვლეულის, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოებაში.

7. მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებამ, მიწის გამოყენების ძველი საბჭოური ფორმების მოშლამ და მიწათსაკუთრებისა და მიწათსარგებლობის ახალი ფორმების დანერგვა რადიკალურად შეცვალა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი სისტემა.

კერძო საკუთრებაში გადავიდა მაღალინტენსიური მიწის სავარგულების ძირითადი ნაწილი, ინტენსიურად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობების განკერძოება. მიწის რეფორმის მოუმზადებლად ჩატარებამ მრავალი უხერხულობა შექმნა მიწის რაციონალურად გამოყენების საქმეში. წვრილმა ოჯახურმა მეურნეობებმა ჯერჯერობით ვერ უზრუნველყვეს მიწის გამოყენების ეფექტიანობა. წარმოების საშუალების სიმცირემ, ფულადი სახსრების უქონლობამ და შემსრულებლების დაბალმა დონემ მკვეთრად შეამცირა მიწის პროდუქტიულობა. წინა პლანზე წამოიწია მიწების კონსოლიდაციის და ხელსაყრელი ზომის მეურნეობების შექმნის საკითხზე. გარკვევით დადგინდა, რომ 2005 წლის 8 ივლისის შემდგომ მხარეში სულ პრივატიზებულია 14 603 ჰექტარი, საიჯარო მიწების ხარჯზე – 11 979 ჰექტარი, გაუცემელი მიწებიდან – 2 624 ჰექტარი. მიწა შეისყიდა 2 915 ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა.

8. საქართველოში მიწის გამოყენების ადრინდელი ფორმების შესწავლით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილი ქართველი მამულიშვილები (ი.ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, თ. წინამძღვრიშვილი და სხვები) ფიქრობდნენ ეფექტური საზოგადოებრივი მეურნეობების შექმნის აუცილებლობის შესახებ. ეს უზრუნველყოფდა მიწების, აღრიცხვას, მათ გამოყენებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, წვრილი ნაკვეთების გაერთიანებას, საერთო ძალებით დამუშავებას, მანქანა-იარაღების, სასუქების, შხამქიმიკატებისა და სხვათა შექმნას, სარწყავ-დამშრობი სისტემების მოწყობას და ა.შ. დღეს მიწასა და წარმოების სხვა ძირითად საშუალებებზე კერძო საკუთრებაა. მიწის რეფორმის შედეგად

მიწა დაქუცმაცდა და მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობა შემცირდა, იკლო მიწის პროდუქტიულობამ, საჭირო გახდა უფრო ხელსაყრელი ზომის მეურნეობების ფორმირება და ამით მიწის მოვლა-პატრონობის უფრო მომგებიანი პირობების შექმნა, მიწის რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა.

ახალი ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფორმირების პროცესის შესასწავლად ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა რეგიონის 8 მეურნეობა, შევისწავლეთ მათი სამართლებრივ-ორგანიზაციული წყობის პარამეტრები, წარმოების შემოსავლიანობის დონე, ასევე განვითარების პერსპექტივები; კერძოდ: მარნეულის რაიონის სოფ. ყულარის ტერიტორიაზე შ.პ.ს “გეორგია 90”, ფართობი – 29 ჰექტარი, მ.შ. სახნავი – 19 ჰექტარი. ორგანიზებულია კერძო საკუთრების მიწაზე – წელიწადში მოგება 8 800 ლარია, რენტაბელობის დონე – 24,8%. მარნეულის მეკარტოფილეობის მეურნეობის ბაზაზე შექმნილი ინდუსტრიული საწარმო “შეყლამაზაშვილი ნუგზარი” ფუნქციონირებს 1993 წლიდან, თავიდან ერთი მეიჯარის უფლებით, 2006 წელს კი შესყიდულია კერძო საკუთრებაში. უკავია 50 ჰექტარი, ორ ნაკვეთად, აქედან 49,5 ჰექტარი სახნავია. წლიური მოგება – 8000 ლარი, რენტაბელობის დონე – 14 %. ბოლნისის რაიონის ინდმეწარმე “ნუგზარ გოგოლაძე” ფართობი – 104 ჰექტარი, სახნავი – 103,5 ჰექტარი; წლიური მოგება – 28 060 ლარი; რენტაბელობის დონე – 68,5%; ბოლნისის რაიონის შ.პ.ს “სავანეთი-2” დაფუძნებულია კერძო საკუთრების მიწებზე, საერთო ფართობი – 90 ჰექტარი, აქედან სახნავი – 69,5 ჰექტარი; წლიური მოგება – 61 380 ლარი, რენტაბელობის დონე – 48,9 %; თეთრი წყაროს რაიონის დაბა მანგლისის ინდმეწარმე “გვრიტიშვილი კობა” შექმნილია კერძო საკუთრების მიწაზე. ფართობი – 146 ჰექტარი, მ.შ. სახნავი – 13, სათიბი – 32, საძოვარი – 94,

მოგება წელიწადში – 4 278 ლარი, რენტაბელობის დონე – 58,9 %; დმანისის რაიონის ინდმეწარმე “ნანა ასლანიშვილი”, ფართობი – 12,2 ჰექტარი; საერთო ფართობიდან 10 ჰექტარი სახნავია; წლიური მოგება – 20 000 ლარი, რენტაბელობის დონე – 68,4 %. დმანისის რაიონის შ.პ.ს “განთიადი”, საერთო ფართობი – 435 ჰექტარი; აქედან: სახნავი – 35 ჰექტარი; სათიბი – 219 ჰექტარი; და საძოვარი – 180 ჰექტარი; წლიური მოგება – 21 050 ლარი და რენტაბელობის დონე – 27,2 %; გარდაბნის რაიონის შ.პ.ს “მამული-96”, საერთო ფართობი – 718 ჰექტარი, მათ შორის სახნავი – 680 ჰექტარი; წლიური მოგება – 170 000 ლარი, რენტაბელობის დონე – 94,4 %.

ზემოხსენებული მეურნეობების შესწავლა ცხადყოფს, რომ 7 მათგანი შექმნილია კერძო საკუთრების მიწაზე, აღჭურვილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მაღალია რენტაბელობის დონე და შეიძლება მათი განზოგადება მხარის ტერიტორიის სხვა ადგილებში.

9. მიწის ბაზარი მიწის, როგორც შეზღუდული, შეუნაცვლებელი და ძვირფასი მატერიალური სიმდიდრის, შექმნა-გასხვისების ერთ-ერთი საიმედო და უტყუარი ინსტრუმენტია, კერძო საკუთრების ინსტიტუტი – მიწის ბაზრის არსებობის საფუძველთა საფუძველია. საკითხის შესწავლა ნათელყოფს, რომ საკვლევი ობიექტის ტერიტორიაზე მიწის ბაზარი განვითარებულია, ყველა მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. რეალიზებულია ბაზრის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, მთავარი და უპირველესი ფუნქცია: ფასწარმოქმნა ბაზარზე ხდება საქონლისა და მომსახურების მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად, დადგენილია კონკურენციული გაწონასწორებული ღირებულება. რეგიონის მიწის ბაზარი ფართოდაა ჩართული მიწაზე ნებისმიერი გარიგების პროცესში. 2006 წლის მონაცემებით, ნაწარმოებია 2 416 იპოთეკური ოპერაცია,

14 027 ობიექტის პირველადი რეგისტრაცია და 17 546 ობიექტის მეორადი რეგისტრაცია, გაფორმებულია 13 836 ობიექტის ნასყიდობს ხელშეკრულება. 947 ოპერაცია წარმოებულია 947 ობიექტზე, უზუფრუქტის წესითაა გაფორმებული 74 საქმე, ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანილია 35 ობიექტი. მოსაკრებლებიდან შეტანილია სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია ყადაღის არსებობა/არარსებობის შესახებ ცნობის საფასური – 98 189 ლარი, იპოთეკის რეგისტრაციისათვის აკრეფილია 162 800 ლარი, მიწის უფლებათა რეგისტრაციისათვის – 132 492 ლარი. აღნიშნული მოსაკრებლებიდან 2006 წლის ბიუჯეტში შესულია 393 471 ლარი. გარდა ამისა, ბიუჯეტში შესულია გასაყიდი მიწის ნაკვეთების ღირებულების 2% ანუ 42 000 ლარი, მიწის საიჯარო ქირა – 3 746 ლარი. სულ რეგიონის მიწის ბაზრის საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტმა სულ მიიღო 4 181 471 ლარი. აღნიშნული თანხა ვერ ასახავს მიწის რეალურ ფასს და მისი სწორად დადგენის შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტი მიწის ბაზრიდან გაცილებით მეტ შემოსავალს მიიღებს.

10. მიწის ბაზრის მართვის, ფუნქციონირების მთავარი იარაღი მიწის ფასია. მიწის ღირებულება, მიწის გადასახადი (რენტა), საიჯარო ქირის სიდიდე დამოკიდებულია – მიწაზე მოთხოვნილების კლება-მატებაზე. დღეს, საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი ჰექტარის ფასი 57 ლარამდეა. ფასი დადგენილია მიწის ხარისხისა და პროდუქტიულობის მიხედვით. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასის საბაზრო განაკვეთი 1 მ²-ზე 0,24 ლარია, რომელიც შემდგომ მრავლდება ადგილმდებარეობის კოეფიციენტზე და ვღებულობთ 1 მ² მიწის ფასს. ცხოვრების სინამდვილემ დაგვანახა, რომ მიწის ფაქტობრივი ფასი გაცილებით მეტია, საბაზრო და გასაყიდი ღირებულება აღემატება

ნორმატიულ ფასებს. მიწის გასხვისება ხდება ნორმატიული ფასებით და ამით ზარალდება სახელმწიფო ბიუჯეტი. აღნიშნულის გამოსწორების მიზნით, კონკრეტულად იქნა შესწავლილი საკითხი მიწის ფასის განსაზღვრის შესახებ. მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანის სარწყავი სახნავი მიწის შეფასების მაგალითზე, 1 ჰექტრის ფართობის საშუალო ღირებულებამ შეადგინა 105 ათასი ა.შ.შ. დოლარი. პროფ. ნ. ტურაბელიძის მიერ შემუშავებული მეთოდის გამოყენებით, ქვემო ქართლის მხარის სახნავი მიწის მთლიან ფართობზე 1 ჰექტარის ღირებულება მიღებულია 73 627 ლარი, მრავალწლიანი ნარგავების – 79 517 ლარი, სათიბის – 43 439 ლარი; საძოვრის – 34 604 ლარი, ტყის – 61 846 ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის – 33 868 ლარი (ნ. სუხიაშვილი). ჩვენი აზრით, ერთივ და მეორეც ახლოსაა ფაქტობრივ საბაზრო ღირებულებასთან. ქ. თბილისის მერიამ, მიწის ფასის ზუსტად განსაზღვრისათვის, ტერიტორია დაყო 3 ზონად და 52 ქვეზონად. პირველი ზონის – ძველი თბილისის ტერიტორიის 1 მ² მიწის ნორმატიული ფასი 500 ლარია, საიჯარო ქირა – 8,42 ლარი; მე-13 პირველი ზონის – ძველი თბილისის ტერიტორიის 1მ² მიწის ნორმატიული ფასი 500 ლარია, საიჯარო ქირა 8,42 ლარი, მე-13 ქვეზონის – კრწანისი-ორთაჭალის, შესაბამისად, – 200 ლარი, საიჯარო ქირა – 8,06 ლარი; 35-ე ქვეზონის – ოქროყანის – 85 ლარი, საიჯარო ქირა – 6,48 ლარი, 46-47 ქვეზონის – ლილო-აეროპორტის – 20 ლარი, საიჯარო ქირა – 0,7 ლარი. ამრიგად, ტერიტორია დაყოფილია და შეფასებული.

11. მიწის დაცვის, გაუმჯობესების და ტრანსფორმაციის საკითხი მისი რაციონალურად გამოყენების მთავარი მამოძრავებელი მექანიზმია. კვლევა შეეხო როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულებს. დეტალურადაა აღწერილი მიწის დაბინძურების

საშიშროება, ჩამოთვლილია ღონისძიებათა კომპლექსი, რაც უზრუნველყოფს მიწის გაუმჯობესებას, დაცვასა და რაციონალურად გამოყენებას. კონკრეტული ციფრითაა წარმოდგენილი ასათვისებელი მიწის სიდიდე, ფართობების კლება-მატება – 1955, 1985 და 2005 წლების მიხედვით. ამავე წლების ჭრილშია ასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების კლება-მატების პარამეტრები.

12. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიწის სავარგულების დაცვის, გაუმჯობესებისა და რაციონალურად გამოყენების კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა იძლევა შესაძლებლობას სწორად დავადგინოთ მიწის სავარგულების სამომავლო გამოყენების შესაძლებლობები და გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება საკვლევ ობიექტზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილების და მეცხოველეობის განვითარების მიზანშეწონილობის შესახებ, კერძოდ: მარცვლეული კულტურები ნაწარმოები იქნება 54000 ჰექტარზე, საშუალო შეწონილი – 3,9 ტონა ჰექტარზე, კარტოფილი – 27 500 ჰექტარი, 15 ტ/ჰა-ზე; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები – 19600 ჰექტარი, 18,4 ტ/ჰა-ზე; მზესუმზირა – 2200 ჰექტარი, 1,7 ტ/ჰა-ზე; საკვები კულტურები – 30 015 ჰექტარი, 17,5 ტ/ჰა; ვენახი – 3 554 ჰექტარი , 5,4 ტ/ჰა და ხილი 7 842 ჰექტარი, 7,2 ტ/ჰა. საერთო მოსავალი შეიძლება იქნეს მიღებული მარცვლეული – 210 600 ტ; კარტოფილი – 420 750 ტ; ბოსტნეული და ბაღჩეული – 360 640 ტ; მზესუმზირა – 3 740 ტ; საკვები კულტურები – 525 263 ტ; ყურძენი – 20 969 ტ და ხილი – 56 462 ტ.

13. საანგარიშო პერიოდში პირუტყვის საკვებით დაკმაყოფილებისათვის შეიძლება დამზადდეს მწვანე საკვები – 254 238 ტონა ერთეული; წვნიანი საკვები – 115 557 ტონა; უხეში საკვები – 56 410 ტონა; კომბინირებული საკვები – 182 000 ტ. უხეში საკვების დანაკლისი

შეიძლება შეივსოს სამზარეულოს ნარჩენების ხარჯზე. საანგარიშო პერიოდისათვის მეცხოველეობის პროდუქტებიდან შეიძლება მიღებულ იქნეს: ხორცი, სულ დაკლული წონით – 34 570 ტონა; რძე – 203 400 ტონა; კვერცხი – 100 მლნ ცალი; წველადობა ერთი ფურიდან – 1 800 ლიტრი; კვერცხი ერთი კვერცხმდებელი ფრინველიდან – 200 ცალი.

14. საკვლევი ობიექტის მოსახლეობის მიერ შიდა მოხმარებისა და საექსპორტოდ სურსათის დამზადების შესაძლებლობა საშუალებას მოგვცემს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილება დაეაკმაყოფილოთ: პურპროდუქტებზე – 100 %-ით; ბოსტნეულზე და ბაღჩეულზე – 100 %-ით; კარტოფილზე – 100 %-ით; ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე – 100 %-ით; რძესა და რძის პროდუქტებზე – 100 %; ასევე მცენარეულ ზეთზე – 100 %-ით; დანაკლისი იქნება კვერცხის მხრივ – 4 მლნ ცალით. საექსპორტო პროდუქტები იქნება: ხილი – 12,4 ათასი ტონა; ბოსტნეული და ბაღჩეული – 302,2 ათასი ტონა; კარტოფილი – 382 ათასი ტონა; ხორცი – 5,4 ათასი ტონა; რძე – 31,8 ათასი ტონა და მცენარეული ზეთი – 0,8 ათასი ტონა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აგლაძე გ. – საქართველოს მთაგორიანი სათიბებისა და საძოვრების განოყიერება, თბ., “საბჭოთა საქართველო”, 1980
2. აგლაძე გ., ლობჯანიძე ვ., ლაკბერაშვილი – ხევის სათიბ-საძოვრების აგროტექნიკური მიმოხილვა და გაუმჯობესების ღონისძიებები, “მეცნიერება”, 1983 გვ-92
3. აგლაძე გ. – სოფლის ფერმერული მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების და საკვები რესურსების უკეთ გამოყენების პრობლემები, თბ., 2001, გვ – 11-15
4. ანდლულაძე რ., ბალანჩივაძე ც., ენდელაძე დ., დოლონაძე გ. – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება – შრომათა კრებული , სმმოკი .თბ. 1976. ტ-VIII.
5. ანდლულაძე რ. საქართველოს სსრ მიწის რესურსების კომპლექსურად გამოყენების ძირითადი მიმართულებანი. შრ. კრებული ასკემსკი თბ. 1989წ
6. ანდლულაძე რ. – მიწათსარგებლობის თავისებურებანი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტურად გამოყენება საქართველოში. თბ. “საბჭოთა საქართველო” 1976 წ.
7. ანდლულაძე რ., ბურკაძე ვ. – მიწა ქვეყნის ძირითადი სიმდიდრეა და მას თვალისჩინვით უნდა გავუფრთხილდეთ. გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” 190; 20.07.2003 გვ-3

8. ანდლულაძე რ., დოლონაძე გ. – საქართველოს მიწის ფონდების გამოყენების ძირითადი მიმართულებანი. თბ. “ცოდნა” 1982; გვ-38.
9. ასათიანი რ. ბაჯუნიაშვილი ჯ. – საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა რეგიონალურ პროდუქტიულ ქვე-კომპლექსებში. შრომათა კრებული, სმოკი. თბ. ასკემსკი 1991წ.
10. ბენია შ. – სოფლის მეურნეობის სტატისტიკის შერეული მოდელი სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, თბ., გამომცემლობა “მერდინი”, 1997 წელი
11. ბერიძე ნ., ცინცაძე მ. – უძრავი ქონების შეფასების საკითხებისადმი – აგრ. მეცნ. პრობლემები შრ. კრებული XXXVIII გვ-218 2007 წელი.
12. ბურკაძე ვ. – მიწის ეკონომიკური შეფასება და მისი გამოყენება – თბ. საბჭ. საქ., 1973 – 252 გვ.
13. ბურკაძე ვ. – მიწის კადასტრი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა “ფასი”. თბ. 1985 78 გვ.
14. ბურკაძე ვ., ქეშელაშვილი ო. – საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების შესაძლებლობები და მიმართულებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. //შრ.კრებული/ ასკ ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინსტ. – თბ. 1990 – ტ-II გვ. 3-15.
15. ბურკაძე ვ. – მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის სრულყოფის საკითხები – შრ. კრებული; სმოკი, თბ., 1984 ტ-I\
16. გარემოსა და ბუნების დაცვის სამინისტრო – 2005 წლის მიწის ბალანსი

17. გეწაძე ჯ., ხურცილავა მ., გეთია გ. – ზოგიერთი საკითხი რენტის, როგორც მიწის ფიქსირებული ფაქტორის შესახებ – აგრ. მეცნ. პრობლემები შრ. კრებული XXIX გვ- 181. 2004 წელი.
18. გიორგაძე ჰ. – აგრარული სექტორის განვითარების ბერკეტებისა და სტიმულირების შესახებ. შრ. კრებული. ასკემსკი. თბ. 1991 წ.
19. გიორგაძე ჰ. – სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ძირითადი გზები საქართველოში, სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. თბ., მერიდიანი, 1997 წელი.
20. გობეჩია გ. – წყლის რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია სარწყავი მიწათმოქმედების მაგალითზე. – თბ., საქ. სამეც. ტექ. ინფორ. ინსტიტუტი, 1972 წელი.
21. გოგობია რ. – მიწის რენტის გენეზისი თანამედროვე ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის პირობებში //ეკონომისტი/ 1990 – 10 გვ. 43-45
22. გოგუაძე ნ. – მიწათმოწყობის აქტუალური საკითხები აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პროცესში თბ., “საქართველო” 1992, გვ-55
23. დიასამიძე დ. – აგრარული ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობების განვითარების პირობებში – ეკონომიკის ინსტიტუტი; 1992; გვ-20
24. დოლონაძე გ. – მიწათსარგებლობის ეფექტიანობის ამაღლების გზები – დისერტაცია ეკონომიკის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1993 წ.

25. დოლონაძე გ. – “ მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ძირითადი გზები”, შრ. კრებული სმოკი. თბ. XIII თბ. 1982 წ.
26. ელიზბარაშვილი ზ. ფირმის საწარმოო სტრუქტურის ოპტიმიზაციის მოდელი. ჟ. „ეკონომისტი“ 7. 1993წ. 19-25გვ.
27. ენგელსი ფ. პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა, 1946; გვ.28
28. ზედგინიძე ა. – აგროსამრეწველო კომპლექსში სატყეო მეურნეობის წარმოების გაძლიერების საფუძვლები, თბ., “საბჭოთა საქართველო”, 1998 წელი
29. თავართქილაძე ა., ნაკაიძე ე. – საქართველოს მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის პრობლემები. თბ., “მეცნიერება”, 1994 წ. გვ-90.
30. თურმანიძე ს., ჭკადუა გ. – სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. თბ., საუ 1988 წელი.
31. იურისტის ბიბლიოთეკა – როგორ გავხდეთ მესაკუთრე – თბ. 2006 წელი გვ-45
32. კანდელაკი თ. – გარდამავალ პერიოდში სატყეო დარგის რეფორმირების პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია, სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა, თბ., დიოგენე, 1997 წელი
33. კანდელაკი თ. – საქართველოს ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდები, თბ., “სიახლე”, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტ-IV 2004 წელი

34. კეცხოველი ნ. – კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 1957 წელი.
35. კვარაცხელია მ. – ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა თბ. 2001 წ.
36. კვიციანი ქ. – მიწის (უძრავი ქონების) რეგისტრაციის სახელმძღვანელო, თბ., 2000
37. კიკნაველიძე ა. – ჩვენი სოფლის დიდი პროგრამა, თბ., “ცოდნა”, 1981
38. კიკნაველიძე ა. – საქართველოს რესპუბლიკაში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამა – საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტრო, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1994.
39. კორძაძია მ. – საქართველოს ჰავა, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, – 1961 წ.
40. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში “ეკონომიკა” 5; 2002წ 140-147 გვ.
41. კუნჭულია თ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები თბ., “მეცნიერება” 1997 წ.
42. კუცია მ. – მეურნეობრიობის ინდივიდუალური ფორმების განვითარების ზოგიერთი საკითხი – ქ. « ეკონომიკა » 102., 1-2 ; 2005 წ

43. ლობჯანიძე ე. – საქართველოს რესპუბლიკის მიწის ფონდის რუკა, ბკმს, თბ., 1985 წელი
44. მარქსი კ. “კაპიტალი”, ტ. I, 1954 გვ. 60; 228-229
45. მარქსი კ., და ენგელსი ფ. თხზ. ტ. 25 ნაწ. II
46. მესხიშვილი ა. – უძრავი ქონება – თბ. 2006 წ.
47. მოსაშვილი ი. – მეცხოველეობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978 წელი.
48. ნაკაიძე ე. მახარაძე ქ. – მიწა საერთო სახალხო სიმდიდრეა. თბ. საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოება 1990წ.
49. ნატროშვილი გ. – სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებისა და ოპტიმიზაციის საკითხები – ჟ. « კონომიკა » 86 ; 12 . 2005 წელი.
50. ნახუცრიშვილი შ. – “საქართველოს მაღალინტენსიური საძოვრების მოსავლიანობის დინამიკა”, თბ, 1963; გვ 36; 52; 114-116.
51. პაპავა ვ. – როგორ გადავარჩინოთ ქვეყანა. კვალი, საქართველოს სოფელი, 1-2. – თბ., 1994
52. საბაშვილი მ. – საქართველოს სსრ ნიადაგები—თბ.1970 წ.
53. საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული. თსუ. 1961 წელი. გვ. 14.
54. საქართველოს მიწათმოქმედების სისტემები. ვ. მეტრეველის საერთო რედაქციით. – თბ., სსი, 1984 წელი.

55. საქართველოს მიწის რესურსების დეპარტამენტისა და მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ნორმატიული მაჩვენებლები.
56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 494 დადგენილება “საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 მაისის 320 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ” 20.08.1966.
57. საქართველოს სსრ მიწის კოდექსი 13.07.1971.
58. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 583 “იმ სპეციალისტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც უფლება აქვთ ისარგებლონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთებით” 30.10.74.
59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 865 დადგენილება “საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის მოწესრიგების შედეგად წარმოქმნილი მიწის პატარა ნაკვეთების სოფლად მცხოვრები მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეების პირად სარგებლობაში დატოვების წესის შესახებ”. 24.12.1976 წ.
60. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება 128 “ მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 48 დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე “ 6.02.1992წ.
61. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება 290 “ 1992 წლის 18 იანვრის 48 და 6 თებერვლის 128

დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანის შესახებ”.
10.03.1992 წ.

62.საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება 949 “ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ” 22.09.1992 წ.

63.საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება 148 “საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რა-იონულ ცენტრებში მცხოვრებთათვის მიწის ნაკვეთების გამო-ყოფის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ” 24.02.1993 წ.

64.საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენი-ლება 503 “მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მი-წის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ” 28.06. 1993წ.

65.საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენი-ლება 815 “დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების აგრო-მელიორაციის და სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში მოქცეულ ტერიტორიებზე მიწის რეფორმის განხორციელების დამატე-ბითი ღონისძიებათა შესახებ” 29.11.1994წ.

66.საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება 413 “მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტების გადაცემის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ” 12.07.1995წ.

- 67.საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება
750 “მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტების
გაცემის შესახებ” 20.10.1995წ
- 68.საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 166 მიწის რე-ფორმის
ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად არსებული
ხარვეზებისა და დარღვევების გამოსწორების, მიწის რეფორმის
დაჩქარებისა და მიწათსარგებლობაში სათანადო წესრიგის
დამყარების შესახებ” 11.02.1996წ.
- 69.საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის
საკუთრების შესახებ” 22.03.1996 წ.
- 70.საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 26.06.1997
- 71.საქართველოს საგადასახადო კოდექსი -1997 წელი
- 72.საქართველოს კანონი “ ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის
იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად, გამოცხადების
შესახებ”. 28.11.1998 წ.
- 73.საქართველოს კანონი “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” 9.12.1998
- 74.საქართველოს ეკონომიკისა და საქართველოს ფინანსთა მი-
ნისტრების ერთობლივი ბრძანება 6/18, 1999 წლის 25 იანვარი,
“საქართველოს ქალაქების (რაიონების) მაკრომდებარეობის
ინდექსების ტერიტორიების ზონირებისა და სახელმწიფო
საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის მეთოდის დამტკიცების შესახებ”

75.საქართველოს კანონი “მიწის ნაკვეთებისა და მათთან დაკავშირებული უძრავი ქონების სახელმწიფო სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ” 30.04.1999წ.

76.საქართველოს კანონი “აუცილებელ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ”. 23.07.1999წ.

77.საქართველოს კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ.” 11.02.2000წ.

78.საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს. ფიზიკურ პირს, კომლს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს”. 14.06 2000 წლის 389 კანონი მე-4 მუხლი მე-2 პუნქტი.

79.სახელმწიფო მეთაურის 398 ბრძანებულება “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწებით სარგებლობისათვის გადასახადის შესახებ”. 18.12.1994წ.

80.საქართველოს მეცნიერებათა აკადემია – ქვემო ქართლის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები – თბ. 2003 წელი 199-256 გვ.

81. საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ 1997 წლის 5 მაისის ცნობა, სახნავად ასათვისებელი მიწების გამოვლენილი ფართობების შესახებ.
82. საჯარო რეესტრი – მონაცემები სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაციათა შესახებ 2006 წლის 4 კვარტლის.
83. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო – ქვემო ქართლის მხარეში “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ” 2005 წლის 8 ივლისის 1896 საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ საიჯარო და გაუცემელი მიწების პრივატიზების სტატისტიკური მონაცემები – 01/06-ც-37/7 679
84. სოფლის მეურნეობის ნორმატიულ-საცნობარო მასალების კრებული. – თბ., მეცნიერება, 1971 წელი.
85. სუხიაშვილი ნ. – მიწის ბაზრის ფუნქციონირება, ჟურნალი “ეკონომიკა” 9-10, 2004 წ; გვ – 125-131.
86. სტატისტიკის დეპარტამენტი – “საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა” (2004წ)
87. სტატისტიკის დეპარტამენტი – “საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა” 2002 წ. ტ-I
88. სტატისტიკის დეპარტამენტი – “საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა” (2005 წ)
89. სტატისტიკის დეპარტამენტი – საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიანი სახელმწიფო რეგისტრის მონაცემთა

- ბაზიდან 2005 წლის 8 ივლისის შემდგომ ქვემო ქართლის რეგიონში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებების შესახებ – 5/1-06/85
90. ტურაბელიძე ნ. – “სამიწათმოქმედობის დაპროექტება” – თბ. “განათლება” – 1989 წ.
91. ტურაბელიძე ნ. – “ საქართველოს მიწის სამართალი” – თბ. “ მეცნიერება” 2002 წ.
92. ტურაბელიძე ნ. – “მიწის ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგია” – 1998 წ. თბ. საუ
93. ტურაბელიძე ნ. – მიწათმოქმედების მეცნიერული საფუძვლები – თბ., სსი, 1989.
94. ტურაბელიძე ნ. – სამეურნეობათაშორისო მიწათმოქმედება – თბ., სსი 1980წელი.
95. ტურაბელიძე ნ. – საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების პრობლემები საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში და მათი გადაწყვეტის გზები – სადოქტორო ნაშრომი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999 წ.
96. ტურაბელიძე ნ., ბერიძე ნ – მიწათმოქმედების სრულყოფის გზები საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე) ჟ. « კონომიკა » 122. 9. 2005 წელი.
97. ტურაბელიძე ნ., გობეჩია გ., ლობჯანიძე ე. – მიწის რესურსები და მათი გამოყენების პროგნოზირება, თბ., სსი, 1994 წელი
98. ტურაბელიძე ნ., ლორთქიფანიძე რ. – გეოდეზიური სამუშაოები მიწათმოქმედებისა და მიწის კადასტრის დროს. თბ., სსი 1993 წელი.

99. ტურაბელიძე ნ., სუხიაშვილი ნ., – მიწათსარგებლობის მთლიანი ფართობის ნორმატიული ფასის განსაზღვრა მცხეთის რაიონის მაგალითზე” – აგრარული მეცნიერების პრობლემები – ტ-XXIX – 2004წ
100. ტურაბელიძე ნ., ცაავა შ. – პრივატიზაცია და მიწის რესურსების გამოყენების სრულყოფის საკითხები (ქვემო ქართლის მხარის მაგალითზე) ჟ. « კონომიკა » 94. 12. 2005 წელი.
101. ტურაბელიძე ნ., ცაავა შ. – მიწის ფასის განსაზღვრის საკითხისათვის – ჟ. ეკონომიკა 2007 წელი
102. ურუშაძე თ. – საქართველოს ნიადაგები, თბ., “მეცნიერება”, 1997 წ. გვ 267.
103. ქარელი კ. – მიწის რეფორმის შედეგები და მისი სრულ-ყოფის გზები ქვემო ქართლის მხარის რაიონების მაგალით-ზე. სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკის მეცნიერებათა კან-დიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თბ.,2004.
104. ჩეჩელაშვილი მ. – ქვემო ქართლის ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე – 69.10. 2005 წელი.
105. ჩიკვაიძე თ. – მიწის რესურსების გამოყენების, გაუმჯობესებისა და საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირების გზები გარე კახეთის რაიონების (დედოფლისწყარო, საგარეჯო, სიღნაღი) მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსა-პოვებლად თბ., 1999.

106. ლურჯკაია კ. – მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამარღების გზები ქ. თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის – ქვემო ქართლის ზონის მაგალითზე –2000 წ.
107. ცაავა შ. – მიწის ფონდის გამოყენების თანამედროვე დონე (ქვემო ქართლის მხარის მაგალითზე) აგრ. მეცნ. პრობლემები შრ. კრებული XXXVIII გვ-201; 2007 წელი.
108. ცაავა შ. საადგილმამულო ურთიერთობათა მარეგულირებელი მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის პირობებში – აგრ. მეცნ. პრობლემები შრ. კრებული XXXV გვ-285; 2006 წელი.
109. ცაავა შ. – ქვემო ქართლის მხარის მიწის რესურსების პოტენციალის გამოყენების თანამედროვე დონე – აგრ. მეცნ. პრობლემები შრ. კრებული XXIX გვ-228 2004 წელი.
110. ცაგურიშვილი გ., ქეშელაშვილი გ., მთვარელიშვილი შ., ფერაძე ი., მანჯავიძე მ. – მიწათმოქმედება – თბ., განათლება. 1990 წელი.
111. ცნობარი მიწის მესაკუთრეთათვის საკანონმდებლო აქტთა კრებული. თბ. 1997წ. 176გვ
112. ჭავჭავაძე ი. – ტ. IV წერილები სახალხო მეურნეობის საკუთრებაზე გვ.159. თბ. 1955 წ.
113. ჭინჭარაული ნ. – საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, თბ., “მერდინი”, 1997 წელი.

114. ჭიპაშვილი პ. – “ მიწის ბაზრის ფორმირება და მისი სახელმწიფო რეგულირება” თბ. 2004 წ.
115. ჯავახიშვილი ი. – საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი 1. – თბ., 1930 წელი.
116. Аксененк Г ., Сырогоев Н. – Коментарий к основам земельного закомодельства Союза ССР и союзных республик, Москва, «Юридичее литература» 1974 ст – 40-42
117. Андгуладзе Р. В. “Пути рационального использования земельных ресурсов Грузинской ССР в условиях совершенствования экономического механизма хозяйствования” диссертация на соискание степени доктора экономических наук. Тб., 1998
118. Бабушкин В., М – Методические указания и материалы к курсовой равоте по оценке земель, Воронеж, тип СХИ, 1979ю ст- 34
119. Беленьский В.р. – Проблемы становления рынка земли (аграрный рынок, теория и практика), ВНШИЭК, 1994 выпуск, №132; стр- 55-56
120. Варламов А. – Эффективност землегелия и организации территории Хозяйств М «знание» 1991 стр-50
121. Варламов А, Волков С – Повышение эффективности использование земли. М «Знание» 1988 ст – 50-59
122. Важанин П. – Проблема повишения эффективности использования земли в селском хозяйстве. М. ГИЗР. 1984 стр-19-20
123. Волков В., Занлетин Б., Чешев А. – Основи землеползования и землеустройства. РОСТОВСКИЙ УНИВЕРСИТЕТ 1988 ст – 127
124. Волков С – Экономика землеустройства. Учебник – М. Колос, 1996

125. Волков С, Коснейски – Научные основы землеустройства. Учебное пособие – М. ГУЗ, 1995.
126. Волков С., Хлыстун В., Июлкияев В., - Основы землевладения и землепользования. Учебное пособие - – М. Колос, 1992 стр- 12
127. Гегечкори З. – Информация о проходящей земельной реформе и ее развития. Конференция Развития Земельной Реформы в Странах Кавказа. Тб. 5-6.09.2002.
128. Горшков С. – Земельные ресурсы мира, антропогенные воздействия – М. «знания», 1987 стр-40
129. Гудзуадзе С. – Развитие земельного рынка в Грузии – Материалы конференции на тему «Развитие земельной реформы стран Кавказа», ТБ.5-6 09.2002.
130. Джавахишвили А. – Геоморфологические районы Грузинской ССР. АН. ССР, ин-т географий им. Вахушти АНГ РСФСР, 1947. стр- 55
131. Землеустроительное проектирование. Под редю С.Н. Волкова. М. колос. 1997
132. Земельные ресурсы мира, их использование и охрана. – М . Наука, 1978
133. Квитаишвили И – Специфика рыночных отношений в сфере здравоохранения – «экономика» 125., 5-6.
134. Лерман И. – Земельные рынки и укрупнение участков. Региональный семинар по земельным вопросам в Центральной и Восточной Европе и СНГ, Будапешт, 3-6 апреля 2002.

135. Лойко П. Ф. – К проблеме оценки природных ресурсов и земли, как составляющих национального богатства страны. М. журнал «Недвижимость и инвестиции», № 2-3, 11-12, 2002.
136. Нормативы для планирования сельскохозяйственного имущества Москва «Колос» 1975.
137. Попов Н. А. – Экономика отраслей АПК М ИКФ «Экмос» 2002, ст. 118-137.
138. Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования Тб. изд. „Мецниереба“ 1991г. ст 68
139. Природные ресурсы Грузии, т-4 – М.1962
140. Синдеев В – менеджмент земли – М. Россельхозакадемия, 1994
141. Сельское хозяйство Грузии ст 7-2 1967
142. Чещев А., Фесенко И. – Земельный кадастр, учебник для вузов, 2002.
143. Эбаноидзе Дж. – Интеграция земельных вопросов в общий контекст развития. Региональный семинар по земельным вопросам в Центральной и Восточной Европе и СНГ, Будапешт, 3-6 апреля 2002.